საქართველო დონორებს ფულს უკანასკნელად სთხოვს A3

„ჭიათურმანგანუმის“ ირგვლივ ვნებათაღელვა კვლავ მძაფრდება A8

ანკეტა B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 18 ივნისი, 2004 წელი. №143 (692)

ფასი 50 თეთრი

# ურთიერთობის ალქიმიკოსი

## პაულო კოელიო - Georgia On My Mind

თამარ ბაბუაძე

ის წიგნებს რამდენიმე დღეში წერს. "ალქიმიკოსი" 15 დღეში დაწერა. ამ ფაქტს კრიტიკოსები მისსავე წინააღმდეგ იყენებენ და ამბობენ, რომ ასე მოკლე ხანში შექმნილი მხატვრული ნაწარმოები ვერც ღირებული იქნება და ვერც იმ აღიარების ღირსი, რაც მათ ავტორს აქვს. თუმცა, მწერალს თუ აზრის დამთავრების ნებას მივცემთ, ნათქვამს უმალ შეასწორებს: უფრო ზუსტად, 15 დღესა და 39 წელიწადში. შესწორებას, გადამუშავებას კიდევ ცალკე დრო მიაქვს.

ის გინესის რეკორდსმენია – როგორც ავტორი, რომელმაც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე თავისი წიგნის ყველაზე მეტ უცხოურ გამოცემას მოაწერა ხელი. კიდევ ერთი მიზეზი კრიტიკოსის, თუნდაც, უსიტყვო, ირონიული და მრავალმნიშვნელოვანი მზერისთვის. მაგრამ, მისი მკითხველისთვის, ის უფრო ბიჭი – სანტიაგოა "ალქიმიკოსიდან", რომელმაც უდაბნოს ცხელ ქვიშაზე მდგარმა, უსიტყვო ლოცვისა და სიყვარულის ძალით, ქარად გადაქცევა შეძლო; მკითხველისთვის ის სინათლის რაინდია, რომელიც თავისუფლებას ხან ფსიქიატრიულ კლინიკებში ეძებდა, ხან – როკ-სიმღერების ტექსტების შექმნით, ხან – სანტიაგო დელ კომპოსტელას გზაზე მოგზაურობით და ახლა უკვე – წიგნებში.

ის ერთი ბრიტანელი ავტორისთვის ახალი თაობის გურუა, რომელიც მასების გასაბრუებლად ოპიუმს არ იშურებს, მაგრამ მეორე მწერლისთვის ის ალქიმიკოსია, რომელმაც ლიტერატურული ალქიმიის საიდუმლო იპოვა.

თავად პაულო კოელიოსთვის კი ყველა ადამიანი – ასეთიც და ისეთიც, ნიშნებს აყოლილიც და მატერიალურ სამყაროში ჩაძირულიც – ვულკანია, რომელშიც ძლიერი მასა აკუმულირდება, მაგრამ გარეთ არ გადმოდის. ერთ დღესაც ადამიანი საკუთარ თავს ეკითხება: "რატომ არის ჩემი ცხოვრება ასეთი?" იმავე წუთს ამოფრქვევის პროცესი იწყება. თუ ეს ადამიანი ჭკვიანია, მაშინ ის მისცემს შინაგან ლავას უფლებას, ზედაპირზე ამოვიდეს და გარემო სამუდამოდ შეცვალოს; თუ – არა, მაშინ ის მთელი ცხოვრება ეცდება, ამოფრქვევის პროცესი შიგნით აკონტროლოს (ბრაზილიელ რომანისტ გლაუკო ორტოლანოსთან საუბრიდან).

უნდა ვივარაუდოთ, რომ პაულო კოელიოს ვულკანი ამოიფრქვა. ის გლობალურ მოვლენად იქცა. მისი წარმატების ფენომენის ასახსნელად ზოგი ამტკიცებს, რომ კოელიომ მრავალმილიონიანი მკითხველის მოპოვებას ლიტერატურული ხარისხი შესწირა; ზოგიც, პირიქით, ფიქრობს, რომ კოელიომ მართლაც ამოხსნა ქარად ქცევის საიდუმლო. ასეა თუ ისე, როგორც ყველა საერთაშორისო მოვლენაზე, კოელიოზე ბევრს და რადიკალურად განსხვავებულად ფიქრობენ. დღეს კი საშუალება გვაქვს, გავიგოთ, თუ რას ფიქრობს თავად კოელიო ჩვენზე – მკითხველზე, ხილულსა და უხილავ ცხოვრებაზე, ოცნების აუცილებლობაზე.

ინტერვიუ ტელეფონით შედგა. კოელიო ამჟერად სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში, მთებში ცხოვრობს. საუბრისთვის გამოყოფილი დრო ნახევარი საათია. რედაქტორი თვლის, რომ საკმარისია, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ პაულოს გასახსენებელი და გასაზიარებელი ბევრი აქვს (რელიგიაზე, მედიტაციაზე, როკ-მუსიკაზე, ჟურნალისტიკაზე, ლიტერატურაზე, გლობალიზაციაზე...), უპასუხო კითხვა კიდევ მრავლად რჩება. თუმცა, თუ ისევ პაულოს ვენდობი – პასუხებს არა უშავს, მთავარია, რომ კითხვები გვიჩნდება. იმიტომ, რომ კითხვები ურთიერთობის საბაბს იძლევა. ურთიერთობა - "სამყაროს სულის" საძიებლად ერთად სიარული კი მისთვის მთავარია.

ახლა კი ათვლა 30-ე წუთისკენ დაიწყო.

გაგრძელება B1 გვერდზე



---

### პოლიტიკა

**კონტროლის პალატა - ინტრიგებისა და სკანდალების "გენერატორი"**



ნინო ბურჯანაძე შეშფოთებას გამოთქვამს საკანონმდებლო ორგანოში დისციპლინის მოშლის გამო, თუმცა, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სხდომებზე დეპუტატების მოყვანა მის ფუნქციებში არ შედის და ეს ფრაქციის თავმჯდომარეების მოვალეობაა...

A2

### უცხოეთი

**ძლიერი რეგიონული ორგანიზაციის შექმნისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები**



გუშინ ტაშკენტში შანხაის ორგანიზაციის თანამშრომლობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა სხდომა გაიხსნა. სხდომას ხელმძღვანელობდა უზბეკეთის ლიდერი ისლამ კარიმოვი.

A5

### საზოგადოება

**მამასახლისობის კანდიდატები დაიბნნენ**

თბილისის გამგეობებმა საცხოვრებელ კორპუსებში მამასახლისების შერჩევა დაიწყეს. თუმცა, ამ ინსტიტუტის ასამოქმედებელი მთავარი ბერკეტის – მამასახლისის ანაზღაურების შესახებ არავინ არაფერი იცის. მეტიც, ქალაქის ხელძღვანელობა იმასაც ვერ გვპასუხობს, ეს ინსტიტუტი საერთოდ აღდგება თუ არა.

A6

### სამართალი

**აფხაზების იძულებითი აღიარება**

A7

### ამინდი

| | 18/07 | 19/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 30 | 32 |
| ქუთაისი | 31 | 36 |
| ბათუმი | 29 | 34 |
| სოხუმი | 28 | 32 |
| ფოთი | 29 | 35 |
| თელავი | 28 | 29 |
| ზუგდიდი | 30 | 36 |
| გორი | 27 | 29 |
| ახმეტა | 28 | 30 |
| ჭიათურა | 29 | 33 |
| გაგრა | 26 | 31 |
| სამტრედია | 31 | 37 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3121 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5151 |
| რუბლი | 0.0661 |

---

## საქართველო ევროკავშირის კარიბჭესთან

რევაზ ბახტაძე

*2004 წლის 14 ივნისს ლუქსემბურგში ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს სხდომა ჩატარდა, რომელზეც საბჭომ საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი "ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" წევრებად ცნო. ეს საქართველოსა და მთელ რეგიონს განვითარებისა და ევროკავშირთან დაახლოების უნიკალურ შანსს აძლევს.*

2004 წლის 1 მაისს ევროკავშირს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ათი ახალი წევრი შეემატა და გაერთიანების საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. გაფართოების შედეგად, ევროკავშირს ახალი საფრთხეები და შესაძლებლობები შეექმნა, რომლის საპასუხოდ ევროკომისიამ "ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" შეიმუშავა.

აღნიშნული ინიციატივა ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებსა თუ რეგიონებს შორის ახალი ტიპის თანამშრომლობას გულისხმობს, რომელიც პარტნიორი ქვეყნების კეთილდღეობას, სტაბილურობასა და უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად "ევროპის სამეზობლო პოლიტიკა", ოდნავ სახეცვლილი ფორმითა და "ევროპის სამეზობლო ინიციატივის" სახელით, 2003 წლის მარტში გამოქვეყნდა, სადაც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები საერთოდ არ იყო ნახსენები. მაშინ აქცენტი მხოლოდ რუსეთზე, უკრაინაზე და კიდევ რამდენიმე ქვეყანაზე კეთდებოდა. ევროკავშირის დამოკიდებულება 2003 წლის 23 ნოემბრის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა, როდესაც საქართველოში, გაყალბებული არჩევნების საპასუხოდ, "ვარდების რევოლუცია" მოხდა.

გუშინ თბილისში, ევროპის კომისიის საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლობის ოფისში, "ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" შესახებ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენელმა, ჰოლანდიის ელჩმა ჰარი მოლენაარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **"ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველო რეგიონის გამწევ ძალად იქცა და ხელს უწყობს ურთიერთობების ინტენსიფიკაციას."**

გაგრძელება A3 გვერდზე

## "მარშალის გეგმა" საქართველოსთვის

ნიკა იმნაიშვილი
*ბრიუსელიდან*

დონორთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ (1 მილიარდი დოლარის გამოყოფის თაობაზე), უკვე აღარავის ეჩვენება გადაჭარბებულად შედარება, რომ დასავლეთმა, ფაქტობრივად, "მარშალის გეგმის" ტოლფასი პროგრამა შეიმუშავა საქართველოს მხარდასაჭერად.

მართალია, მასშტაბი სხვაა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ჩვენს ქვეყანას ამგვარი შედარების ამბიციაც არასდროს გამოუთქვამს, მაგრამ თვით საქართველოსთვის, მნიშვნელობის თვალსაზრისით, 1 მილიარდი დოლარის "ინექცია" კიდევ უფრო ფასეული და ქმედითია, ვიდრე თავის დროზე იყო "მარშალის გეგმა" დასავლეთ ევროპისთვის, რომელიც, ფაქტობრივად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოიყვანა ომისშემდგომი ნგრევისა და განადგურების მდგომარეობიდან.

აქვე უნდა ითქვას, რომ კონფერენციაზე მოხსენებისას ზურაბ ჟვანიამ შემთხვევით არ გაუსვა ხაზი რამდენჯერმე ამერიკის მნიშვნელობას: უკვე ისტორიულად ქცეული კონფერენცია "ევროპის დედაქალაქში" ტარდებოდა - ევროკავშირის

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 რეგიონი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ანკეტა | B7 კვირის TV-პროგრამა | B8 სხვადასხვა

# სააკაშვილი აჭარლებს უკეთეს ცხოვრებას ჰპირდება



*სანდრას სწორედ ეს უხდება - ასე შეაფასა პრეზიდენტმა პირველი ლედის აჭარული თავსაბურავი.*

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აჭარის მაღალმთიანი რეგიონის ამომრჩევლებს შეხვდა. პრეზიდენტმა ხულოსა და შუახევის მცხოვრებნი დაიმედა, რომ მათი ცხოვრების პირობები მკვეთრად გაუმჯობესდება. კერძოდ, სააკაშვილი იქაურ მოსახლეობას 24-საათიან ელექტრომომარაგებას, ახალგაზრდებს კი განათლების მისაღებად საჭირო პირობების შექმნას დაჰპირდა. "ჩვენ დავალებულნი ვართ თქვენ წინაშე, მე და ჩემი მეუღლე, სანამ პირში სული გვიდგას, ყველაფერს გავაკეთებთ თქვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლად," - ასე ცდილობდა გუშინ პრეზიდენტი აჭარელი ამომრჩევლის გულის მოგებას.

მაღალმთიან სოფლებში ვიზიტის პარალელურად, მიხეილ სააკაშვილი არც ბათუმს ტოვებდა უყურადღებოდ. ბათუმში მან აჭარის რევოლუციის აქტიური მონაწილეები ღირსების ორდენებით დააჯილდოვა.

გუშინვე მიხეილ სააკაშვილმა მოინახულა სამხრეთ ოსეთიდან ჩაქვში დასასვენებლად მყოფი 180 ქართველი და ოსი ბავშვი. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მიხეილ სააკაშვილი აჭარელ ამომრჩეველთან შეხვედრას დღეს დილიდან გააგრძელებს.

*24 საათი*

# "იტერა" დათმობაზე მიდის

"იტერამ" ცხინვალის რეგიონს ბუნებრივი აირის მიწოდება აღუდგინა. "იტერას" წარმომადგენლის საქართველოში თამაზ პატარიძის ინფორმაციით, "ამ საქმეში საქართველოს მთავრობაც ჩაერია და, შედეგად, რეგიონის გაზმომარაგება აღდგა."

როგორც გაირკვა, "იუგოოსეტგაზმა" "იტერა-საქართველოს" მიმართ დაგროვილი 126 ათასი ლარის ოდენობის დავალიანების გასტუმრება გუშინ დილიდანვე დაიწყო.

ივნისის ბოლოს "იტერა-საქართველო" ქუთაისის გაზგამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის პროცესსაც დაასრულებს და ქუთაისელთა 60 პროცენტს ბუნებრივ აირს მიაწვდის. კომპანიაში ვარაუდობენ, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და გაზის აღრიცხვის მოწესრიგების შემდეგ ქუთაისის გაზგამანაწილებელ ქსელში დანაკარგები 31-დან 15 პროცენტამდე შემცირდება.

*ნიკა მარიამიძე*

# "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭო, შესაძლოა, შეიცვალოს

მუნიციპალიტეტი "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოზე გავლენის გაზრდას გეგმავს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს სამკაციან შემადგენლობაში თბილისის მთავრობამ, შესაძლოა, ერთის ნაცვლად ორი წევრი შეიყვანოს.

ეს საკითხი გუშინ საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალების" თავმჯდომარემ ნანული ქაჩიბაიამ წამოწია. თბილისის საკრებულოს ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრები "თბილგაზის" მმართველ "ახალ მენეჯმენტთან" გაფორმებული ხელშეკრულების გადახედვას მოითხოვენ.

ნანული ქაჩიბაია მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე, სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად, დედაქალაქის გაზმომარაგების ქსელში აუცილებელია დისტრიბუციის პრობლემის მოწესრიგება. უახლოეს დღეებში "ახალმა მენეჯმენტმა" ფრაქციას დისტრიბუციის მოწესრიგების გეგმა და "თბილგაზის" სტრუქტურული ცვლილების პროექტი უნდა წარუდგინოს.

*24 საათი*

# "თბილგაზი" "ლეიბორისტულ" მარში გაეხვა

"ლეიბორისტები" საქართველოს პრეზიდენტს საკონსტიტუციო სასამართლოზე ზემოქმედებაში ადანაშაულებენ. პარტიის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში ბუნებრივი აირის ტარიფის შემცირების მოთხოვნით, "თბილგაზის" წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი, შესაძლოა, არ დაკმაყოფილდეს, - განაცხადეს საკონსტიტუციო სასამართლოს შენობის წინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ლეიბორისტის" წევრებმა კახა ძაგანიამ, გიორგი გუგავამ და პაატა ჯიბლაძემ. საკონსტიტუციო სასამართლომ "ლეიბორისტების" სარჩელზე გადაწყვეტილება 22 ივნისს უნდა გამოიტანოს. თავად "ლეიბორისტების" თქმით, იმის გამო, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები პრეზიდენტ სააკაშვილის ზეწოლას განიცდიან, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, შესაძლოა, არაობიექტური იყოს. პარტია საზოგადოებას აქტიურობისაკენ მოუწოდებს და თუკი მათი სარჩელი არ დაკმაყოფილდება, ისინი აქციებით იმუქრებიან. შეგახსენებთ, რომ "ლეიბორისტულმა პარტიამ", ბუნებრივი აირის ტარიფის 0.27 თეთრიდან 5.6 თეთრით შემცირების მოთხოვნით, სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში 2003 წლის აგვისტოში შეიტანა.

*მედია-ნიუსი*

# "საქართველოს გზები 2004"

*გუშინ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, ქვემო ქართლსა და კახეთში გასვლითი აქცია მოაწყო – "საქართველოს გზები–2004".*

დეპარტამენტმა "ექსკურსია" მარნეული-სადახლოს მონაკვეთიდან დაიწყო. ამ გზის 10 კმ-იან მონაკვეთზე 2003 წელს კუვეიტის ფონდის დაფინანსებით, დაახლოებით, სამი მილიონი დოლარის სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულდა. დარჩენილი გზის რეაბილიტაცია კი მიმდინარე წლის ოქტომბერში დამთავრდება.

მომდევნო მონაკვეთი თბილისი-წითელი ხიდის გზა იყო, სადაც გასულ წელს დაწყებული სამუშაოები ამ წლის ბოლოს დასრულდება. **"მიმდინარე წლის ბოლოს დამთავრდება ზედაპირული დამუშავების სამუშაოები თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის გზის პატარძეული–საგარეჯოს 13 კმ-იან და მანავი-ბადიაურის 16 კმ-იან მონაკვეთებზეც,"** – განაცხადეს დეპარტამენტის წარმომადგენლებმა.

მარნეული-სადახლოს ტერიტორიაზე გავლისას გაირკვა, რომ დეპარტამენტში ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის საქციელით უკმაყოფილონი არიან. მათი თქმით, სამუშაოების მიმდინარეობის მონაკვეთზე გზები განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია, რის გამოც, შესაძლოა, "ამ საკითხის მიხედვა" დეპარტამენტმა უშუალოდ კომპანიას მოსთხოვოს, რომელსაც მშენებლობის მიმდებარე გზების კეთილმოწყობის ვალდებულება საქართველოს მთავრობის წინაშე აქვს ნაკისრი.

როგორც დეპარტამენტის უფროსმა რომან დალაქიშვილმა კახეთისკენ მიმავალ გზაზე აღნიშნა, ორშაბათს თბილისში ჩამოდიან ერთ-ერთი იტალიური ფირმის წარმომადგენლები. ფირმა ბაკურციხე-წნორის გზის მშენებლობას დააპროექტებს და დააფინანსებს. **"მაგრამ ეს გზა ფასიანი იქნება,"** – დაამატა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

დეპარტამენტის უახლოეს გეგმებში აჭარისა და სამაჩაბლოს გზების აღდგენა-რეაბილიტაცია, ასევე, კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რაიონებში სტიქიის შედეგად დანგრეული გზებისა და ხიდების აღდგენა შედის.

*დიანა ჩაჩუა*

# თავდასხმა მილსადენის თანამშრომლებზე

ბაქო-თბილის-ჯეიჰანის მილსადენის დაცვის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ სოფელ ბეშთაშენის მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრავ ავტომანქანა „ურალიდან" მათ ცეცხლი გაუხსნეს. გატარებული ღონისძიებების შედეგად სოფელ იმერასთან დააკავეს ავტომანქანა „ურალი", რომელსაც მართავდა თეთრი წყაროს რაიონში მცხოვრები ვალერიან ბექაური და მგზავრი, გარდაბნის რაიონში მცხოვრები დავით ბექაური. მათ დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ამოღებულია პისტოლეტი „მაკაროვი" მჭიდით, 7 ვაზნით და სანადირო თოფი „ჩერჩილი" 7 ვაზნით. საქმეს იძიებს პროკურატურა.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თელავში დისლოცირებული "კომანდოს" 111-ე ბატალიონის ჯარისკაცებმა გუშინ სოფელ ლაფანყურის ტყის მიდამოებში "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით გათვალისწინებული დამატებითი სამთო-საწვრთნელი მეცადინეობები გაიარეს.

მეცადინეობა ტყიან და მთა-გორიან პირობებში საბრძოლო ტაქტიკის ათვისებას, კერძოდ, დესანტირებაზე გზიდან დაშვების და სამიზნის აღების, ასევე ვერტმფრენის დაშვება-აფრენის და ბლოკირების შესწავლას ისახავდა მიზნად. საწვრთნელი მეცადინეობები 1 თვეს გაგრძელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ" გუშინ მსოფლიო თანამეგობრობას მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც საერთაშორისო საზოგადოებას ატყობინებს, რომ "ადგილობრივი მედია ცენზურასა და დიქტატურას განიცდის".

მიმართვაში ნათქვამია, რომ "დემოკრატიის დაპირებით ხელისუფლებაში მოსულმა სააკაშვილის ერთპარტიულმა რეჟიმმა ევროპის სივრცეში არნახული დიქტატურა და ცენზურა დაამყარა მასმედიაზე, განსაკუთრებით კი - თავისუფალ ტელეკომპანიებზე, ხოლო ცენზურისა და დიქტატურის ძირითადი მაგისტრალი "ლეიბორისტული პარტიის" წინააღმდეგ არის მიმართული". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭოს დელეგაცია ჯოზეფ ბორგის ხელმძღვანელობით გუშინ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ეწვია. ცესკო-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელთან ზურაბ ნონიკაშვილთან გამართული საუბარი აჭარაში 20 ივნისისთვის დაგეგმილ არჩევნებს შეეხებოდა. ევროსაბჭოს წარმომადგენლები აჭარის რეგიონში არსებულ წინასაარჩევნო ვითარებას დადებითად აფასებენ და იმედს გამოთქვამენ, რომ 20 ივნისს რაიმე სერიოზული პრობლემები არ წარმოიქმნება.

არჩევნების დღეს აჭარაში მონიტორინგს ევროსაბჭოს 8 დამკვირვებელი განახორციელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების მოვალეობის შემსრულებლის სვიატოსლავ ნაბდზოროვის შემცვლელი მურატ კულახმეტოვი ცხინვალში 22 ივნისს უნდა ჩავიდეს. შესაბამისად, ნაბდზოროვიც კონფლიქტის ზონას ამ დროისთვის დატოვებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად ძიძიგური კონტროლის პალატის თავმჯდომარეობის კანდიდატს ზურაბ სოსელიას მოუწოდებს, დაინტერესდეს, რატომ შეწყდა შპს "საქართველოს რკინიგზის" შემოწმება. ძიძიგურის თქმით, აღნიშნული შემოწმება დაწყებული იყო ჯერ კიდევ აკაკი ჩხაიძის ხელმძღვანელობის დროს. "ჯოხი მარტო ერთ ადამიანზე - აკაკი ჩხაიძეზე არ უნდა გადატყდეს, რადგან "საქართველოს რკინიგზაში" დღესაც არსებობენ კორუფციული კლანები, რომლებიც ჯერ კიდევ აკაკი ჩხაიძის ხელმძღვანელობის დროს მუშაობდნენ. გთხოვთ, კონტროლის პალატამ ნათელი მოჰფინოს ამ საქმეს და ბოლომდე მიიყვანოს გამოძიება", — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა. ზურაბ სოსელია დეპუტატებს დაჰპირდა, რომ ამ საქმით აუცილებლად დაინტერესდება და შეეცდება, საქმე მართლაც ბოლომდე მიიყვანოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთში მოქმედი, არძინბას ოპოზიციური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "აიტაირა" ორგანიზაცია "ამცახარას" ლიდერის გარი აიბას მკვლელობაზე პასუხისმგებლობას დე ფაქტო პრეზიდენტს ვლადისლავ არძინბას აკისრებს. მათ მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ "აიბას მკვლელობა რესპუბლიკის მოქალაქეებისადმი კიდევ ერთი მხეცური გამოწვევაა, მოქალაქეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი კი პრეზიდენტი არძინბაა". **მედია-ნიუსი**

# კონტროლის პალატა - ინტრიგებისა და სკანდალების "გენერატორი"



*პარლამენტარები და ზურაბ სოსელია ამაოდ ელოდნენ დეპუტატების შემომატებას.*

*პარლამენტი ავარიულ რეჟიმში მუშაობს. შუადღის მერე კვორუმის შეგროვებას დეპუტატები უკვე ტაშითა და ოვაციებით ხვდებიან. მათ "სიხარულს" პარლამენტის თავმჯდომარე ოდნავადაც არ იზიარებს. პირიქით, ნინო ბურჯანაძე შეშფოთებას გამოთქვამს საკანონმდებლო ორგანოში დისციპლინის მოშლის გამო, თუმცა, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სხდომებზე დეპუტატების მოყვანა მის ფუნქციებში არ შედის და ეს ფრაქციის თავმჯდომარეების მოვალეობაა...*

მემარჯვენე ოპოზიცია გუშინდელ სხდომაზე დეპუტატების 80 პროცენტით იყო წარმოდგენილი, ისევე, როგორც ფრაქციები - "მაჟორიტარები" და "დამოუკიდებელი მაჟორიტარები". ასე რომ, თუ ოთხსუბიექტიან პარლამენტში გამორიცხვის მეთოდს გამოვიყენებთ, ხელში მხოლოდ ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები" შეგვრჩება.

**"როცა საპარლამენტო უმრავლესობა შეკრებას მოახერხებთ, დაგვიძახეთ და ჩვენც შემოგიერთდებით,"** - ირონიით ხვდებოდა დავით გამყრელიძე პარლამენტის თავმჯდომარის მცდელობებს, ისეთ დროს ჩაეტარებინა რეგისტრაცია, როდესაც სხდომათა დარბაზში დეპუტატთა საჭირო რაოდენობა იქნებოდა. ნინო ბურჯანაძემ მიზანს მხოლოდ მესამე ცდაზე მიაღწია, როდესაც პარლამენტარები უკვე დიდი შესვენებისთვის ემზადებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ წვალების შემდეგ, კვორუმის შეკოწიწება, ბოლოს და ბოლოს, მოხერხდა, გუშინდელი სხდომა მაინც არ აღმოჩნდა სრულფასოვანი: კენჭისყრაზე მხოლოდ ის საკითხები დადგა, რომლებიც დაბალ კვორუმს (79 ხმა) საჭიროებენ - პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო კანონპროექტი "სიტყვის თავისუფლების შესახებ" (104 მომხრე, 2 წინააღმდეგი), აგრეთვე, ცვლილებები შეიტანა (ასევე მეორე მოსმენით) კანონებში: "დასაქმების შესახებ", "სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ"...

დღის მთავარი მოვლენა - კონტროლის პალატის თავმჯდომარის არჩევა - არ შედგა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ პოსტზე წარდგენილი კანდიდატურის დამტკიცებას 118 ხმა სჭირდება, რომლის მოგროვებაც, ზემოთ აღწერილ გარემოებათა გამო, გუშინ უბრალოდ შეუძლებელი იყო.

რაც არ მოხდა გუშინ, მოხდება დღეს. ასეთი კატეგორიული მტკიცების უფლებას ის განცხადებები იძლევა, რომლებიც პარლამენტში გუშინ გაკეთდა. მაგალითად, ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრმა ზურაბ ცქიტიშვილმა აღნიშნა, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე ის და მისი მეგობრები, თავდაპირველად, დავით ტყეშელაშვილს მოიაზრებდნენ, მაგრამ რადგან პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ სოსელიაზე გააკეთა არჩევანი, მზად არიან, სპიკერის ფავორიტს მისცენ ხმა.

ზურაბ სოსელიას კანდიდატურას საპარლამენტო უმრავლესობის "ნაციონალური" ფრთაც უჭერს მხარს, ოღონდ, გარკვეული დათქმით: როგორც ცნობილია, კონტროლის პალატის თავმჯდომარე იმუნიტეტით სარგებლობს და მისი გადაყენება მხოლოდ იმპიჩმენტის გზით შეიძლება, რაც "ნაციონალებისთვის" მიუღებელია.

**"თუ კონტროლის პალატის თავმჯდომარე ვერ შეძლებს მოვალეობის ღირსეულად შესრულებას, პარლამენტს უნდა ჰქონდეს ხმების უმრავლესობით ან სამი მეხუთედით მისი გადარჩევის საშუალება, რადგან დაუშვებელია, რომ ასეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს ქმედუუნარო ხელმძღვანელი ჰყავდეს,"** - მოითხოვს პარლამენტარი ნიკა გვარამია, რომელიც ნინო ბურჯანაძეს იმასაც შეახსენებს, რომ **"ზურაბ სოსელიასთვის რეკომენდაციის გაწევით, თავის თავზე ძალიან დიდ პასუხისმგებლობას იღებს".**

კონტროლის პალატის თავმჯდომარის "ხელშეუხებლობის" (იმუნიტეტის) საკითხი მომავალში, ალბათ, კვლავ გახდება ნინო ბურჯანაძის გუნდსა და უმრავლესობის დანარჩენ ნაწილს შორის "საქმის გარჩევის" საგანი, ისევე როგორც კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეების დანიშვნის წესი.

საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით წინააღმდეგნი არიან, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეები პარლამენტის თავმჯდომარემ დანიშნოს. ნინო ბურჯანაძის შიდაპარტიულ ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ ამის უფლებამოსილება პარლამენტის ბიუროს ან პლენარულ სხდომას უნდა მიენიჭოს.

ამ სადავო საკითხების გადაწყვეტა, ალბათ, ცოტა მოგვიანებით, პრეზიდენტის არბიტრაჟით მოხდება. მანამდე კი, მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი დავით გამყრელიძე (მისი გუნდი მხარს უჭერს ზურაბ სოსელიას კანდიდატურას) საკმაოდ სკანდალურ განცხადებას აკეთებს. მისი თქმით, ვარდების რევოლუციის შემდეგ, გასული წლის 1 დეკემბრიდან მოყოლებული, კონტროლის პალატიდან სატვირთო მანქანებით გაიზიდა დაახლოებით ოთხასამდე საქმე, თანაც ისე, რომ ადგილზე ასლებიც კი არ იქნა დატოვებული. გამყრელიძის მტკიცებით, თბილისის პროკურატურის მიერ წაღებულია კონტროლის პალატის მიერ იუსტიციის და შემოსავლების სამინისტროების იმ პერიოდში შემოწმების მასალები, როდესაც ამ უწყებებს, შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილი და მიხეილ მაჭავარიანი ხელმძღვანელობდნენ.

**"ხომ არ არის ეს იმის მცდელობა, რომ გაქრეს ყველა ის მასალა, რომელშიც ქვეყნის დღევანდელი ხელმძღვანელობის შესაძლო დარღვევები ან გაფლანგვებია დაფიქსირებული?"** - კითხულობს მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი და თავისივე კითხვას თავადვე პასუხობს: **"როგორც ჩანს, ხელისუფლება ცდილობს, "გაასუფთაოს" ყოველივე ის, რაც მომავალში მისთვის ბრალდების წაყენების საფუძველი შეიძლება გახდეს".**

კონტროლის პალატის მომავალი თავმჯდომარე ზურაბ სოსელია აცხადებს, რომ სამართალდამცავების მიერ კონტროლის პალატიდან საქმეების გატანის შესახებ "ყურმოკვრით იცის".

**"შესაძლოა, პროკურატურამ ასლების გადაღება ვერ მოასწრო და ამიტომ მოხდა ასე,"** - აცხადებს სოსელია, რომლის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით გენერალურ პროკურორთან აუცილებლად ექნება საუბარი.

*გიორგი ასანიშვილი*

## დავით ბერძენიშვილი:
# პრეზიდენტი არ იცნობს კანდიდატებს

*აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებამდე ორი დღით ადრე უკვე ნათელი ხდება, რომ "რესპუბლიკელებისა" და "ნაციონალური მოძრაობის" აჭარელ აქტივისტებს შორის ზავის (თუნდაც დროებითის) დადება შეუძლებელია. დაპირისპირებაზე უარის თქმას არც ერთი მხარე არ აპირებს. მეტიც – ორივე ბანაკის წარმომადგენლები ამომრჩევლებთან შეხვედრისას თავს სწორედ მიხეილ სააკაშვილის ნამდვილ თანამოაზრეებად იხსენიებენ. ამასობაში, საქართველოს პრეზიდენტს არა და არ სურს საკუთარი საპარლამენტო ფრაქციის წევრებთან, ანუ "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერებთან შეხვედრა. მიხეილ სააკაშვილის გუშინდელი წინასაარჩევნო ვოიაჟი კი აჭარელ ამომრჩეველში კიდევ უფრო ამყარებს იმის რწმენას, რომ პრეზიდენტის რჩეული სწორედ ის გუნდია, რომელიც საარჩევნო ბიულეტენებში მეხუთე ნომრად იქნება წარმოდგენილი.*

სხვათა შორის, როგორც აჭარაში ამბობენ, "ნაციონალების" პარტიული სია საკმაოდ სუსტია. ანუ მასში არ არიან წარმოდგენილი ის სახეები, რომლებსაც არჩევნებში, როგორც იტყვიან, ლოკომოტივის ფუნქცია მიენიჭება. თუმცა, ადგილობრივი "ნაციონალებისთვის" ეს პრობლემას ნამდვილად არ წარმოადგენს, რადგან პარტიული ბრძოლა მათ უკვე მოგებული აქვთ – ამ გამარჯვების გარანტი კი, რაღა თქმა უნდა, თავად პრეზიდენტი სააკაშვილია. თანაც, თბილისიდან ბათუმში ყოველდღე მოეშურებიან სახელისუფლებო ფრაქციის წევრები, რომლებიც ადგილობრივ თანაგუნდელებს საჭირო ინსტრუქციებს აძლევენ. მათ შორის არიან მაია ნადირაძე, კობა ბექაური, ვასილ მაღლაფერიძე, ალექსანდრე შალამბერიძე..

თბილისიდან დამხმარე ძალა "რესპუბლიკელებსაც" შემოეშველათ. გუშინ, საკუთარ ამომრჩეველთან შეხვედრისას დავით ბერძენიშვილთან ერთად მისი ძმა, ლევან ბერძენიშვილიც გამოჩნდა. მათ გვერდით იყო ივლიანე ხაინდრავაც.

საგულისხმოა, რომ "რესპუბლიკელები" სააგიტაციოდ საკმაოდ ეფექტურ ხერხს მიმართავენ. მაღაზიების ვიტრინებზე გვერდიგვერდ გამოკრულია საქართველოს პრეზიდენტისა და "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერების პორტრეტები, ამავე დროს, "რესპუბლიკელები" მოსახლეობას იმ კანდიდატების შარჟებსაც ურიგებენ, რომლებიც ასლან აბაშიძის ყოფილი გარემოცვის წევრები იყვნენ. ერთი ასეთი შარჟის მსხვერპლი ხელვაჩაურის ოლქში "ნაციონალების" მაჟორიტარი კანდიდატი ნადიმ ბერიძე გახდა, რომელსაც, "რესპუბლიკელების" მტკიცებით, "აღორძინების" საარჩევნო ყულაბაში საკმაოდ დიდი თანხები შეჰქონდა. **"პრეზიდენტი არ იცნობს კანდიდატებს. მისი სიით კენჭს იყრის რაიკომის ყოფილი სამი მდივანი, რომელთაგანაც ერთი შევარდნაძის გადადგომის წინააღმდეგი იყო, დანარჩენი ორი კი "აღორძინების" წევრებად ბოლომდე რჩებოდნენ. პრეზიდენტის სახელს ამოფარებული "აღორძინება" ცდილობს ნაციონალურ ხელისუფლებაში წამყვანი პოზიციები მოიპოვოს. ჩვენ ამის არ დავუშვებთ,"** – ეს "რესპუბლიკელთა" წინასაარჩევნო აგიტაციის ერთ-ერთი ძირითადი თემაა.

და მაინც: პრეზიდენტს "რესპუბლიკელების" მოსმენა არ სურს. შესაბამისად, ამ პარტიის ლიდერებს უკან დასახევი გზა აღარ რჩებათ. ისინი ბრძოლას ბოლომდე აპირებენ და მოსახლეობას მაქსიმალური აქტივობისაკენ მოუწოდებენ. გუშინ კი "რესპუბლიკელები" საკუთარ ამომრჩეველს ბათუმის თეატრის შენობაში შეხვდნენ.

**"სრული მობილიზაციაა საჭირო, რათა არავის შეექმნას იმის ილუზია, რომ არჩევნების შედეგები გადაკეთდება. საზოგადოებრივი აქტივობა გაყალბების თავიდან აცილების ერთადერთი შესაძლებლობაა. სამწუხაროდ, ეს დროებითი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა გაყალბების მანქანა შექმნას. ყველა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თბილისიდან დაინიშნა. ისინი საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს აფრთხილებენ, რომ იმ უბნებზე, სადაც "რესპუბლიკელები" გაიმარჯვებენ, შემაჯამებელი ოქმები არ დაიწეროს. საარჩევნო კომისიებიდან გამოყარეს ის ადამიანები, ვინც საქართველო აჭარაში შემოიყვანა. "ნაციონალური მოძრაობის" კომისრების საარჩევნო შტაბები რაიონებში ხალხს აშინებენ, მაგრამ ტოტალურ გაყალბებას ვერანაირი ხელისუფლება ვერ მოახერხებს. მე გული მწყდება, რომ ასე იქცევა პრეზიდენტის სახელს ამოფარებული ხალხი.**

**საარჩევნო პროცესი ბათუმში ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობს. ძალზე სერიოზული ბრძოლაა ქობულეთსა და ხელვაჩაურში. ასლან აბაშიძის კლანური, ნომენკლატურული ავტონომიის ალტერნატივა ნამდვილად არ არის ავტონომიის იმიტაცია, რასაც დღევანდელი ხელისუფლება გვთავაზობს. ჩვენ გვსურს რეალური თვითმმართველობა. აჭარის უმაღლესი საბჭო უნდა იყოს რეალური უფლებამოსილების მქონე, რათა აჭარა გახდეს ქვეყნის რეგიონალიზაციის საწყისი, გასაღები. ჩვენ კი გვთავაზობენ აჭარის ისეთ უმაღლეს საბჭოს, რომლის ძალითაც ერთი სოფლის მართვაც კი არ შეიძლება. ჩვენ გვთავაზობენ, რომ პრეზიდენტმა წარადგინოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა. ამავე დროს, პრეზიდენტს შეუძლია გარეკოს უმაღლესი საბჭო, თუკი იგი გაბედავს და მის კანდიდატურას დაიწუნებს. ჩვენ გვთავაზობენ, რომ საქართველოს მინისტრებმა წარადგინონ აჭარაში შესაბამისი მინისტრების კანდიდატურები და, მათი დაწუნების შემთხვევაში, უზენაესი საბჭო დაითხოვონ. ეს არის ნომენკლატურული ავტონომია. ჩვენ გვთავაზობენ ნომენკლატურის ავტონომიის შენარჩუნებას. იყო ერთი ასლან აბაშიძე, უნდათ ათი ასლან აბაშიძე. ჩვენ კი ვითხოვთ ხალხის რეალურ თვითმმართველობას. ჩვენ ამ ბრძოლაში გავიმარჯვებთ. არავის არ ვუსურვებ ტოტალურ გაყალბებას, რადგან ძალიან მწარედ დაუმთავრდებათ ის წარმატებები, რაც აქამდე ჰქონდათ,"** - განუცხადა შეხვედრის დაწყების წინ, "24 საათს" დავით ბერძენიშვილმა.

სხვათა შორის, წინასაარჩევნო დარღვევებზე პირველ განცხადებებს უკვე აკეთებენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჩვენთან საუბარში "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელმა მაგდა პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ ის 12 დამატებითი საარჩევნო უბანი, რომელიც მთის საძოვრებზე გასული ამომრჩევლისთვის გაიხსნა, გაყალბების რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. **"ჯერ ერთი, არავინ იცის, რამდენი ადამიანია ასული მთაში, მეორე – დამკვირვებლებს ამ უბნების გაკონტროლების არანაირი საშუალება არ ექნებათ, რადგან უკვე ამოწურულია ის ვადები, რომელიც სადამკვირვებლო ორგანიზაციებს რეგისტრაციაში გასატარებლად მიენიჭათ. უბნები კი ვადის ამოწურვამდე ერთი დღით ადრე შეიქმნა. შესაბამისად, იქ შესვლას ვერც ერთი დამკვირვებელი ვერ მოახერხებს, რადგან აკრედიტაციების გაცემისას მითითებულია, თუ რომელ უბანს დააკვირდება თითოეული დამკვირვებელი,"** - ამბობს მაგდა პოპიაშვილი.

მისი თქმით, არ არის გამორიცხული, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" აჭარის უმაღლესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს.

*თამარ მჭედლიშვილი*

## საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2004 წლის 23 ივნისს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 3,000,000 (სამი მილიონი) ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 22 ივნისს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2004 წლის 23 ივნისის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯონჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა [illegible]

# საქართველო ევროკავშირის კარიბჭესთან

პირველი გვერდიდან



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*ჟაკ ვანტომი "ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" მნიშვნელობაზე საუბრობს.*

ჰოლანდიის ელჩმა საქართველოს “ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში” გაწევრიანებას **“თბილისისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიგნალი”** უწოდა.

“ევროპის სამეზობლო ინიციატივა” პარტნიორ სახელმწიფოებთან რამდენიმე მიმართულებით თანამშრომლობას გულისხმობს. დემოკრატიული ღირებულებებისა და ინსტიტუტების განმტკიცებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თითოეული ქვეყნისთვის შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში მმართველობის სისტემის გაუმჯობესებას და დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებას სოლიდური ადგილი დაეთმობა.

“სამეზობლო პოლიტიკის” ფარგლებში ეკონომიკური თანამშრომლობა ტარიფებისა და არასატარიფო ბარიერების შემცირებას გულისხმობს, რაც ევროკავშირსა და “სამეზობლო პოლიტიკის” წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოცულობას გაზრდის და ახალი მეზობლების ეკონომიკას დამატებით სტიმულს მისცემს. ევროპულ ბაზრებთან დაახლოება ამ სახელმწიფოებში საინვესტიციო კლიმატსაც გააუმჯობესებს.

ამას გარდა, ევროკომისიის მიერ გასულ თვეში გამოქვეყნებულ დოკუმენტში - “ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა” - ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ **“სამხრეთ კავკასიის ქვეყნები კასპიის რეგიონიდან ევროკავშირისათვის ენერგორესურსების მოწოდების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია”.** ევროკავშირი დიდად არის დამოკიდებული სპარსეთის ყურიდან ნავთობისა და რუსეთიდან გაზის მოწოდებაზე. კასპიის ზღვიდან ენერგორესურსების მიწოდების ალტერნატიული წყაროების შექმნით, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ცალმხრივ დამოკიდებულებას აიცილებენ თავიდან და მოწოდების უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ.

ჟაკ ვანტომის თქმით, “ევროპის სამეზობლო ინიციატივა” ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე პროგრამებს (TACIS, INOGATE და სხვ.) შეავსებს და გააფართოებს. მისი ინფორმაციით, კომისია თითოეულ ქვეყანაზე მოხსენებას მოამზადებს, რომლის საფუძველზე სამოქმედო გეგმა შეიქმნება. აღნიშნულ გეგმებში მომავალი 2 წლის თანამშრომლობის პრიორიტეტები განისაზღვრება.

ვანტომის განცხადებით, 2-3 წელიწადში ევროკავშირსა და “სამეზობლო პოლიტიკაში” გაწევრიანებულ სახელმწიფოებს შორის, ამჟამად არსებული “პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების” ნაცვლად, ევროპის სამეზობლო ხელშეკრულებები დაიდება.

“24 საათის” შეკითხვაზე, გამოიწვევს თუ არა “ევროპის სამეზობლო პოლიტიკის” წევრობა ევროკავშირის გააქტიურებას საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების დარეგულირების პროცესში, ჟაკ ვანტომმა განაცხადა, რომ ბრიუსელი ამ მიმართულებით თანამიმდევრულად იმუშავებს.

ამის დასტურად ვანტომმა 16-17 ივნისს ბრიუსელში მიმდინარე დონორთა კონფერენციაზე ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომისრის კრის პატენის განცხადება მოიყვანა, რომლის თანახმად, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად ევროკომისიამ 12 მილიონი ევრო გამოყო.

აღსანიშნავია, რომ 14 ივნისს საბჭოს სხდომაზე საქართველოში “კანონის უზენაესობის” მისიის დაწყების შესახებაც გაკეთდა განცხადება, რომელიც ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი სისტემის რეფორმას გულისხმობს. ამგვარი ინიციატივა თავად ევროკავშირისთვისაც პირველია. მისიაში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ათი ექსპერტი შევა, რომლებიც უზენაეს სასამართლოში, პროკურატურაში და სხვადასხვა სამინისტროებში ერთი წლის განმავლობაში იმუშავებენ, თუმცა მისია, შესაძლოა, გახანგრძლივდეს კიდეც.

“ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში” გაწევრიანება ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობა არ არის. საქართველოს ეს ევროკავშირთან დაახლოებისა და მჭიდრო თანამშრომლობის შესაძლებლობას მისცემს. ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოს სტატუსის მიღება კი, დიდწილად, საქართველოს ხელისუფლებაზე იქნება დამოკიდებული, რომელმაც სტაბილური დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება და საბაზრო ეკონომიკის განვითარება უნდა უზრუნველყოს. ამ მიზნის მიღწევაში კი “ევროპის სამეზობლო პოლიტიკის” წევრობას უზარმაზარი დახმარების გაწევა შეუძლია.

# საქართველო დონორებს ფულს უკანასკნელად სთხოვს

## მილიარდი დოლარის ხარჯვას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები გააკონტროლებენ

ნიკა მარიამიძე

ბრიუსელიდან საქართველოს დელეგაცია მილიარდი დოლარის ოდენობის კრედიტით ბრუნდება. ამ თანხას საქართველო სამი წლის განმავლობაში მიიღებს. პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია აკონკრეტებს, რომ **"კრედიტი გრანტის ტოლფასია, რადგან დაბალპროცენტიან სასესხო განაკვეთთან ერთად, მისი გასტუმრება, დონორებთან შეთანხმების თანახმად, 15 წლის შემდეგ დაიწყება."**

კრედიტი 2004-2006 წლებში საქართველოს ეკონომიკის, ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის და განათლების სფეროების განვითარებას, სიღარიბის დაძლევის პროგრამებსა და აჭარის რეინტეგრაციულ პროცესს მოხმარდება. ის, თუ რა უნდა გაკეთდეს, მთავრობის მიერ საგანგებოდ შემუშავებულ პროგრამაშია დაკონკრეტებული. თავად კრედიტის გამოყოფის პრეცედენტი კი საქართველოს პარიზის კლუბში საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხის განხილვისასაც დაეხმარება.

ჟვანიამ დონორთა წინაშე პირობაც დადო, რომ საქართველო მათ დახმარებას უკანასკნელად სთხოვს. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში მყოფმა ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ კი ეს პირობა თავის მხრიდანაც განამტკიცა და განაცხადა, რომ სულ რაღაც სამ წელიწადში საქართველო თავად იქცევა ღარიბი ქვეყნების დონორად.

ბუნებრივია, ბრიუსელიდან მილიარდი დოლარის ხსენებამ თბილისში მილიარდიანი მადაც აღძრა და მილიარდი ეჭვიც დაბადა. საპარლამენტო ფრაქციამ "მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველები, ახლები" ამ მილიარდი დოლარის ხარჯვის გასაკონტროლებლად საგანგებო მონიტორინგის ჯგუფის შექმნა მოითხოვა. ფრაქციის ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ ამ ჯგუფთან თანამშრომლობის გარდა, "მემარჯვენე ოპოზიცია" კრედიტის ხარჯვის მონიტორინგს თავადაც განახორციელებს.

რაც შეეხება თანხების ხარჯვას, ამ პროცესს ევროკომისია და სხვა საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები გააკონტროლებენ.

თანხების ხარჯვის მონიტორინგი რთული არ იქნება, ვინაიდან სხვადასხვა დონორთა მიერ გამოყოფილი მცირე კრედიტები 1 მილიარდ დოლარს ჯამურად შეადგენს. თითოეული ამ კრედიტთაგანი კონკრეტული პროგრამისთვისაა გამოყოფილი, მაგრამ მათ ერთი საერთო მახასიათებელი აქვთ: ყოველი მათგანი დაბალი საპროცენტო განაკვეთით ხასიათდება. ენერგეტიკის მინისტრის ინფორმაციით, მილიარდიანი დახმარებიდან ენერგეტიკის რეაბილიტაციას ჯამში 80 მილიონი აშშ დოლარი მოხმარდება.

ეკონომიკის ექსპერტის სოსო სიმონიშვილის ინფორმაციით, "ბრიუსელის ნობათის" ნაწილი სამთავრობო ორგანიზაციების სახელფასო ფონდში გადაირიცხება, სოლიდური თანხა სამთავრობო უწყებების სტრუქტურულ რეფორმებს მოხმარდება, დახმარების სანაცვლოდ კი დონორები საქართველოს ვალდებულებებს არ დააკისრებენ. მისი აზრით, **“დროა დაიმსხვრეს სტერეოტიპი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დახმარების ანგარების მიზნით გაცემასთან დაკავშირებით.”**




# "მარშალის გეგმა" საქართველოსთვის

პირველი გვერდიდან



*ზურაბ ჟვანიას გამოსვლას ევროპული პოლიტიკის ცენტრში დამსწრეები ინტერესით შეხვდნენ.*

ეგიდით და მსოფლიო ბანკის აქტიური მონაწილეობით, მაგრამ მიღებულ გადაწყვეტილებებშიც, დონორთა წარმომადგენლობაში და საერთო ატმოსფეროშიც აშკარად იგრძნობოდა გრანდიოზული სახელმწიფოს “ძალუმი სუნთქვა". სავსებით ბუნებრივია - რაკი ამერიკის შეერთებული შტატები სამართლიანად ითვლება თანამედროვე მსოფლიოს აღიარებულ ლიდერად.

ბრიუსელში ვიზიტის მესამე დღეს პრემიერ-მინისტრი სიტყვით გამოვიდა ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ და გავლენიან “ინტელექტუალურ ცენტრში", რომელიც ევროპაში დაახლოებით იგივე როლს ასრულებს, რასაც **Heritage Fundation** ამერიკაში. ეს გახლავთ “ევროპული პოლიტიკის ცენტრი". პრემიერმა ამ გამოსვლისას ჩამოაყალიბა თავისი კაბინეტისა და მთლიანად ახალი ხელისუფლების პროგრამა 16 ივნისის შემდეგ.

ზურაბ ჟვანიას თქმით, საბოლოოდ დასრულდა საუბრები საქართველოს, როგორც **faild state** (“წაქცეული", ან “ჩაფლავებული" სახელმწიფო) შესახებ. მსოფლიოს მხარდაჭერით და რადიკალური რეფორმების გატარებით იგი უახლოეს წლებში სავსებით წარმატებულ ქვეყნად იქცევა, რისი გარანტიაცაა არა მხოლოდ ფინანსური დახმარება, არამედ ის იმედიანი სულისკვეთება, რაც ამჟამად ქვეყანაში სუფევს.

ზურაბ ჟვანიას თქმით, სწორედ ამ სულისკვეთებაზე დაყრდნობით, პრეზიდენტ სააკაშვილის გუნდმა შეძლო აჭარიდან რეგიონის “პარანოიდული მმართველის" მოშორება, რომელმაც მთელი მხარე, ფაქტობრივად, მძევლად აიყვანა.

ევროპული პოლიტიკის ცენტრში, უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, ეკონომიკური პრობლემატიკა აინტერესებდათ. თუმცა, დიდ პოლიტიკასთან მჭიდრო დაკავშირებით, რაკი ეს ორი ცნება დასავლეთში განუყოფელია.

პრემიერმა კვლავ დაადასტურა, რომ საქართველოში იწყება დიდი პრივატიზება, მაგრამ მან პირველად განაცხადა ხელისუფლების ძირითადი პრინციპი ამ პროცესში.

როგორც ჩანს, ეს იქნება **კომპლემენტარულობა.** ჟვანიას თქმით, თბილისში მიესალმებიან რუსულ ინვესტიციებს ყველა სფეროში, მაგრამ ეს ინვესტიციები განხორციელდება კონკურენტულ გარემოში.

მაგალითად, მთავრობა არ აპირებს ენგურჰესის პრივატიზებას მანამ (ეს ძალზე მნიშვნელოვანი მესიჯია), სანამ არ ექნება იმის გარანტია, რომ ტენდერში თანასწორუფლებიანად მიიღებენ მონაწილეობას არა მხოლოდ რუსული, არამედ დასავლური კომპანიები.

ანალოგიური იყო გზავნილი (მათ შორის ბრიუსელიდან – ვაშინგტონსა და მოსკოვში) პორტების, სხვა მსხვილი ობიექტების პრივატიზებასთან დაკავშირებით, თუმცა პრემიერი ხაზს უსვამდა, რომ რუსული კაპიტალის შემოსვლას ქვეყანაში მთავრობა პრინციპულად მიესალმება. აქედან შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ხელისუფლება ცდილობს საქართველოს ეკონომიკური სივრცის, მათ შორის საინვესტიციო კაპიტალის მაქსიმალურ დივერსიფიცირებას, რაც შეამცირებს საყოველთაოდ ცნობილ პოლიტიკურ რისკებს.

ამ კონტექსტში, ძალზე მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე განცხადება, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება ამასწინანდელის ანალოგიური ბიზნეს-კონფერენციები გერმანელ, იტალიელ და თურქ მეწარმეებთან.

ამით კიდევ ერთხელ გაქარწყლდება ის “ალარმისტული" მოსაზრებები, თითქოს ხელისუფლება რუსეთის უალტერნატივობას აღიარებს.

სინამდვილეში, დღეს საქართველოს პრაგმატული ხელისუფლება ჰყავს, ხოლო პრაგმატიზმი, უპირველესად, ბალანსისა და წონასწორობის აუცილებლობას ნიშნავს.

# ფრაგმენტები ზურაბ ჟვანიას გამოსვლიდან ბრიუსელში

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, უპირველეს მნიშვნელობას პოლიციის რეფორმირებას ანიჭებს.

როგორც ჟვანიამ გუშინ, ბრიუსელში “ევროპული პოლიტიკის ცენტრში" გამოსვლისას განაცხადა, პრიორიტეტი პოლიციის გარდაქმნაა, ვინაიდან თავისი სულისკვეთებით პოსტსაბჭოური ქვეყნების პოლიცია სინამდვილეში საბჭოთა მილიციად რჩება. ჟვანიას თქმით, ამ სისტემაში აუცილებელია ტრენინგები, ხელფასების გაზრდა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ახალი კადრების მოზიდვა და გადამზადება, რათა საბჭოთა ყაიდის პოლიცია ადამიანების უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ სტრუქტურად იქცეს.

■ ■ ■

საქართველოს მთავრობაში სამუშაო ჯგუფი ამზადებს წინადადებებს ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის შექმნის მიზნით. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა გუშინ ბრიუსელში, “ევროპული პოლიტიკის ცენტრში" გამოსვლისას. როგორც პრემიერის პრესსამსახურში აცხადებენ, ჟვანიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა ჭეშმარიტად დემოკრატიული თვითმმართველობის ჩამოყალიბება. მისი თქმით, თვითმმართველობის კანონმდებლობა შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტების, არჩევნების წესსა და მუნიციპალიტეტების საკითხებს. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, თვითმმართველობის არჩევნები მომავალი წლის ნოემბრისთვის ჩატარდება.

■ ■ ■

პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ გუშინ, ბრიუსელში, “ევროპული პოლიტიკის ცენტრში" სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ “საქართველოს აქვს ევროპული ამბიცია", მაგრამ ჯერ მზად არ არის, დაასახელოს თარიღი, თუ როდის გახდება ქვეყანა ევროკავშირის წევრი. პრემიერმა ისტორიული დღე უწოდა ოთხშაბათს, ბრიუსელში დონორთა კონფერენციაზე საქართველოსთვის 1 მილიარდი დოლარის დახმარების გამოყოფის ფაქტს. ჟვანიამ “ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოსული ხელისუფლების მთავარ მიღწევად კორუფციის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა და ადრე ხელშეუხებელი მაღალჩინოსნების დაპატიმრებების ფაქტი დაასახელა.

■ ■ ■

მსხვილი ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზების პროცესი მხოლოდ მაშინ დაიწყება, როცა ამ ობიექტებში კაპიტალდაბანდებით რუსეთის გარდა, სხვა ქვეყნებიც დაინტერესდებიან. ამის შესახებ ბრიუსელში ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა. მისი თქმით, ენერგოობიექტების განსახელმწიფოებრიობის დროს პოლიტიკური რისკები არ უნდა არსებობდეს, ამიტომ ისინი მაშინ გაიყიდება, როცა საქართველოს მთავრობა ”დარწმუნებული იქნება, რომ ამ სექტორში კონკურენტული მდგომარეობის ჩამოყალიბება შესაძლებელია”.

მისივე თქმით, საქართველოს მთავრობა მომავალ წელს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში აკრეფილი გადასახადების ოდენობის 2 პროცენტით გაზრდას გეგმავს.

”საქართველოში წარმატებით ჩატარდა რუსული ბიზნესკონფერენცია. უახლოეს მომავალში იგეგმება იტალიის, თურქეთისა და გერმანიის ბიზნეს-კონფერენციების ცალ-ცალკე გამართვაც," - დასძინა ჟვანიამ.

*პრაიმ-ნიუსი, ინტერ-პრესი*

IFC International Finance Corporationa Member of the World Bank Group

**სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელობის საყურადღებოდ!**

**საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი** აცხადებს კონკურსს სააქციო საზოგადოებებისათვის, კორპორაციული მართვის დანერგვის პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

კორპორაციული მართვა ესაა სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მართვა და კონტროლი ხორციელდება. საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების კომპონენტი მიმართულია ქართული საწარმოების გაჯანსაღებასა და მათ მიერ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობის შექმნაზე. პირველ ეტაპზე შეირჩევა 5 სააქციო საზოგადოება. შერჩეული სააქციო საზოგადოებები პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ შეძლებენ:

კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას;
გაზრდილი ქონების ღირებულების, გუდვილის, საზოგადოების აქციების ღირებულების ხარჯზე სარგებლის მიღებას;
დივიდენდების გაზრდას / გაცემას;
გარეშე ფინანსირებაზე გასვლას (კაპიტალის ბაზრები);
შრომითი რესურსების მოზიდვას (მმართველები და თანამშრომლები);
სამუშაო ადგილების ზრდასა და ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

მსურველი სააქციო საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
1. კომპანია უნდა იყოს რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებად;
2. კომპანიაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტს შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, 5ა.
ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96
ფაქსი: 91 34 80
პილოტური პროგრამის პირველი ეტაპის დახურვის თარიღია ა.წ. 16 ივლისი.

## "ბოინგმა" პენტაგონისგან 3,9-მილიარდიანი კონტრაქტი მიიღო

თორნიკე შარაშენიძე

ცნობილმა ამერიკულმა ავიამწარმოებელმა "ბოინგმა" პენტაგონთან 3,9 მილიარდი დოლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა. ამ თანხის სანაცვლოდ კომპანიამ აშშ-ს ფლოტისათვის ახალი თაობის მზვერავი და წყალქვეშა ნავებზე მონადირე თვითმფრინავი უნდა შექმნას. ეს სიახლე "ბოინგის" ცნობილი კომერციული ლაინერის, "737"-ის ბაზაზე დამზადდება. პენტაგონის გადაწყვეტილება სერიოზული დარტყმაა "ბოინგის" უპირველესი მეტოქის, "ლოკჰიდ მარტინისათვის," რომელმაც ასევე წარუდგინა პენტაგონს ახალი მზვერავის შექმნის პროექტი უკვე არსებული მზვერავის "პ-3 ორიონის" საფუძველზე.

წარმატების შემთხვევაში, "ბოინგი" ახლო მომავალში პენტაგონისგან 20 მილიარდი დოლარის შეკვეთებს მიიღებს. ახალ მზვერავს "მალტი-მიშენ მერითაიმ ეარქრაფტ" ეწოდება და მან სწორედ "ლოკჰიდ მარტინის" "პ-3" უნდა შეცვალოს, რომელიც აშშ-ს შეიარაღებულ ძალებს, უკვე 40 წელიწადზე მეტია, რაც ემსახურება.

"ბოინგისათვის" ასეთი შეკვეთები, რომ იტყვიან, მისწრებაა: კომპანიას კომერციული ლაინერების ბაზარზე, უკვე რამდენიმე წელია, სერიოზულად ავიწროებს "ეარბასი" და, რომ არა კონტრაქტები აშშ-ს თავდაცვის სისტემასთან, ავიაგიგანტს უდავოდ საგრძნობი ფინანსური პრობლემები ექნებოდა ... როგორც ჩანს, ეს გარემოება ვაშინგტონშიც გაცნობიერებული აქვთ.

პენტაგონმა თავისი არჩევანი შემდეგი მოსაზრებით ახსნა: "ბოინგ 737"-ის მოდიფიცირება გაცილებით უფრო იაფი ალტერნატივა იყო. ამ მოდელმა დიდი ხანია, ყველანაირი გამოცდა წარმატებით ჩააბარა და ახლა მისი ოდნავ გადაკეთება დიდ სირთულეებს არ წარმოადგენს, მთავარი მასზე სპეციალური აპარატურის დაყენებაა. "მალტი-მიშენ მერითაიმ ეარქრაფტ" შეიარაღებაში, წესით, 2013 წლიდან უნდა გამოჩნდეს. სავარაუდოდ, "ბოინგს" უახლოეს ათ წელიწადში 100 ცალი ამგვარი თვითმფრინავის დამზადება მოუხდება.

"ბოინგის" გარდა, პენტაგონის შეკვეთაზე კიდევ რამდენიმე კომპანია დასაქმდება. მათ შორისაა "სიეფ-ემ ინტერნეშენალი," რომელიც მსოფლიოს უდიდესი ავტოგიგანტის, "ჯენერალ ელექტრიკის" შვილობილი ფირმაა.

## თამბაქოს მწარმოებლებს მთავრობის საგადასახადო ინიციატივები აშინებთ

### JT International დღგ-ს შემოღების გადავადებას ითხოვს

*ხელისუფლების საგადასახადო ინიციატივების ღიად გაჟღერებას თაბაქოს წარმოებითა და რეალიზაციით დაკავებული ბიზნესმენების მხრიდან დაუყოვნებელი რეაგირება მოჰყვა. თამბაქოს ნაწარმზე აქციზის შემოღების იდეა ჯგუფ "სამგორი-94"-ის თავმჯდომარემ ავთანდილ წერეთელმა, ფაქტობრივად, მოსმენისთანავე გააკრიტიკა. გუშინ კი ხელისუფლების საგადასახადო ინიციატივებს თამბაქოს მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია JT International-იც გამოეხმაურა. კომპანიის კორპორატიული საკითხების კოორდინატორი უკრაინაში, ამიერკავკასიასა და მოლდოვაში ალეკო ავაზაშვილი დაუკავშირდა "24 საათს" და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებაც გააცნო.*

მაია ურუშაძე

თამბაქოს ბიზნესით დაკავებულთა უმთავრესი პრობლემა ისაა, რომ გასული წლის 31 დეკემბერს "სასწრაფო წესით" მიღებული კანონი თამბაქოს ნაწარმზე 20-პროცენტიანი დღგ-ს შემოღებას ითვალისწინებს. ახლა კი ცხადი ხდება, რომ 1 ივლისიდან ამ პროდუქციაზე აქციზის გადასახადიც მატულობს.

თამბაქოს მწარმოებლები დღეს აცხადებენ, რომ ამ ცვლილებების მიღება "თამბაქოს ბიზნესისთვის კატასტროფა იქნება" (ავთანდილ წერეთელი).

JT International-ის კორპორატიული საკითხების კოორდინატორი უკრაინაში, ამიერკავკასიასა და მოლდავეთში ალეკო ავაზაშვილი მიიჩნევს, რომ დღგ-ს შემოღებაზე და სააქციზო განაკვეთების ზრდაზე საუბარი მხოლოდ კონტრაბანდის დონის მკვეთრი შემცირების და ბაზარზე სტაბილურობის დამყარების შემდეგ შეიძლება. გარდა ამისა, მისი აზრით, აუცილებელია მეზობელ ქვეყნებთან საგადასახადო რეჟიმის ჰარმონიზაციაც.

"ამჟამად საგადასახადო ზეწოლა ადგილობრივი წარმოების თამბაქოს პროდუქციაზე საქართველოში 2-ჯერ მეტია, ვიდრე რუსეთში. იმპორტი იბეგრება 2-ჯერ უფრო მეტად, ვიდრე ადგილობრივი წარმოება (ანუ, 4-ჯერ უფრო მეტად, ვიდრე რუსეთში). სწორედ ეს სხვაობა განაპირობებს, რომ საქართველოს თამბაქოს ბაზარს "აწყდება" რუსული კონტრაბანდული პროდუქცია (მთლიანი ბაზრის, დაახლოებით, 35-40 პროცენტი). 20-პროცენტიანი დღგ-ს შემოღება კი თამბაქოს პროდუქციაზე საგადასახადო ზეწოლას თითქმის გააორმაგებს; მკვეთრად (დაახლოებით, 20 პროცენტით) გაზრდის საცალო ფასებს; გამოიწვევს ბაზრის ჩამოყალიბებული სტრუქტურის რღვევას; მომხმარებლის ორიენტაციას ლეგალურიდან არალეგალურ პროდუქციაზე გადაიტანს (ფასობრივი ფაქტორიდან გამომდინარე) და ლეგალური თამბაქოს პროდუქციის ბაზრის დონეს შეამცირებს. არადა, ამ ბაზარმა ესესაა, კონტრაბანდული პროდუქციისათვის პოზიციების წართმევა დაიწყო. ყოველივე ეს, ბუნებრივია, საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებასაც გამოიწვევს. ამავე დროს, მთავრობას, ბაზარზე არსებული კონტრაბანდული პროდუქციის ლეგალიზაციის გზით, საბიუჯეტო შემოსავლების გაორმაგება შეუძლია," – ასე გამოიყურება ალეკო ავაზაშვილის მიერ "24 საათისათვის" მოწოდებული პროგნოზი.

JT International-ის ვარაუდით, თუ 31 დეკემბერს მიღებული კანონის ამოქმედება ერთი წლით არ გადავადდა, შესაძლოა, საქართველოს ბაზარზე თამბაქოს პროდუქციის ლეგალური ნაწარმის წილი 50 პროცენტით შემცირდეს. "ეს კი, ჩვენი მხრიდან, 10 მილიონი დოლარის ოდენობის საინვესტიციო გეგმების შეჩერებას გამოიწვევს," – აცხადებს JT International-ის წარმომადგენელი და დასძენს, რომ საქართველო კომპანიისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბაზარია. ცნობისათვის, ამ კომპანიას საქართველოში შემოაქვს სიგარეტები: "მაგნა", "მონტე კარლო", "ვინსტონი", "ქემელი" და სხვა.

ეკონომიკის ექსპერტი სოსო სიმონიშვილი ტრაგიკულს ვერაფერს ხედავს იმაში, რომ ხელისუფლებამ საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზება სწორედ აქციზური ნაწარმის ხარჯზე განიზრახა. "ეს ის პროდუქციაა, რომლის გაძვირებაც სოციალურ სიდუხჭირეს არ გამოიწვევს, - მიიჩნევს ექსპერტი, - მაგრამ ალბათობა იმისა, რომ ამ ბაზრის ნაწილმა ისევ ჩრდილში გადაინაცვლოს, მართლაც არსებობს. ამის გამო, ხელისუფლებას მტკიცე პოლიტიკური ნების გამოვლენა მოუწევს იმისათვის, რომ ბაზრის ამ სეგმენტის ადმინისტრირება მაქსიმალურად გაამკაცროს."

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ფულის გათეთრებისა" და ეკონომიკური დანაშაულის თემაზე 29-30 ივნისს თბილისში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება. კონფერენციის ორგანიზატორია ვაშინგტონის ამერიკული უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის ცენტრი, რომელიც საქართველოს პროგრამის ფარგლებში, სპეციალურ მულტიდისციპლინარულ ჯგუფებს ხელმძღვანელობდა. აღნიშნული ჯგუფები კონფერენციაზე, საქართველოში 2 წლის მანძილზე განხორციელებული კვლევების შედეგებს წარმოადგენენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა დავით შერვაშიძემ პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ერედვში ქართველი და ოსი მოსახლეობისთვის სასუქის დარიგება დაიწყო. სასუქის მისაღებად იქ მეზობელი ოსური სოფლებიდან ოსი მოქალაქეებიც მივიდნენ. სასუქის დარიგება ვანათში, ბისევსა და პატარ ლიახვის ხეობის კიდევ რამდენიმე სოფელში გაგრძელდება. 16 ივნისს მინისტრმა ღრომის ხეობის ოსურ სოფლებში ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წინააღმდეგობის გამო ფქვილის დარიგება ვერ მოახერხა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეი-ი-ეს ხრამი I"-ს ახალმა რუსმა მმართველმა სახელი და სამეთვალყურეო საბჭო შეუცვალა. "ეი-ი-ეს ხრამი I"-ის "რაო ე-ეს-ის" მმართველობაში გადასვლიდან 10 თვის შემდეგ რუსმა მენეჯერებმა აქციონერთა კრება გამართეს, ორგანიზაციის სახელს "ამერიკული" ნაწილი ჩამოაშორეს და ძველი სახელწოდება - "ხრამი I" დაუბრუნეს. ახლა ჰესის სამკაციან სამეთვალყურეო საბჭოში დანგირას მიკოლაიუნასი, იური შაროვოი და მარია ეფრემოვა შედიან. მალე სახელი "ეი-ი-ეს ხრამი II"-საც გადაერქმევა. 24 ივნისს დაგეგმილია "ეი-ი-ეს ხრამი II"-ის აქციონერთა კრება, სადაც ამ საკითხთან ერთად, სამეთვალყურეო საბჭოს საკითხიც უნდა გადაწყდეს. ამჟამად მხოლოდ "ხრამი I" მუშაობს, ისიც - არასრული დატვირთვით, "ხრამი II"-ს კი, მძიმე ტექნიკური მდგომარეობის გამო, სემეკ-მა ლიცენზია ჩამოართვა. **ინტერ-პრესი**

## ისევ საგადასახადო ცვლილებების შესახებ

### რა მოიგო წარმოებამ და ბიზნესმა?

*საქართველოს ხელისუფლებამ ახალი საგადასახადო კოდექსის თავისეული ხედვა ბიზნესმენებსა და ჟურნალისტებს კვირის დასაწყისში გააცნო - არსებული და მოქმედი 21 გადასახადიდან, მთავრობის გადაწყვეტილებით, 12 გაუქმდება, ასეთი იყო დაპირება; შეიცვლება საგადასახადო განაკვეთებიც. რას მოიგებს ამით წარმოება და ბიზნესი? ამ კითხვაზე პასუხისთვის "24 საათმა" ამჯერად "საშუალო" მასშტაბების ბიზნესმენებს მიაკითხა:*

ნინო ნარჩემაშვილი

უმეტესობა აცხადებს, რომ არსებული საგადასახადო ცვლილებების შესახებ მხოლოდ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნებული მასალების მეშვეობით არიან ინფორმირებულნი და დეტალური შეფასება უჭირთ. მათი პოზიცია კი, ვინც მეტ-ნაკლებად გაერკვა შექმნილ ვითარებაში, არაერთგვაროვანია და საინტერესოც, რადგან ქვეყნის ხელისუფლებას ახალი საგადასახადო კოდექსის საბოლოო დამტკიცებამდე ბიზნესისა და წარმოების სფეროს წარმომადგენელთა არაერთი მოსაზრების მოსმენა და გათვალისწინება მოუწევს.

მეწარმე ნოდარ მოსულიშვილის აზრით, **"განხორციელებული ცვლილება მხოლოდ კოსმეტიკაა და მეტი არაფერი".** მისი თქმით, რაოდენობის ცვლილება თვისობრივ ცვლილებას არ გამოიწვევს, ამიტომ საჭიროა საგადასახადო სისტემის კარდინალური შეცვლა. კერძოდ, არსებული გადასახადები მოგებაში უნდა ჩაეტიოს, რაც, თავის მხრივ, მრავალი სახის (თუნდაც, არსებული ფასების) გარდაქმნას საჭიროებს.

სააქციო საზოგადოება "თბილხელსაწყოს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ბეჟანიშვილი საგადასახადო ცვლილებებს დადებითად აფასებს, თუმცა, მისი თქმით, ეს გასაკეთებლის მხოლოდ მცირე ნაწილია, რადგან **"საგადასახადო კოდექსის შექმნისას, სატარიფო ნაწილის გარდა, გათვალისწინებული უნდა იყოს ხელისუფლების, ბიზნესისა და საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობის სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებიც, რაც ყოველთვის პრობლემატურ საკითხად აღიქმებოდა".**

პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე ვიტალი კვინიხიძე აცხადებს, რომ **"ამჟამად არსებული საგადასახადო კოდექსი ქვეყნის მიზანმიმართულად ნგრევის პროგრამაა. მისი დახვეწა ზუსტი გაანგარიშებების, გათვლების მეთოდით უნდა მოხდეს და ყოვლად დაუშვებელია, მინისტრი წყვეტდეს - ვის ეპატიოს და ვის - არა გადასახადის გადაუხდელობა".**

ვიტალი კვინიხიძის თქმით, განსაკუთრებით აღსანიშნავია დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელიც ყოველთვის დავის საგანს წარმოადგენდა და რომელიც კორუფციისთვის არაჩვეულებრივ ნიადაგს ქმნის, რადგან არ არსებობს საქართველოში არც მსხვილი, არც მცირე მეწარმე, რომელიც დღგ-ს არსებული მოდელით წარმატებით იმუშავებს და გააფართოებს წარმოებას. მისი აზრით, დღგ უნდა იხდებოდეს დამატებითი ღირებულებიდან - ეს მისი სახელწოდებიდანაც ჩანს და არა წარმოებისა თუ კომპანიის მთლიანი ბრუნვიდან, როგორც ამჟამად ხდება.

ასე რომ, ქართული წარმოება და ბიზნესი ჯერ კიდევ შეპირებული სერიოზული საგადასახადო ცვლილებების მოლოდინშია.



# ერაყსა და ალ-ქაიდას შორის თანამშრომლობა არ დასტურდება

აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების გამომძიებელმა დამოუკიდებელმა კომისიამ ორი წინასწარი მოხსენება გამოაქვეყნა, საიდანაც ცხადი ხდება, რომ მან ამ ტრაგედიასთან ერაყის კავშირის დამამტკიცებელი საბუთები ვერ აღმოაჩინა. ერაყსა და ტერორისტულ ორგანიზაციას შორის კავშირების ეჭვქვეშ დაყენებით, ჯორჯ ბუშის ისედაც მყიფე მტკიცებულებები სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ ძალის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, კომისიამ კიდევ უფრო შეასუსტა.

დამოუკიდებელ ექსპერტთა აზრით, სადამ ჰუსეინი "ალ-ქაიდასთან" არ თანამშრომლობდა; თუმცა, თავად საერთაშორისო ტერორისტული ქსელის ხელმძღვანელი ოსამა ბინ ლადენი ბაღდადთან თანამშრომლობის პერსპექტივით ჯერ კიდევ 1991-1996 წლებში დაინტერესდა, როცა სუდანში ცხოვრობდა. 1994 წელს ბინ-ლადენი სუდანში ერაყის დაზვერვის მაღალჩინოსანს შეხვდა და მას ტერორისტთა საწვრთნელი ბანაკისთვის ერაყის ტერიტორიაზე მიწის გამოყოფა და იარაღის მიყიდვა სთხოვა, მაგრამ სადამ ჰუსეინმა ეს წინადადება უარყო. კონტაქტებს ადგილი მას შემდეგაც ჰქონდა, რაც 1996 წელს ბინ-ლადენი ავღანეთში დაბრუნდა, თუმცა ამის იქით საქმე არ წასულა.

"ჩვენ არ გაგვაჩნია იმის უტყუარი დამამტკიცებელი საბუთები, რომ ერაყი და "ალ-ქაიდა" აშშ-ს წინააღმდეგ შეტევების მომზადებაში თანამშრომლობდნენ," - ნათქვამია კომისიის წინასწარ მოხსენებაში.



ამერიკას არაბულ სამყაროში იმდენი მოწინააღმდეგე, ალბათ, არასოდეს ჰყოლია, რამდენიც ბუშის მმართველობის პერიოდში.

REUTERS

გამოძიების წინასწარი შედეგები თეთრი სახლის ოფიციალურ პოზიციას ეწინააღმდეგება. როგორც ცნობილია, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია ერაყის ხელმძღვანელებს "ალ-ქაიდას" ტერორისტთა მხარდაჭერაში ადანაშაულებდა, რაც შარშან გაზაფხულზე ერაყში კოალიციის ჯარების საომარი ოპერაციის დაწყების მიზეზი გახდა.

მიუხედავად კომისიის წინასწარი დასკვნისა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ოფისი მაინც ჯიუტად ამტკიცებს, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დროს ერაყში "ალ ქაიდას" აგენტები მოქმედებდნენ. სადამმა "ტერორიზმს შემწყნარებლური გარემო შეუქმნა და ჩვენთვის ცნობილია, რომ მისი რეჟიმის პერიოდში, ერაყში "ალ-ქაიდასთან" დაკავშირებული პირები მოქმედებდნენ," - განაცხადა გუშინ დოუნინგ სტრიტის წარმომადგენელმა.

ტონი ბლერის ოფისში მომუშავე ქალბატონმა, რომელმაც მხოლოდ ანონიმურობის დაცვის პირობით ისაუბრა, მინიშნება გააკეთა, რომ პირდაპირი კავშირი სადამის რეჟიმსა და ოსამა ბინ ლადენის მიერ დაგეგმილ ტერორისტულ ოპერაციებს შორის არ არსებობს. "პრემიერ-მინისტრი ყოველთვის ნათლად აცხადებდა, რომ სადამ ჰუსეინის ერაყი თაღლითი სახელმწიფო იყო, რომელიც საფრთხეს უქმნიდა რეგიონისა და მთლიანად მსოფლიოს უსაფრთხოებას," - ამბობს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელი.

ამგვარად, თითქმის ყველა მიზეზი, რის გამოც ჯორჯ ბუშმა ერაყში ომი წამოიწყო, მეტ-ნაკლებად ეჭვქვეშ ექცევა:

- აკრძალული ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი – ჯერჯერობით, აღმოჩენილი არ არის;

- ერაყის მოსახლეობის გათავისუფლება ტირანიისაგან – გასულ თვეში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, კოალიციის ჯარებს მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტი აღიქვამს გამათავისუფლებლებად;

- "ალ ქაიდასთან" დაკავშირებული პირების ერაყში ყოფნა უკანასკნელ პერიოდში – ასეთი მხოლოდ აბუ მუსაბ ალ-ზარქავია, რომლის კავშირიც ტერორისტულ ჯგუფთან და ჰუსეინის მთავრობასთან მხოლოდ და მხოლოდ ზერელეა.

ასეთი რთული ვითარება შეიქმნა ჯორჯ ბუშისათვის ერაყში ომის დაწყების ბრძანების გაცემიდან 15 თვის თავზე. აშშ-ს ამჟამინდელი პრეიზდენტისათვის ყველაზე სავალალო კი ის არის, რომ ახალ არჩევნებამდე ხუთ თვეზე ნაკლებია დარჩენილი. კომისიის უკანასკნელმა დასკვნებმა ბუშის მიერ წარმოებული პოლიტიკის მიმართულებით იერიშებს ახალი ძალა შეჰმატა. და ეს თავდასხმები იმ შემთხვევაშიც კი არ შეწყდება, თვის ბოლოს ხელისუფლების ერაყისათვის გადაცემის პროცესი თუნდაც წარმატებით რომ დაგვირგვინდეს.

აქედანვე ცხადია, რომ კომისიის დასკვნებმა მნიშვნელოვანი ფორა შესძინეს დემოკრატებს, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ, ბუშის ადმინისტრაციაზე მიუთითონ და თქვან: ნახეთ, როგორ ცუდად იქცევა ჩვენი მთავრობა!

თუმცა, ჯერჯერობით, ეს მაინც არ მოასწავებს ბუშის მმართველობის უეჭველ დასასრულს. იმ შემთხვევაში, თუ ბუში ერაყში სტაბილურობის დამყარებას შეძლებს, მისი ხელახალი არჩევისათვის ერაყის უარყოფითი ფაქტორის განეიტრალება მოხერხდება.

# ძლიერი რეგიონული ორგანიზაციის შექმნისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები



სამიტის დღის წესრიგში მთავარი ადგილი რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფას დაეთმო.

გუშინ ტაშკენტში შანხაის ორგანიზაციის თანამშრომლობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა სხდომა გაიხსნა. სხდომას ხელმძღვანელობდა უზბეკეთის ლიდერი ისლამ კარიმოვი, ხოლო მის მუშაობაში რუსეთის, ჩინეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის ლიდერები მონაწილეობდნენ. პირველად სხდომას სტუმრების სტატუსით ესწრებოდნენ ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი და მონღოლეთის დელეგაცია.

სამიტის დღის წესრიგში მთავარი ადგილი რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფას დაეთმო. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ძირითადი განსხვავება ანალოგიური სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებებისაგან ის არის, რომ მასში დსთ-ს წევრ-სახელმწიფოთა გარდა, ჩინეთიც შედის, რაც, რუს მიმომხილველთა აზრით, მის მნიშვნელობას ერთიორად ამაღლებს. ნიშანდობლივია, რომ რუსი პოლიტოლოგები აღნიშნული ორგანიზაციის როლზე საუბრისას ხაზს უსვამენ, რომ მისი მთავარი ფუნქცია რეგიონული პრობლემების ვაშინგტონის გარეშე მოგვარების შესაძლებლობის დამტკიცებაა. ალბათ, სწორედ ამიტომაა, რომ რუსეთი დაჟინებით მოითხოვს ორგანიზაციაში წევრობის კანდიდატი ქვეყნების მკაცრად შერჩევას. რუსეთი აცხადებს, რომ ორგანიზაცია არ უნდა გადაიქცეს ერთგვარ ამორფულ გაერთიანებად, რომელიც მხოლოდ კონსულტაციურ ფუნქციას შეასრულებს. ასეთი არგუმენტაციის საბოლოო მიზანი, უთუოდ, აშშ-ს გავლენის ზრდის შეჩერებაა.

დღევანდელ ეტაპზე ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილი ინდოეთმა, ირანმა, მონღოლეთმა და პაკისტანმა გამოთქვა. და მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის ქარტია მის გაფართოებას არ გამორიცხავს, უახლოეს მომავალში ორგანიზაცია ახალ წევრთა მიღებას არ აპირებს. რუსეთი თვლის, რომ შანხაის ორგანიზაცია, პირველ რიგში, პოლიტიკური ორგანო უნდა იყოს და გლობალური პრობლემების გადაწყვეტით დაკავდეს.

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ფორმირება ყაზახეთს, ყირგიზეთს, ჩინეთს, რუსეთსა და ტაჯიკეთს შორის გაფორმებული შეთანხმების ბაზაზე მოხდა. შეთანხმებებს სამხედრო სფეროში ნდობის გაძლიერებისა და საზღვრისპირა რაიონში შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ, შესაბამისად, 1996 და 1997 წლებში მოეწერათ ხელი. ხუთი ქვეყნის მეთაურის შეხვედრაზე, 2001 წლის 15 ივნისს შანხაიში, ხუთეულმა თავის რიგებში უზბეკეთიც მიიღო. იმავე დღეს მოხდა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნის შესახებ დეკლარაციის ხელმოწერა.

ორგანიზაციის გაცხადებული მიზნებია: ურთიერთნდობის, მეგობრობისა და კეთილმეზობლობის განმტკიცება; წევრ-სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში ეფექტური თანამშრომლობის ხელშეწყობა; რეგიონში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ერთობლივი უზრუნველყოფა; ორგანიზაციის პრინციპები უსაფრთხოების სფეროში დაფიქსირებულია მის მიერ მიღებულ "შანხაის კონვენციაში ტერორიზმთან, სეპარატიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლის შესახებ".

გუშინ სამიტზე მთელ რიგ დოკუმენტებს მოეწერა ხელი. მთავარი მაინც ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსით მონღოლეთის გაერთიანებაა. რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განცხადებით, ორგანიზაციის საერთაშორისო ავტორიტეტი დიდად არის დამოკიდებული წევრ-სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის დონეზე. "რეგიონული ძალისხმევის გაერთიანებით ჩვენ სერიოზულ შედეგებს მივიღებთ," - აცხადებს პუტინი. პირველი ნაბიჯი გუშინ უზბეკეთის დედაქალაქში რეგიონული ანტიტერორისტული სტრუქტურის დაფუძნება გახდა.

# კუჩმას წინააღმდეგ ბრალდებები არ წყდება

უკრაინის უმაღლესი რადის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ, ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, გენერალური პროკურატურისაგან ლეონიდ კუჩმას წინააღმდეგ საქმის აღძვრა ხელმეორედ მოითხოვა. ამის შესახებ ხუთშაბათს პრესკონფერენციაზე განცხადება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ გრიგორი ომელჩენკომ. აღსანიშნავია, რომ ომელჩენკო ოპოზიციური ფრაქცია "იულია ტიმოშენკოს ბლოკის" წევრია.

საპარლამენტო კომისიამ ღონღაძის მკვლელობის საქმის გამოძიების წინასწარი დასკვნები გამოაქვეყნა. "დროებითმა საგამოძიებო კომისიამ, გააანალიზა რა მტკიცებულებები და მოუსმინა გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებს, გააკეთა დასკვნა: დღეისათვის კომისია ამტკიცებს, რომ ღონღაძის წინააღმდეგ უკანონო ქმედებების ძირითად შემკვეთად უკრაინის პრეზიდენტი გვევლინება," - აცხადებს ომელჩენკო. კომისიის თავმჯდომარის თქმით, ასევე დადგენილია პრეზიდენტის მონაწილეობა სხვა, დანაშაულის ნიშნების მქონე ქმედებებში. კერძოდ, ომელჩენკო ამტკიცებს, რომ უკრაინის სახელმწიფოს მეთაური "ხელს უწყობდა ყოფილ პრემიერ-მინისტრ პაველ ლაზარენკოს და განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხებით ქრთამებს იღებდა". შეგახსენებთ, პაველ ლაზარენკოს ათეულობით მილიონი დოლარი ფულის გათეთრების ბრალი აქვს წაყენებული და ამ ბრალდებით არის დაკავებული აშშ-ში.

ინტერნეტ-გამოცემა "უკრაინსკაია პრავდა"-ს ჟურნალისტი გიორგი ღონღაძე 2000 წლის 16 სექტემბერს გაუჩინარდა. მოგვიანებით, იგი მკვდარი იპოვეს. გაუჩინარებამდე ცოტა ხნით ადრე ღონღაძემ წერილობით მიმართა უკრაინის გენერალურ პროკურატურას, სადაც აცხადებდა, რომ მას უთვალთვალებენ.

**ს.ს. თელასი**
**გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის მასალა:**

საჰაერო გამთიშველი RNDZ-110 630A – 3ც
მცლელი PBC -35 - 9ც

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს "თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 4 ივნისისა.

**მოთხოვნა წინადადებების შესახებ (RFP) - არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების მცირე გრანტების პროგრამის მენეჯმენტი SCP და BTC მილსადენების მარშრუტზე - გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის კონტექსტში**

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) პროექტები**

**აპლიკანტების კონფერენცია**

**2004 წლის 21 ივნისი**

2004 წლის 24 მაისს, კომპანია BP-მ, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტების აქციონერი კომპანიების სახელით მოქმედმა ოპერატორმა კომპანიამ, გამოაქვეყნა მოთხოვნა სატენდერო წინადადებების შესახებ, რომლის მიხედვით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საქართველოში მოქმედმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები SCP და BTC მილსადენების მარშრუტზე არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების *მცირე გრანტების პროგრამის* მენეჯმენტის განხორციელების მიზნით.

კომპანია BP ტენდერში მონაწილეობის კანდიდატებისათვის აწყობს განმარტებით შეხვედრას, რომელიც გაიმართება ამა წლის 21 ივნისს, ორშაბათს, თბილისში, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" (ოთახი "ლილე") 14-დან 16 საათამდე. **შეხვედრა განკუთვნილია მხოლოდ იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც გეგმავენ წინადადების წარმოდგენას მცირე გრანტების პროგრამის მენეჯმენტის განხორციელების თაობაზე, და არა იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომელთაც გარკვეულ ეტაპზე ასეთი მცირე გრანტის მიღების პრეტენზია გააჩნიათ.**

შეხვედრა მიზნად ისახავს პასუხის გაცემას იმ ორგანიზაციების შეკითხვებზე, რომლებიც გეგმავენ სატენდერო წინადადების შემოტანას და ესაჭიროებათ განმარტებები, რათა მათი წინადადება სრულყოფილად პასუხობდეს "წინადადებების მოთხოვნის" (RFP) პირობებს.

**ს.ს. "თელასი"AN აცხადებს ტენდერს მრიცხველების კარადების მოწოდებაზე (6 მრიცხველიანი)**

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 23 ივნისამდე; მისამართი:
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 25 ივნისი.

**ს.ს. თელასი**
**გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის მასალა:**

1. **ბოქლომი რუსული "ჩებოქსარი" - 3600ც**
2. **ბოქლომი რუსული (палчиковий) – 540ც**
3. **ბოქლომი რუსული "კრაბი" - 1800ც**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს "თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 23 ივნისი.

# თითქმის დაუჯერებელი ამბავი

*სამი წლის წინათ თავის არეში მიყენებულმა გამჭოლმა ჭრილობამ კახა სუხიშვილს ტვინის საყრდენ-მამოძრავებელი და მეტყველების სფეროები დაუზიანა. ექიმების აზრით, მისი გადარჩენის შანსი მხოლოდ ერთი პროცენტი იყო, მის ამეტყველებას კი საერთოდ გამორიცხავდნენ. 6 ივნისს, კავთობის დღესასწაულზე, ყველასთვის მოულოდნელად, კახამ პირველი სიტყვა – "მამა" წარმოთქვა. ექიმები ამ მოვლენას ვერ ხსნიან და მას ღვთის წყალობად მიიჩნევენ.*

თამარ დვალი

2000 წლის 1 დეკემბერს თბილისის მეცხრე საავადმყოფოში რამდენიმე საათის ინტერვალით ორი უმძიმესი ავადმყოფი მოათავსეს. ისინი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. პირველი ავარიის შედეგად მიყენებული ტრამვებით მაშინვე დაიღუპა, მეორემ კი, აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა, თვითმკვლელობა სცადა.

**"კახას იმდენად უყვარდა სოცოცხლე, არ მეგონა, თუ ოდესმე ასეთ ნაბიჯს გადადგამდა. ეს გადაწყვტილება მას ბავშვობის მეგობრის სიკვდილმა გადააწყვეტინა. იმ დილით კახას მეგობარი საცოლის სანახავად მიდიოდა და მანქანა ჩემი შვილისაგან ინათხოვრა. დაბრუნებისას ვაკე-საბურთალოს გზაზე ავარია მოუვიდა და დაიღუპა. როდესაც კახამ ეს ამბავი გაიგო, რატომღაც თავი დაიდანაშაულა და აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა ასეთი გადაწყვეტლება მიიღო",** – ჰყვება კახას დედა, რომელსაც შვილის გადარჩენის იმედი მაშინაც კი არ დაუკარგავს, როდესაც ექიმები ასეთ რამეს წარმოუდგენელს უწოდებდნენ.

როდესაც კახა საავადმყოფოში მოათავსეს, მას უკვე სამი ლიტრი სისხლი ჰქონდა დაკარგული. ექვსი თვის განმავლობაში აპარატზე შეერთებულმა ექვსი სასიცოცხლო მნიშვნელობის ოპერაცია გადაიტანა. ორი წელიწადი საავადმყოფოში იწვა და ზონდის საშუალებით იკვებებოდა. **"იმ დღიდან მოყოლებული მე მხოლოდ უფლის იმედით ვცოცხლობდი. გავიგე, რომ ერევანში სარეაბილიტაციო ცენტრი იყო და კახა იქ გადავიყვანეთ, თუმცა მდგომარეობა გაუარესდა და ერთ კვირაში უკან დავბრუნდით. ძირითადი პროგნოზი, რომელსაც ექიმები აკეთებდნენ, ასეთი იყო: თუ სასწაული მოხდა და გადარჩა, შეგეძლებათ, მხოლოდ უყუროთ. ადამიანი, რომელსაც ტვინის ძირითადი ნაწილი დაზიანებული აქვს, ვერც დაილაპარაკებს და ვერც ადგება. მის მძიმე მდგომარეობას დაემატა სეფსისი და მენინგიტი; ორჯერ გაუკეთდა შუნტირება. თითოეული მნახველის თვალებში უიმედობა და ცრემლები მოჩანდა, თუმცა მე მწამდა, რომ ღმერთი ჩემს შვილს ამ ქვეყნიდან ასეთი დიდი ცოდვით დამძიმებულს არ გაუშვებდა",** - იგონებს ქალბატონი მარინა.

ლოცვა, მარხვა, ზიარება და ღვთის იმედად ყოფნა - ეს იყო ერთადერთი გზა, რომელიც კახას ოჯახს დარჩენოდა. უბედური შემთხვევიდან რამდენიმე დღეში უწმონდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ კახა საავადმყოფოში დალოცა და უთხრა, რომ მხოლოდ ლოცვა თუ გადაარჩენდა. ამის შემდეგ კახას, თითქმის, ყოველ კვირას აზიარებდნენ. ტანსაცმელი, რომელიც მას იმ უბედური შემთხვევის დღეს ეცვა, იერუსალიმში იესოს საფლავზე თვეების განმავლობაში ეწყო. მას წმიდა მამები ლოცვებსა და ფსალმუნებს უკითხავდნენ. 2004 წლის 6 ივნისამდე კახას არც ერთი სიტყვა არ უთქვამს. **"რამდენიმე თვის წინათ ხმით გაიცინა და გაჩნდა რწმენა, რომ კახა ლაპარაკს აუცილებლად დაიწყებდა. წინა დღეს ღმერთს ვევედრებოდი, იქნებ ერთი სიტყვა მაინც თქვასმეთქი. იმ დღეს წირვიდან ვბრუნდებოდი, როდესაც დამირეკეს და მითხრეს, კახამ ლაპარაკი დაიწყოო. მე ამ შეგრძნების აღწერა არ შემიძლია. ჩემი ძმა მეორედ დაიბადა და მე ვირწმუნე, რომ, თუკი რაღაცას მთელი გულით შესთხოვ უფალს, ის აუცილებლად დაგეხმარება. მისი პირველი სიტყვა - "მამა" იყო",** - ამბობს მაკა სუხიშვილი.


*კახა სუხიშვილი ინცინდენტამდე.*

ახლა კახა ერთდროულად სამ ენაზე ალაპარაკდა. მან კარგად იცოდა რუსული, ინგლისური და იტალიური. კარგად ახსოვს, თითქმის, ყველაფერი, თუმცა არ ახსოვს, რა მოხდა ბოლოს. ექიმები ამბობენ, რომ ადამიანს აფექტური მგომარეობა, თითქმის, არასოდეს ამახსოვრდება. კახასთან ერთად ახლა მთელი ოჯახი თავიდან იხსენებს ყველაფერს, რაც მის ცხოვრებაში მომხდარა.

**"ექიმებს სასწაულების ნაკლებად გვჯერა, თუმცა ადამიანი, რომელსაც ტვინის ორივე სფერო დაზიანებული ჰქონდა და დღეს ცოცხალია, მართლაც, სასწაულია. მედიცინაში ასეთი შემთხვევა, თითქმის, არ არსებობს. კახას მშობლებმა მართლაც შეუძლებელი შეძლეს. მას მეტყველების ნერვი დაზიანებული ჰქონდა და ენას საერთოდ ვერ ამოძრავებდა. რამდენიმე დღის წინათ ჩემთან ზარი გაისმა და კახას ხმა რომ გავიგონე, ყურებს არ დაუჯერე. იგი არც კი მიცნობს, მაგრამ გადარჩენისათვის მადლობას მიხდიდა. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში მედიცინა უძლური იყო. მისი გადარჩენა ღმერთის ნებით მოხდა. ახლა საჭიროა პლასტიკური ოპერაცია გაუკეთდეს, რომელიც ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მანამდე საჭიროა კონსილიუმი შედგეს და განვსაზღვროთ, თუ სად და როგორ აჯობებს მკურნალობის გაგრძელება",** – განუცხადა "24 საათს" ნეიროქირურგიის ცენტრის ინტენსიური თერაპიის განყოფილების გამგემ დავით ყაზაიშვილმა.

29 წლის კახა უფლისაგან კიდევ ერთი სასწაულის მოხდენას ელის. ახლა მან ფეხზეც უნდა გაიაროს: **"ღმერთმა გადამარჩინა და უფლის გზას უნდა დავადგე. სანამ დავილაპარაკებდი, სიტყვები ყელში მაწვებოდა და მახრჩობდა. უფლის ნებით, ერთ წელიწადში ფეხზეც გავივლი,** – ამბობს იგი და ამ სიტყვებს შესისხლხორცებულ ლოცვასაც აყოლებს, - **უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი".**

P.S. კახას ფეხზე დაყენება და თავის ქალის ფორმის აღდგენა მხოლოდ საზღვარგარეთაა შესაძლებელი. თუკი ვინმეს შეუძლია დახმარება გაუწიოს სუხიშვილების ოჯახს, დარეკოს ნომერზე: 899 53 41 94

**ქალაქ თბილისის მერის ინიციატივა**
**საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი**

**იწვევს მოხალისეებს**
სამეზობლო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობისათვის.

თქვენი დახმარებით და სახელმწიფო რესურსების მინიმალური გამოყენებით, მნიშვნელოვან ადგილობრივ პრობლემებს გადავჭრით.

ჩვენი მიზანია:

საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმა თბილისის მერიის მიერ განსახორციელებელ საქმიანობაში;
მოსახლეობისა და ქალაქის ადმინისტრაციის თანამშრომლობის განმტკიცება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას;
მოსახლეობის ჩართვა გადაწყვეტილებების მიღებაში;
სამეზობლო ამხანაგობების განვითაების ხელშეწყობა;

**გახდი თბილისის კორპუსის მოხალისე!**
**შექმენი ამხანაგობა, მიხედე შენს უბანს შენ თვითონ!**
დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 93-36-32
ელ-ფოსტა: tbilisi-corps@hotmail.com

პროფესიონალი

# როგორ გავხდეთ წარმატებული სტომატოლოგი

### ინტერვიუ კლინიკა "უნიდენტ-როსის" ხელმძღვანელთან, პროფესორ მარინა მამალაძესთან

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ საქართველოში ინტერნატურის და კლინიკური ორდინატურის (ექიმთა უშუალო დიპლომისშემდგომი განათლება) სისტემა მოიშალა. სტომატოლოგიურმა კლინიკამ "უნიდენტ-როსმა", პირველმა მედიცინაში და, კერძოდ სტომატოლოგიაში, დაიწყო ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების ახალი ფორმების ძიება და ორგანიზება გაუკეთა რეზიდენტურის ტიპის სწავლებას. ამ სფეროში კლინიკას უდიდესი გამოცდილება დაუგროვდა. სტომატოლოგიური განათლების ზოგიერთ აქტუალურ საკითხზე სასაუბროდ "უნიდენტ-როსის" ხელმძღვანელს პროფესორ მარინა მამალაძეს ვეწვიეთ.

მარინა მამალაძე: "სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ სტომატოლოგიურმა კლინიკა "უნიდენტ-როსმა" თერაპიულ სტომატოლოგიაში ექიმი-რეზიდენტების მომზადება საქართველოში პირველმა დაიწყო 1996 წელს. ჯანდაცვის სამინისტრომ რეზიდენტების სახელმწიფო პროგრამით მომზადება 2000 წელს გადაწყვიტა. რეზიდენტების მომზადების უფლება სტომატოლოგიაში "უნიდენტ-როსთან" ერთად მიენიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს და დიპლომისშემდგომი განათლების აკადემიას. "უნიდენტ-როსში" 150-ზე მეტი ექიმი-სპეციალისტი მომზადდა. დღეს, თითქმის, ყველა დასაქმებულია.


მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*მაღალკონკურენტ-უნარიან, წარმატებულ, პოპულარულ სტომატოლოგად ჩამოყალიბებისთვის, ძალზე მოკლედ რომ ვთქვათ, აუცილებელია კარგი საბაზისო, საუნივერსიტეტო, დიპლომამდელი განათლების მიღება.*

**- რამდენადაა აუცილებელი ახალგაზრდა ექიმი-სტომატოლოგებისათვის რეზიდენტურაში სწავლის გაგრძელება?**

- დიპლომამდელი განათლება მომავალ ექიმს ზოგადი პროფილის მქონე ექიმის კვალიფიკაციას აძლევს, რაც ცოდნის შემდგომ გაღრმავებას და ვიწრო სპეციალობაში დაოსტატებას გულისხმობს.

ექიმის განათლებას სასრული არ აქვს. სწორედ ამიტომ, მან ინსტიტუტის დასრულების შემდეგ კარგად უნდა გათვალოს თავისი შესაძლებლობები, აირჩიოს მომავალი სპეციალობა და შეარჩიოს ის ბაზა და ადგილი, სადაც მისი ცოდნა დაიხვეწება.

ახალგაზრდა დამწყები ექიმისათვის ამ მიზნების განხორციელების ერთ-ერთი მძლავრი საშუალება დარგობრივ რეზიდენტურაში სწავლის გაგრძელებაა. უფრო სწორად, ეს არის პრაქტიკულ საქმიანობაზე დაფუძნებული დიპლომისშემდგომი სასწავლო პროცესი.

რეზიდენტურაში მიღებული განათლება და იქ შეძენილი პრაქტიკული ჩვევები მომავალ სპეციალისტებს კონკურენტუნარიან სამედიცინო სფეროში წარმატების გარანტს უქმნიან.

სტომატოლოგია მედიცინის ყველაზე სწრაფად განვითარებადი, კონკურენციული და საკმაოდ ძვირი დარგია. სიძვირეს განაპირობებს ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამკურნალო საშუალებები და მასალები, რომლებსაც მხოლოდ საზღვარგარეთ აწარმოებენ და რაც კატასტროფული სისწრაფით იხარჯება. ამას ემატება მოსახლეობის ძალზე დაბალი მსყიდველობითუნარიანობა და სურვილი, მიიღონ მაქსიმალურად ევროპული ანუ ხარისხიანი დახმარება.

დღეს განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდების სურვილი, მიიღონ უმაღლესი სტომატოლოგიური განათლება, მაგრამ უკვე დიპლომირებულ სტომატოლოგთა შორის წარმატებული იქნება ის, ვისაც ექნება მაღალი თეორიული მომზადება, თანამედროვე სტომატოლოგიურ უნარ-ჩვევათა ფლობა, განაფული ხელი და უდიდესი მონდომება. ამ მოთხოვნათა განხორციელებას ისახავს მიზნად ექიმი-სპეციალისტების მომზადება რეზიდენტურაში.

**- რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ექიმი-რეზიდენტების მოსამზადებელი ბაზა?**

- უპირობო აუცილობლობას წარმოადგენს თითოეული ექიმი-რეზიდენტისათვის ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის გამოყოფილი სამუშაო ადგილი. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ეს "ადგილი" სტომატოლოგიური დანადგარია (ბორმანქანა და სავარძელი). ამასთანავე, აპარატურა უნდა პასუხობდეს დარგში არსებულ თანამედროვე მოთხოვნებს და განკუთვნილი უნდა იყოს ექიმი-რეზიდენტის მიერ ე.წ. ოთხი ხელით მუშაობის ჩვევის ათვისებისთვის. ბუნებრივია, ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ან, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ერთ სტომატოლოგიურ დანადგარზე, ერთ სამუშაო ცვლაში რამდენიმე რეზიდენტის გაპიროვნების შემთხვევაში, მომავალი სპეციალისტი ვერ შეძლებს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული იმ აუცილებელი მანიპულაციების შესრულებას, და საკმარისი (ასევე, მკაცრად განსაზღვრული) რაოდენობით პაციენტების მიღებას, ურომლისოდაც რეზიდენტურაში გატარებული სასწავლო პერიოდი, პრაქტიკულად, დაკარგულია.

როდესაც ექიმი-რეზიდენტებისათვის გამოყოფილი სამუშაო ადგილის შესახებ ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ორი მნიშვნელოვანი რამ - წინაკლინიკური ანუ საფანტომო კლასი და კომპიუტერული, ვიდეო, ფოტო და სლაიდ-თვალსაჩინოებებით აღჭურვილი სალექციო აუდიტორია.

საფანტომო (წინაკლინიკური) კურსის გავლის გარეშე, ყოვლად წარმოუდგენელია რეზიდენტების მიერ პაციენტთა მიღების დაწყება. დასამალი არ არის, რომ, თითქმის, ყოველთვის უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ (თუნდაც, წარჩინების დიპლომით) ახალგაზრდა ექიმებს არ გააჩნიათ საკმარისი პრაქტიკული ჩვევები და პაციენტთა მიღების გამოცდილება. ეს, ერთი მხრივ, განპირობებულია იმ მრავალი სტომატოლოგიური "სასწავლებლების" არსებობით, რომელთა მიერ გამოშვებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა სრულ შეუსაბამობაშია ქვეყანაში ექიმ-სტომატოლოგთა მოთხოვნილებებთან, მეორე მხრივ კი - მრავალ სასწავლებელში სწავლების საკმაოდ დაბალ დონესთან. წლების განმავლობაში დაგროვილმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს უფრო უკეთესი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა აქვთ, ვიდრე სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან მოსულ ექიმ-სტომატოლოგებს, სადაც სწავლის დაწყება ხშირად ანბანიდან გვიწევს.

თავის მხრივ, რაც უფრო მაღალი დონისაა რეზიდენტურის ბაზა, მით უკეთაა აღჭურვილი მისი საფანტომო კურსი. მართალია, თითოეული რეზიდენტის უზრუნველყოფა ინდივიდუალური პორტატული ბორმანქანით, შესაბამისი ფანტომებით და მულაჟებით, პლასტმასის თუ ექსტრაგირებული კბილებით, წვრილი და მსხვილი სტომატოლოგიური ინსტრუმენტით ძვირიცაა და რთულიც, მაგრამ ამ პირობებში ახალგაზრდა ექიმების მიერ დაშვებული შეცდომებისა და გართულებების რისკი კლინიკაში, პრაქტიკულად, მინიმუმამდე დადის.

**- რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ექიმი-რეზიდენტის პედაგოგი?**

- იდეალური კლინიკური ბაზის არსებობის შემთხვევაშიც კი, შეუძლებელია დასახული მიზნის მიღწევა, თუ ახალგაზრდა ექიმებს სისტემატურ კონტროლს არ უწევენ და სპეციალობას ღრმად არ შეასწავლიან ლოკალური ხელმძღვანელი-პედაგოგები.

რეზიდენტურაში ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების მრავალწლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ პედაგოგიური ნიჭი, სამეცნიერო მუშაობა, სამეცნიერო ხარისხები და სამეცნიეროპედაგოგიური წოდებები, ალღო და, რაც მთავარია, გამოცდილება პედაგოგებს უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწეობაზე მეტად რეზიდენტურაში სჭირდებათ, რათა შეაჯამონ, შეაჯერონ და ზოგჯერ თავიდან დაიწყონ კიდეც იმ საკითხების განხილვა და შეფასება, რაც ახალგაზრდა ექიმებმა ინსტიტუტში სწავლის პერიოდში აითვისეს. მეორე მხრივ, ზოგადი სამედიცინო საკითხების გავრცობის საფუძველზე, კონკრეტიზაცია გაუკეთონ იმ ძირითად მიმართულებებსა და პოსტულატებს, რაც ვიწრო სპეციალობაში ექიმის დახელოვნებისთვისაა საჭირო; მესამე - თითოეული კონკრეტული საკითხის განხილვისას მზად ჰქონდეთ თავიანთი, პერსონალური შეხედულებები და მოსაზრებები, რაც წლების მანძილზე მათ მიერ დაგროვილ თეორიულ ცოდნაზე იქნება დაფუძნებული; მეოთხე - თითოეული კონკრეტული კლინიკური შემთხვევის განხილვას დაუპირისპირონ საკუთარი პრაქტიკული მოღვაწეობის მანძილზე დაგროვილი გამოცდილებები და, შესაბამისად, რეზიდენტებს საშუალება მისცენ, გააკეთონ ლოგიკური ანალიზი. სწორედ ამიტომ, ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია, ექიმი-რეზიდენტების მომზადებას უხელმძღვანელონ, როგორი ტიტულებიც გინდა ჰქონდეს, ექიმ-სტომატოლოგებმა, რომელთაც ზურგს არ უმაგრებს უდიდესი ბაზა მრავალწლიანი და ყოველდღიური წარმატებული პრაქტიკული მოღვაწეობისა. გასაკვირი არ არის, რომ მომავალი რეზიდენტები სწორედ იმ კლინიკურ ბაზებს ირჩევენ, სადაც სახელოვანი კლინიცისტები მუშაობენ.

**- რას ნიშნავს უმცროსი ექიმი? შეძლებს თუ არა სტომატოლოგი უმცროს ექიმად მუშაობის დროს სათანადო განათლების მიღებას?**

- უმცროს ექიმს დამოუკიდებელი საექიმო მოღვაწეობის უფლება არ აქვს. უმცროსი ექიმის ინსტიტუტი იმ სახით, რომელიც ახლა საქართველოშია, ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება ისეთივე ეფექტური, როგორც რეზიდენტურაში სწავლებაა. ჩემი აზრით, მათი შედარებაც კი არ უნდა ხდებოდეს. ექიმი-სტომატოლოგის დიპლომისშემდგომი მომზადებისათვის საჭიროა სათანადო წინაკლინიკური და კლინიკური ბაზები და შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგები. თანაც, კანონის მიხედვით, უმცროსი ექიმის ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის საქართველოში 1 თუ 2 წელი დარჩა. თუმცა, ბოლო ხანს რეზიდენტურაში თუ უმცროსი ექიმის სტატუსით ექიმი-სტომატოლოგების მომზადების უფლების მოპოვებისათვის სხვადასხვა კლინიკების სწრაფვამ მანკიერი სახე მიიღო, რასაც, იმედია, სახელმწიფო მიხედავს.

**- რას ურჩევთ იმ სტომატოლოგებს, რომლებმაც ახლო წარსულში დაამთავრეს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლები და დღემდე არ აქვთ ექიმის ადგილი სტომატოლოგიურ კლინიკებში?**

- თუ ექიმს ამის შესაძლებლობა აქვს, უნდა მიიღოს მაღალი დონის პოსტდიპლომური განათლება რეზიდენტურაში. ვთვლი, რომ ეს საკმარისი წინაპირობაა მათი დასაქმებისთვის. მიუხედავად სტომატოლოგთა ჭარბწარმოებისა, განათლებულ, ერუდირებულ ახალგაზრდა ექიმებზე დღეს ბევრი წარმატებული კლინიკაც არ იტყოდა უარს. საბედნიეროდ, ბოლო 5-8 წელიწადია, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა სტომატოლოგის სამსახურში მოსაწყობად ნაცნობობა და სხვა რამ იყო საჭირო. დღეს განათლება განსაზღვრავს ყველაფერს.

თუ ახალგაზრდა ექიმს ამის შესაძლებლობა არ აქვს, უნდა იზრუნოს პროფესიის შეცვლაზე. იმდენად, რამდენადაც იგი, პრაქტიკულად, უპერსპექტივოა.

**- რას ურჩევდით დასაქმებულ, მაგრამ პაციენტებით ნაკლებად დატვირთულ სტომატოლოგებს?**

- სტომატოლოგმა, რომელიც პაციენტის ნაკლებობას განიცდის, უნდა იცოდეს (ალბათ, გულის სიღრმეში ხვდება კიდეც), რომ მისი განათლების დონე არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს. თუნდაც კარგად აღჭურვილ სტომატოლოგიურ კლინიკაში თუ კაბინეტში სტომატოლოგისთვის პაციენტთა სიმწირე დამანგრევლად მოქმედებს ექიმზე და არცთუ იშვიათად დეპრესიას იწვევს.

**- რა იღონონ იმ ახალგაზრდა ექიმებმა, რომლებიც წელს ამთავრებენ სტომატოლოგიურ ფაკულტეტებს? შეიძინონ ძვირადღირებული სტომატოლოგიური აპარატურა, თუ გააკეთონ ეკონომია და საშუალო ან დაბალი ფასის მქონე აპარატურით დაკამყოფილდნენ?**

- ვურჩევ, ჯერ შეიძინონ განათლება და შემდეგ - ძვირადღირებული სტომატოლოგიური დანადგარები, აპარატურა, კაბინეტები. თუ მათ ამ ეტაპზე ორივეს - ცოდნის და აპარატურის - შეძენის მატერიალური შესაძლებლობა აქვთ, პრიორიტეტი მაინც ცოდნის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების და ახალი ტექნოლოგიების დაუფლებას უნდა მიანიჭონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ფიასკო გარანტირებული იქნება - აპარატურა მორალურად გაცვდება, ცოდნა კი გამოუსადეგი გახდება.

**- დაბოლოს, როგორ გავხდეთ წარმატებული სტომატოლოგი?**

- მაღალკონკურენტუნარიან, წარმატებულ, პოპულარულ სტომატოლოგად ჩამოყალიბებისათვის, ძალზე მოკლედ რომ ვთქვათ, აუცილებელია კარგი საბაზისო, საუნივერსიტეტო, დიპლომამდელი განათლების მიღება; რაღა თქმა უნდა, უფრო მაღალი მოთხოვნები წაეყენება დიპლომისშემდგომ განათლებას რეზიდენტურაში და მხოლოდ ამის შემდეგ - მოკლევადიან სასწავლო-პრაქტიკულ ციკლებს, სადაც უნდა განხორციელდეს სწრაფადგანვითარებადი სტომატოლოგიური ტექნოლოგიების ათვისება. წარმატებული ექიმი-სტომატოლოგი რომ გახდეთ, გამართლებაცაა საჭირო. თუმცა, ძალიან ხშირად, როგორც წესი, სწორედ კარგი განათლების სტომატოლოგებს უმართლებს ხოლმე.

# მამასახლისობის კანდიდატები დაიბნენ

*თბილისის გამგეობებმა საცხოვრებელ კორპუსებში მამასახლისების შერჩევა დაიწყეს. თუმცა, ამ ინსტიტუტის ასამოქმედებელი მთავარი ბერკეტის – მამასახლისის ანაზღაურების შესახებ არავინ არაფერი იცის. მეტიც, ქალაქის ხელძღვანელობა იმასაც ვერ გვპასუხობს, ეს ინსტიტუტი საერთოდ აღდგება თუ არა.*

ნანა ქადაგიშვილი

მამასახლისის ინსტიტუტი, ოღონდ არა ამ სახელწოდებით, საბჭოთა პერიოდის კორპუსების მობინადრეებისთვის უცხო არ არის. იგი კორპუსის ზედამხედველისა და სახლმმართველობასა და მოსახლეობას შორის შუამავლის როლს ასრულებდა და ხელფასსაც იღებდა (რა თქმა უნდა - სახელმწიფოსგან). მაშინ ლიფტებიც ნორმალურად მუშაობდა, სადარბაზოები და ეზოებიც სუფთა იყო და ნაგავიც დროულად გაჰქონდათ. ეს იმიტომ, რომ ზედამხედველებთან ერთად სახლმმართველობებიც, ასე თუ ისე, მუშაობდნენ.

დღეს ყოფილი სახლმმართველობების მემკვიდრე სერვისცენტრები, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადასახადის ამოღების გარდა, მოსახლეობასა და გამგეობა-დასუფთავების სამსახურს შორის შუამავლის ფუნქციას ისევ ასრულებენ, ოღონდ ამ შუამავლობით ბევრი აღარაფერი კეთდება. დასუფთავების სამსახურის მოვალეობაში მხოლოდ ქუჩების დასუფთავება და ბუნკერებიდან ნაგვის გატანა შედის. მას აღარც მეეზოვეები ჰყავს და აღარც მებაღეები. შესაბამისად, კორპუსების სადარბაზოებისა და ეზოების მდგომარეობა მობინადრეთა ჯიბესა და მონდომებაზეა დამოკიდებული.

მაგალითად, ავიღოთ თბილისის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ისანი-სამგორის რაიონი. ამ რაიონის 62 175 მცხოვრებს დასუფთავების ერთი ცენტრი და ნარჩენების გამტანი 60 მანქანა ემსახურება (რა თქმა უნდა, მანქანები საბჭოთა პერიოდშია ნაყიდი). მანქანებისგან განსხვავებით, სერვისცენტრების რაოდენობა ცოტა არ არის, რაიონში 23 სერვისცენტრი მოქმედებს. თუმცა, კმაყოფილი ხშირად არც მოსახლეობაა და არც სახელმწიფო. მართალია, ბოლო წლებში ნარჩენების გატანის სიხშირე საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ მოსახლეობის ნაწილი მაინც ჩივის, - სანამ არ დავურეკავთ და არ შევაწუხებთ, ნაგვის გასატანად არავინ მოდისო. თუმცა, გასამართლებელი საბუთი სერვისცენტრებსაც აქვს. მოსახლეობის 50 პროცენტი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის გადასახადს (სულზე 40 თეთრი) არ იხდის. მაგალითად, ისანი-სამგორის რაიონში მაისის თვეში 62 175 მოქალაქიდან სერვისცენტრებმა მხოლოდ 29 788 ლარის ამოღება მოახერხეს. ეს კი გადასახადელი თანხის 47 პროცენტია. **"გადასახადის ამოღების ერთადერთი მექანიზმი ის არის, რომ როცა მოქალაქე სერვისცენტრში რაიმე ცნობის, ფორმა პირველის ასაღებად მიდის, სანამ დავალიანების ნაწილს მაინც არ გადაიხდის, ცნობას არ აძლევენ. კანონით, სერვისცენტრებს ამისი უფლება არ აქვთ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის",** – აცხადებს ისანი-სამგორის რაიონის საქალაქო მეურნეობის სასმახურის კომუნალური განყოფილების უფროსი შოთა გრიგოლია.

ასეთ სიტუაციაში გამგეობების ხელმძღვანელები მამასახლისის ინსტიტუტის აღდგენას საუკეთესო გამოსავლად მიიჩნევენ. **"მამასახლისობის კანდიდატებს უკვე შევხვდით. ყველა მონდომებულია, საკუთარი წინადადებებიც შემოგვთავაზეს. თუმცა, ანაზღაურების საკითხი ყველას აინტერესებს, მაგრამ ვერაფერი ვუპასუხეთ",** – გვითხრა შოთა გრიგოლიამ.

მამასახლისის ინსტიტუტის აღდგენის ჯერ კიდევ შარშან მერიასა და საკრებულოს პარალელურად გაუჩნდათ და ამ ინსტიტუტის მოდელებიც ერთდროულად შეიმუშავეს. შემდეგ კი კარგა ხანს ედავებოდნენ ერთმანეთს, ვისი მოდელი ჯობდა. მერიის ვარიანტის მიხედვით, მამასახლისი უნდა ყოფილიყო იურიდიული პირი, რომელსაც კორპუსის მობინადრეები აირჩევდნენ. იგი ხელშეკრულებას გააფორმებდა წყალკანალთან, დასუფთავების სამსახურთან, "ეი-ი-ეს თელასთან" და ვალდებული იქნებოდა, კორპუსის ყველა პრობლემა მოეგვარებინა. მამასახლისს ინკასატორის მოვალეობაც უნდა შეესრულებინა და ანაზღაურებას სწორედ კორპუსის მობინადრეებიდან ამოღებული გადასახადებიდან, გარკვეული პროცენტის სახით, მიიღებდა. საკრებულოს მოდელი ზემოთ აღნიშნულისგან არსებითად განსხვავდებოდა. მის მიხედვით, მამამსახლისი სახელმწიფო მოხელე იქნებოდა, მას ვიცე-პრემიერი დანიშნავდა და საკრებულო დაამტკიცებდა. იგი ხელფასს ბიუჯეტიდან მიიღებდა.

დღეს ამ საკითხთან დაკავშირებით ძალზე ბუნდოვანი სიტუაციაა. როგორც ისანი-სამგორის რაიონის საქალაქო მეურნეობის სამსახური აცხადებს, მათ მამასახლისების შერჩევა მერიის განკარგულებით დაიწყეს. თუმცა, ვერც მერიაში და ვერ საკრებულოში ვერავინ გვპასუხობს, მამასახლისის ინსტიტუტი რა ფორმით აღდგება, ან საერთოდ თუ აღდგება. მერია გამგეობებისკენ გვითითებს, - ამ საკითხის შესახებ ყველაფერი იქ იციანო. საკრებულოს კი, როგორც აღმოჩნდა, სულ სხვა იდეა ჰქონია. ჩვენ საბინაო ამხანაგობების აღდგენას ვაპირებთ, მამასახლისის ინსტიტუტის შესახებ არაფერი ვიცითო, - გვითხრა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დავით იოსელიანმა.

# ციხეში ნარკოტიკები ადვოკატებსაც შეაქვთ

თამარ კაციტაძე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ზურაბ აბაშიძემ გვერდი ვერ აუარა გეგუთის №8 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან 41 პატიმრის გაქცევის ფაქტს.*

ციხე რომ ნარკოტიკების ბრუნვის ერთ-ერთი ყველაზე "მოწესრიგებული" სისტემაა, ამაზე საუბარი დღეს არ დაწყებულა და, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება გაგრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ციხეში აკრძალული ნივთიერებების, მათ შორის - ნარკოტიკების შეტანაზე იუსტიციის სამინისტროს და თავად სასჯელაღსრულების დაწესებულების ყველა დროის ხელმძღვანელობას აქტიური ბრძოლა აქვს გამოცხადებული, ნარკოტიკების შეტანის მექანიზმი კვლავ უცვლელია. ციხეში შემსვლელთა თუ ამანათების გამკაცრებული ჩხრეკის მიუხედავად, აკრძალული ნივთიერებები დანიშნულების ადგილამდე სხვადასხვა ხერხებით და ხშირად თვით სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა ხელით მაინც აღწევს, რა თქმა უნდა - გარკვეული ანაზღაურების საფასურად. აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის დასამტკიცებლად კი ხელმძღვანელობის მხრიდან პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია ციხეში ნარკოტიკების შემტან პატიმართა ახლობლების, ანუ ჩვეულებრივი მოქალაქეების დაკავების შესახებ. თუმცა, გუშინდელი ფაქტი განსხვავებულია, რადგან ამ შემთხვევაში "დამნაშავე" არა ჩვეულებრივი მოქალაქე, არამედ ადვოკატია. გუშინ ამ ფაქტს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ზურაბ აბაშიძემ სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა.

**"იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა პატიმრისთვის ნარკოტიკული საშუალებების შეგზავნის ფაქტზე დააკავეს ბაღდათის რაიონის ადვოკატი ნიკოლოზ კვანტრიშვილი"**, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

მინისტრის მოადგილის თქმით, კვანტრიშვილი ცდილობდა, თბილისის №1 საპყრობილეში, ერთ-ერთი პატიმრისთვის შეეგზავნა ფსიქოტროპული საშუალება - 25 აბი "ფენობარბიტალი".

დანაშულის ფაქტზე მხილებული ადვოკატი ამჟამად დაკავებულია და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ დანაშაულში პიროვნება პირველად არის მხილებული და საუბარია ნარკოტიკების მცირე რაოდენობაზე, გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სასჯელი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მოსალოდნელია პატიმრობა. რა სახის სასჯელი დაეკისრება კვანტრიშვილს, წინასწარ ძნელი სათქმელია, რადგან, მინისტრის მოადგილის თქმით, იგი წარსულშიც შეიმჩნეოდა ციხეში ნარკოტიკების შეტანის მცდელობაში და მასზე ამ ხნის განმავლობაში ოპერატიული მუშაობა მიმდინარეობდა.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ნარკოდანაშაულის გამოვლენის ფაქტები მხოლოდ ადვოკატის დაკავებით არ შემოიფარგლება. ზურაბ აბაშიძის ინფორმაციით, ბოლო პერიოდში პატიმრებისთვის ნარკოტიკების შეგზავნის ოცდაერთი ფაქტია გამოვლენილი, მათ შორის არიან თავად სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებიც. პატიმრებისთვის ნარკოტიკების გადაცემაზე მხილებულია რეჟიმის ინსპექტორი გურამ გელაშვილი და საპყრობილის ინსპექტორი ნიკოლოზ გოგიჩაშვილი, ხოლო საპყრობილის თანამშრომელი მამუკა ქვრივიშვილი, აბაშიძის ინფორმაციით, თავად იყო ნარკოტიკების მომხმარებელი, რისთვისაც მას უკვე დაატოვებინეს სასჯელაღსრულებითი სისტემა.

**"ამგვარი დანაშაულებისადმი დაუნდობელი ბრძოლა გვაქვს გამოცხადებული და არავის დანდობას არ ვაპირებთ, რა თანამდებობის და სტატუსისაც არ უნდა იყოს იგი. მოვუწოდებ ყველას, განსაკუთრებით კი პატიმრების ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, ხელი აიღონ მსგავს ქმედებებზე, რადგან არც ერთი ფაქტი რეაგირების გარეშე არ დარჩება"**, – ამგვარი მოწოდებით დაასრულა ნარკოდანაშაულთან ბრძოლის თემა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ.

თუმცა, გუშინდელ პრესკონფერენციაზე ზურაბ აბაშიძემ გვერდი ვერ აუარა გეგუთის №8 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან გაქცეული 41 პატიმრის ფაქტსაც. მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, უკვე დაკავებულია 11 ძებნილი, მათ შორის არის რამდენიმე გაქცეული. ისინი სამართალდამცავებს ნებაყოფლობით ჩაბარდნენ.

მართალია, შს მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაქცეული პატიმრებისთვის ნებაყოფლობით დაბრუნებისთვის მიცემული ორდღიანი ვადა ამოიწურა, მაგრამ, როგორც ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, იმ შემთხვევაში, თუ პატიმრები ნებაყოფლობით გამოცხადდებიან და სხვა ძებნილების დაკავების მიზნით სამართალდამცავებთან აქტიურად ითანამშრომლებენ, მათ სასჯელი მაინც შეუმსუბუქდებათ.

# ბათუმის ციხიდან გაქცეული პატიმარი დააკავეს

ბათუმის ციხიდან გაქცეული ხუთი პატიმრიდან გუშინ ერთის დაკავება მოახერხეს.

როგორც ცნობილია, ბათუმის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-3 საპყრობილის პირველ სართულზე მდებარე მე-14 საკანში მოთავსებული რვა პატიმრიდან ხუთმა 9 ივნისის ღამით გაქცევა მოახერხა. მათ გატეხეს საკნის იატაკი და სარდაფში ჩაღწევა მოახერხეს, სადაც წინასწარ ჰქონდათ გათხრილი გვირაბი. თხუთმეტმეტრიანი გვირაბით მათ ადვილად მოახერხეს საპყრობილიდან თავის დაღწევა. სამართალდამცველთა ცნობით, ამ გვირაბს პატიმრები თვენახევრის მანძილზე თხრიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ პატიმართა გაქცევის გახმაურებისთანავე აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრმა დავით ღლონტმა გაქცეულთა მოსაძებნად ოპერატიული ჯგუფი შექმნა, გუშინდელ დღემდე არც ერთი გაქცეული პატიმარი არ დაუკავებიათ. მხოლოდ სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ხელმძღვანელობის მიერ გუშინ ჩატარებული ოპერაციის შედეგად ხელვაჩაურის რაიონის დაბა მახინჯაურის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს ერთ-ერთი ძებნილი, 26 წლის გენადი სურმანიძე. გრძელდება ღონისძიებები დანარჩენი გაქცეულების დასაპატიმრებლად.

*24 საათი*

# სააღმსრულებლოს ოფისი კრედიტორმა დაწვა

გუშინ ყვარლის რაიონის სასამართლოს შენობაში განთავსებული იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო დეპარტამენტის კახეთის ბიუროს ყვარლის აღმასრულებლის ოფისი დაიწვა. სამართალდამცველებმა ოფისის დაწვის ბრალდებით უკვე დააკავეს ვინმე მაია ქაფიანიძე. პოლიციის ცნობით, იგი ერთ-ერთი იმ საქმის კრედიტორია, რომელიც ყვარლის აღმასრულებელს გადასცეს აღსასრულებლად.

როგორც იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ სტეფანე თუმანიშვილმა აცნობა"24 საათს", ქაფიანიძემ ჯერ აღმასრულებლის ოთახი გატეხა, იქიდან დოკუმენტები გაიტანა, სანაგვე ბუნკერში დაწვა და შემდეგ ოთახს ცეცხლი გაუჩინა. უკვე დადგენილია, რომ ქაფიანიძე წარსულში ხულიგნობისთვისაა ნასამართლევი. მომხდარის გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ყვარლის განყოფილება იძიებს.

# ნუგზარ შევარდნაძის ბიზნესპარტნიორი პატიმრობაში რჩება

გუშინ თბილისის საოლქო სასამართლომ განიხილა ნუგზარ შევარდნაძის პარტნიორის, ბიზნესმენ რევაზ ხვედელიძის მიმართ რაიონული სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების საკითხი. როგორც ცნობილია, რევაზ ხვედელიძე უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა 2 ივნისს დააკავეს. მას ბრალი წაუყენეს გამოძალვის და ყაჩაღობის მუხლებით. საქმე ავტომანქანის და საცხოვრებელი სახლის მითვისებას ეხება. ბრალდებულის ადვოკატი ვახტანგ თალაკვაძე აცხადებს, რომ ხვედელიძის დაკავების დროს დაშვებულია მთელი რიგი პროცესუალური შეცდომები. ამ შეცდომების ჩამონათვალს შეიცავს შუამდგომლობა, რომელიც მან საოლქო სასამართლოში შეიტანა, ხვედელიძისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმება და მისი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება მოითხოვა.

რევაზ ხვედელიძის ადვოკატის შუამდგომლობა გუშინ საოლქო სასამართლოს მოსამართლემ კარლო ბზიშვილმა განიხილა. დახურულ პროცესს არ ესწრებოდა თავად ბრალდებული. მოსამართლემ, ამ ბოლო ხანებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, არ დააკმაყოფილა ვახტანგ თალაკვაძის მოთხოვნა და ბიზნესმენი რევაზ ხვედელიძე კვლავ წინასწარ პატიმრობაში დატოვა. გადაწყვეტილება საბოლოოა და აღარ გასაჩივრდება. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის საკითხზე სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში იმსჯელებს, თუ საქმეში ახლად აღმოჩენილი გარემოებები გამოვლინდება.

ცხადია, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილებას გამოთქვამს ბრალდებულის ადვოკატი. ვახტანგ თალაკვაძის თქმით: **"სასამართლო ხელისუფლება ბოლო პერიოდში შუამდგომლობას მხოლოდ და მხოლოდ ბრალდების მხარეს უკმაყოფილებს და, შესაბამისად, დღევანდელი გადაწყვეტილებაც მოსალოდნელი იყო"**.

*ინტერ-პრესი*

# აფხაზების იძულებითი აღიარება

*გუშინ გალის რაიონის სოფელ სიდაში მომხდარმა ინციდენტმა დაადასტურა ის ფაქტი, რომლის შესახებაც ქართველი სამართალდამცველები კარგა ხანია საუბრობენ. აფხაზურ მხარე აქამდე არ აღიარებდა, რომ ქართული ციხეებიდან გაქცეულ პატიმართა ნაწილი აფხაზეთის ტერიტორიას აფარებს თავს; მეტიც, ამის თაობაზე ქართული მხარის მიერ გაკეთებული განცხადებების მიღმა ისინი პოლიტიკური შეტევის ელემენტებს ხედავდნენ. გუშინ კი მათ მოუწიათ ეღიარებინათ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსთავის კოლონიიდან გაქცეული პატიმარი მოკლეს. საუბარია სოფელ სიდაში ჩატარებულ სპეცოპერაციაზე.*

გუშინ დილით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გალის რაიონის სოფელ სიდაში აფხაზურმა მილიციამ სპეცოპერაცია ჩაატარა. სპეცოპერაციის მიმდინარეობისას დაწყებული ოთხმხრივი სროლისას კი დაიღუპა გალის აფხაზური მილიციის უფროსი სერგეი საბეკია და იმავე მილიციის ერთი თანამშრომელი. მომხდარის დეტალები მოგვიანებით გაირკვა ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე.

აფხაზურმა მხარემ ოთხმხრივ საგამოძიებო კომისიას ვრცელი მოხსენება წარუდგინა სიდაში მომხდარ ტრაგიკულ ინცინდენტთან დაკავშირებით. მათი მონაცემების თანახმად, სერგეი საბეკიამ და აფხაზური მილიციის სხვა თანამშრომლებმა სიდაში სპეცოპერაცია ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩაატარეს, რომლის თანახმად, სიდაში მცხოვრები რუზგენ ხუბილავას სახლში იმალებოდა რუსთავის კოლონიიდან გაქცეული ქართველი მსჯავრდებული, წარმოშობით სიდელი ზვიად ხურცილავა. საშიშ დამნაშავეს თავისუფლების 20 წლით აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. აფხაზმა სამართალდამცველებმა ალყა შემოარტყეს სახლს. სპეცოპერაციის დროს ამტყდარი ორმხრივი სროლის შედეგად დაიღუპა სერგო საბეკია, ადგილზე იქნენ ლიკვიდირებულნი ზვიად ხურცილავა და რუზგენ ხუბილავა, აფხაზური მილიციის ერთ-ერთი თანამშრომელი კი მძიმედ დაიჭრა და იგი სოხუმის საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

აფხაზური მხარის მტკიცებით, ძებნილ ხურცილავას კავშირი ჰქონდა ქართველ პარტიზანებთან, რომლებიც შესაძლოა, სპეცოპერაციის დროს ალყაშემორტყმულ სახლში იმყოფებოდნენ და გაქცევა მოახერხეს.

სხვათა შორის, ქართული მხარის წარმომადგენლებმა გულისტკივილი გამოთქვეს სერგეი საბეკიას დაღუპვის გამო. მებრძოლი ჭკადუას თქმით, ის იყო პოლიციელი, რომელიც დაუნდობლად ებრძოდა კრიმინალებს და აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ მხარესთან.

როგორც მოხსენების მოსმენის შემდეგ ქართული მხარის წარმომადგენელმა, ზუგდიდის საოლქო პროკურორმა მებრძოლი ჭკადუამ განაცხადა, ხურცილავა საშიში დამნაშავე იყო, რომელსაც მრავალი დანაშაული აქვს ჩადენილი როგორც გალის რაიონის ტერიტორიაზე, ასევე ენგურის მარცხენა ნაპირზე, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში.

გალის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილის თენგიზ ძძუას თქმით: **"მართალია, აფხაზებს არ სურთ ამის აღიარება, მაგრამ აფხაზეთის ტერიტორიას კიდევ არაერთი ქართველი კრიმინალი აფარებს თავს. საერთოდაც, გალის რაიონში, განსაკუთრებით კი დაბალი ზონის სოფლებში, კრიმინალების სათარეშოდ საუკეთესო პირობებია შექმნილი. აფხაზური მილიცია ღამით იქ გამოჩენას ვერ ბედავს, ჩვენ კი ვერ შევდივართ".**

რაც შეეხება გუშინდელ შეხვედრას, მისი მიმდინარეობისას აფხაზურმა მხარემ პრეტენზიები გამოთქვა ქართული მასმედიის მიმართ, რომელიც, მათი შეფასებით, არაობიექტურად აშუქებს გალის რაიონში მიმდინარე მოვლენებს, კერძოდ, გალის რაიონის სოფელ საბერიოში მომხდარ ფაქტს, როდესაც ოთხი ქართველი იქნა აყვანილი. აფხაზები ირწმუნებიან, რომ აფხაზურმა მილიციამ ოთხი ქართველი - ჯომადავა, გოგოხია და ძმები ჭოლარიები - საბერიოში დასაკითხად აიყვანა. ისინი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაღმის აფეთქებაში არიან ეჭვმიტანილები. ოთხივე ამჟამად სოხუმის ციხეში იმყოფება. ქართული მხარის წარმომადგენლის მებრძოლი ჭკადუას თქმით კი, ამ ფაქტთან დაკავშირებით პროტესტს მხოლოდ მას შემდეგ გამოთქვამს, რაც დაკავებული ქართველების უდანაშაულობა დამტკიცდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, პროტესტის გამოთქმისგან თავს შეიკავებს.

ჭუბურხინჯის შეხვედრაზე საუბარი იყო ვარდნილჰესის მთავარი ინჟინრის აბესალომ ჯაბუას გატაცებაზეც. აფხაზების ინფორმაციით, მათ უკვე აქვთ წინასწარი ინფორმაციები ჯაბუას შესაძლო ადგილსამყოფელის შესახებ, თუმცა ამ ინფორმაციის დაკონკრეტებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებენ.

*24 საათი*

# რუსეთში ადამიანის უფლებები კვლავ უხეშად ირღვევა

*ადამიანის უფლებების დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაცია "Amnesty International"-მა გამოაქვეყნა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა ანგარიშები, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსეთის სამართალდამცველი სტრუქტურები კვლავ უხეშად არღვევენ ადამიანის უფლებებს.*

"Human Rights Watch"- ის დასკვნით, "ადამიანის უფლებების დარღვევის მხრივ რუსეთში სიტუაცია უცვლელია." გაერო-ს წამების წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი კი შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთში არსებული სიტუაციის გამო და სამართალდამცველ უწყებებს დაკავებულთა სასტიკ მოპყრობაში ადანაშაულებს. "Amnesty International"-ის დასკვნაში ნათქვამია, რომ განსაკუთრებით უხეშად ილახება ლტოლვილთა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებები. "რუსეთში ადამიანის წამება გამონაკლისად არ უნდა მივიჩნიოთ, ეს წესია," – ნათქვამია დასკვნაში.

ადამიანის უფლებების დამცველ საერთაშორისო ექსპერტთა დასკვნით, განსაკუთრებით საშიშ ადგილად მიჩნეულია მილიციის განყოფილებები და წინასწარი დაკავების საკნები, უმძიმესი სიტუაციაა საპატიმრო ადგილებში, რაც, უცხოელ ექსპერტთა აზრით, ადამიანის უხეშ დარღვევადაა შეფასებული.

რუსეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ გასულ წელს გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, რუსეთში არსებული საპატიმრო ადგილები გადატვირთულია; 92 ათასი პატიმარი დაავადებულია ტუბერკულიოზით; 33 ათასი - შიდსის ვირუსით; 30 ათასი - ვენერიული დაავადებით. "Amnesty International"-ის განცხადებით, "რუსეთის საპატიმრო ადგილებში არსებული სიტუაცია დანაშაულის ტოლფასია, იქ გამეფებულია სისასტიკე, პატიმრებს არაადამიანურად ექცევიან."

საერთაშორისო ექსპერტები განსაკუთრებულად საგანგაშოდ მიიჩნევენ რუსი სამხედროების მიერ ჩეჩენი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული წამების, გაუპატიურებისა და სხვა სასტიკი ქმედების ფაქტებს. **"არსებობს დოკუმენტური მასალა, რომლებიც ადასტურებს, რომ ჩეჩენი მოსახლეობის წამება მიმდინარეობს იმ ადგილებში, სადაც რუსი სამხედროები ატარებენ ე.წ. წმენდის ოპერაციებს. გარდა რუსი სამხედროებისა, სისასტიკით გამორჩეული ოპერაციებითაა დაკავებული ჩეჩნეთის უშიშროების სამსახური რომელსაც მოკლული პრეზიდენტის ახმად კადიროვის ვაჟი - რამზან კადიროვი ხელმძღვანელობდა. მის მიერ ჩატარებული ოპერაციები გამოირჩეოდა სისასტიკით, ადამიანის გატაცებითა და მკვლელობებით. ასეთი აქციების მსხვერპლი ყოველთვიურად 100-მდე ჩეჩენი ხდება,"** – აცხადებენ ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები.

იტალიური ყოველდღიური გაზეთი "La Stampa" ამყარებს საერთაშორისო ექსპერტთა მოსაზრებას, რომ რუსეთში ჩეჩენთა უფლებები უხეშად ირღვევა და ამის დასტურად გაზეთს ერთი კონკრეტული შემთხვევა - რამდენიმე დღის წინ რუსეთის სამხედრო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი მოჰყავს. **"პროცესი – "ხალხი კაპიტან ულმანის წინააღმდეგ" - არ შედგა, ულმანი გამართლებულია,"** – წერს გაზეთი. საუბარია, რამდენიმე დღის წინ რუსეთის სამხედრო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე. საქმე ისაა, რომ რუსეთის სპეცსამსახურის კაპიტანმა ედუარდ ულმანმა და მისი სპეცჯგუფის სამმა წევრმა 2002 წლის 11 იანვარს ჩეჩენ მებრძოლთა დასაკავებლად სპეცოპერაცია ჩაატარეს. ამ დროს მათ გზაში შეხვდათ "უაზ"-ის მარკის მანქანა, რომელის მძღოლსაც სპეცრაზმელებმა მანქანის გაჩერება მოსთხოვეს, მძღოლი არ დაემორჩილა მათ მითითებას, რის შემდეგაც ულმანმა მანქანისთვის ცეცხლის გახსნის ბრძანება გასცა. ერთი მგზავრი, მასწავლებელი საიდ ალასხანოვი ადგილზევე გარდაიცვალა და დაიჭრა ორი მგზავრი. მას შემდეგ, რაც გაჩერებული მანქანიდან ცოცხლად დარჩენილი ოთხი მგზავრი გადმოვიდა, ულმანმა მოწმეების მოშორების მიზნით მათი დახვრეტის ბრძანება გასცა. ოთხივე ჩეჩენი (მათ - შორის მცირეწლოვანი ბავშვი) სპეცრაზმელებმა ზურგიდან დაცხრილეს, ხოლო შემდეგ კვალის დაფარვის მიზნით მანქანა, რომელშიც მოკლულთა ცხედრები ჩააწყვეს, დაწვეს.

მომხდარი ფაქტი განსახილველად გადაეცა რუსეთის სამხედრო სასამართლოს. სასამართლომ, რომელიც დარწმუნებული იყო კაპიტან ულმანისა და მისი სპერცაზმელების დანაშაულებრივ ქმედებაში, მაინც გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. სასამართლო კოლეგიამ განაცხადა, რომ განსასჯელთა დანაშაულებრივი ქმედების დამამტკიცებელი სამხილი საქმეში არ მოიპოვებოდა. სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას დარბაზში მყოფი საზოგადოება ტაშით შეხვდა და გამართლებული კაპიტანი ულმანი, რომელმაც ხუთი უდანაშაულო ადამიანის დახვრეტის ბრძანება გასცა, ყვავილების თაიგულითაც დააჯილდოვა.

**"ასეთი ფაქტები ჩეჩნეთში ყოველდღიურად ხდება, მაგრამ ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, რომელიც სასამართლომდე მივიდა, ამიტომაც იგი საჩვენებელი პროცესი უნდა გამხდარიყო როგორც რუსი სამხედროებისთვის, ისე ჩეჩნებისთვის, რომლებსაც სამართლიანობის იმედი გაუჩნდებოდათ,"** – წერს "La Stampa", რომლის ინფორმაციითაც, "უდანაშაულო" მკვლელი - კაპიტანი ულმანი - კვლავ სამხედრო სამსახურს დაუბრუნდა და ჩეჩნეთში მორიგი სპეცოპერაციის ჩასატარებლადაც ემზადება.

"ჩეჩნეთი საშიში ზონაა," – ასკვნის "La Stampa" და ადამიანის უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს ადამიანთა უფლებების დაცვის გაძლიერებისკენ მოუწოდებს.

*სტატია მომზადებულია "Berliner Zeitung" და "La Stampa"-ს მასალების მიხედვით.*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სატრანსპორტო პოლიციისა და თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს 31 წლის რომან მებონია, რომელსაც ბრალი ედება მკვლელობის მცდელობაში. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, მებონიასთვის წაყენებული ბრალის თანახმად, მან მოსკოვის გამზირზე დანით მუცლის არეში დაჭრა 18 წლის ამიდ ბაგიროვი, რომელიც საავადმყოფოში მოათავსეს. ამ საქმეს იძიებს ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს ანტიკორუფციული საბჭოს ცხელი ხაზის ოპერატიული ჯგუფის თანამშრომელი ირაკლი ფიფია პოლიციელებმა ძარცვის ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ფიფიასთვის წარდგენილი ბრალის თანახმად, მან 15 ივნისს, დილმის მასივში, ნინო მანიას მობილური ტელეფონი გასტაცა. ამ ფაქტზე აღძრულ საქმეს იძიებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ნარკოტიკების შენახვა–რეალიზაციაში ეჭვმიტანილი ორი ქალი თეა მ-ძე და ნინო მ-ძე დააკავეს. შს სამინისტროს ცნობით, აღნიშნულ პირებს პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდათ სარეალიზაციოდ გამზადებული, 19 ჩეკად დაფასოებული 5,5 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, რომელიც თბილისში მოჰქონდათ. გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამსახური. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ქარელის რაიონში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი ზაზა მარჯანიძე, რომლისგანაც ამოიღეს 10.9 გრ მარიხუანა და ე.წ. „ატმიჩკები". საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთი ლიდერი, ე.წ. კანონიერი ქურდი, ხონის რაიონში მცხოვრები ჯუმბერ გუგავა, რომლისგანაც ამოიღეს 0.15 გრ ჰეროინი. საქმეს იძიებს შსს საგამოძიებო დეპარტამენტი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შენახვის ფაქტზე დააკავეს თბილისში მცხოვრები ლამზირა რუსია, რომლისგანაც ამოიღეს 700 გრ ყაყაჩოს თესლი, ხოლო მისი დროებით საცხოვრებელი ბინიდან ამოიღეს 900 გრ ყაყაჩოს თესლი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა „ცხელ კვალზე" დააკავეს თბილისში, გლდანში მცხოვრები ავთანდილ კვიჭიძე, რომელმაც ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე მინი-მარკეტ „ჯორჯიაში" მომხდარი ურთიერთშელაპარაკებისას დანით გულმკერდის არეში მრავლობითი ჭრილობა მიაყენა მინი-მარკეტის მეპატრონეს ირაკლი თორდიას. დანა ამოღებულია. საქმეს იძიებს პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ნასამართლევი ილია საღლიანი, რომლის სახლიდან ამოიღეს ავტომატი "აკმ" ორი მჭიდითა და 59 ვაზნით. მიმდინარეობს მოკვლევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 17 ივნისს, გამთენიისას, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, სოფელ კოქში ფინანსურმა პოლიციამ დააკავა სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც ჯართი აფხაზეთიდან აჭარის მიმართულებით გადაჰქონდა. ტვირთის საერთო ღირებულების დადგენის შემდეგ მოხდება მისი კონფისკაცია და მისი ღირებულების 80 პროცენტი სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასაზღვრო გამშვებ-პუნქტ "წითელი ხიდის" მესაზღვრეებმა, ხუთშაბათს, დილით, საკონტროლო შემოვლის დროს საზღვრისპირა მშენებლობის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს კონტრაბანდული ტვირთი. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ცნობით, მუყაოს 8 ყუთში 2-3 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საყოფაცხოვრებო ნივთები იყო განთავსებული. ზემოაღნიშნული ყუთები შესაბამისი ოქმის საფუძველზე გადაეცა ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის რეგიონალური პოლიციის სამმართველოს შემდგომი რეაგირებისთვის. **პრაიმ-ნიუსი**

# „ჭიათურმანგანუმის" ირგვლივ ვნებათაღელვა კვლავ მძაფრდება

ბექა სისაური
ქუთაისიდან

წლების განმავლობაში შეფერხებებით მომუშავე "ჭიათურმანგანუმმა" კრიზისს თავი ძლივს დააღწია. ამჟამად იგი თვეში 11 ათას ტონა მადანს აწარმოებს. აღნიშნულ მაჩვენებლებს მან ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანასთან თანამშრომლობით მიაღწია. "ფერო" ჭიათურმანგანუმს წინასწარ უხდის ელექტროენერგიის ფულს; ასევე მიზერული იჯარის ფასად მიაქირავა მადნის მოპოვებისათვის საჭირო სამუშაო ტექნიკა. "ფეროშენადნობი" ჭიათურის ერთადერთი პარტნიორია, რომელიც მისგან მოპოვებულ მადანს სრულად ყიდულობს. ახლახან კი "ჭიათურმანგანუმთან" ხელშეკრულება გააფორმა ფირმა "მორავია ჯორჯიამ", რომელმაც უფრო მაღალ ფასში გამოთქვა მანგანუმის შეძენის სურვილი, ვიდრე "ფერო" ყიდულობდა. აღნიშნულის გამო "ფერო" ჭიათურას საკუთარი ტექნიკის წამოყვანითა და ელექტროენერგიის ფულის წინასწარი გადახდის შეწყვეტით ემუქრება.

ამასთან დაკავშირებით იმერეთში გავრცელდა ხმები, რომ "მორავია-ჯორჯიას" უკან იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის დათო მუმლაძის ინტერესები დგას. დაინტერესებული პირები აცხადებენ, რომ მუმლაძეს "ჭიათურმანგანუმის" გაკოტრება და ამ გზით ხელში ჩაგდება უნდაო. აღნიშნული ვერსიის ავტორები ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებენ, თუმცა შესაბამისი არგუმენტების მოწოდებისგან თავს არ იკავებენ. მათი განმარტებით, რწმუნებული "ჭიათურმანგანუმის" დაპატრონებას საკუთარი ნათესავებისა და მეგობრების საშუალებით ცდილობს. "**დიდი მცდელობის მიუხედავად, დათო მუმლაძემ ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში თავისი ინტერესები ვერ ჩადო, სამაგიეროდ ჭიათურას ნათესავების მეშვეობით დაეპატრონა. მაგალითად, ჭიათურმანგანუმის რეაბილიტაციის მმართველი გოგი ნიკოლაძე, მუმლაძის დეიდის ქმარია. "მორავია ჯორჯიასთან" გაფორმეულ ხელშეკრულებას კი აღნიშნული ფირმის მხრიდან ხელი მოაწერა მამუკა შარაშენიძემ, რომელიც ასევე მუმლაძის ნათესავია. "ჭიათურმანგანუმის" დირექტორმა და იურისტმა აღნიშნული ხელშეკრულება საეჭვოდ მიიჩნიეს და ხელი არ მოაწერეს. სამაგიეროდ ხელი მოაწერა რეაბილიტაციის მმართველმა გოგი ნიკოლაძემ. ჩემი ინფორმაციით მასზე ზეწოლა განახორციელა დათო მუმლაძის მეგობარმა მამუკა აბესაძემ,"** –აცხადებს ინკოგნიტო წყარო. "მორავია ჯორჯიას" მარგანეცის შესაძენად უკვე გადარიცხული აქვს შვიდასი ათასი ლარი. რესპონდენტების განმარტებით, ჭიათურას მათთვის მისაწოდებელი პროდუქცია არ გააჩნია, რადგანაც "ფერო" "ჭიათურმანგანუმის" მიერ მოპოვებულ მადანს სრულად ყიდულობს. "**მორავია ჯორჯიას" თავის მხრივ მადანის მიწოდებაზე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ვინმე ოტო იანეშეკთან. ეს პიროვნება პოსტაბჭოთა ქვეყნებში, საწარმოთა ჯერ გაკოტრების, შემდეგ კი ხელში ჩაგდების მხრივაა სპეციალიზებული. ამჟამად შექმნილი რეალობით მას, როგორც მესამე პირს, აქვს უფლება, "ჭიათურმანგანუმის" მიმართ საჯარიმო სანქციები აამოქმედოს,"** – ამბობს ერთ-ერთი სპეციალისტი.

აღნიშნული ინფორმაცია "ფეროს" გენერალურ დირექტორთან ნიკა ჩიქოვანთან გადავამოწმეთ. "**მორავია-ჯორჯიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით "ჭიათურმანგანუმი" გაკოტრებით არ გაკოტრდება, მაგრამ დიდ ვალს აიკიდებს. ჯერ ერთი, ვინ არის ეს "მორავია-ჯორჯია", არავინ იცის. არადა, ჩვენ უამრავი ტექნიკა ჩავიტანეთ ჭიათურაში და საწარმო ძლივს ავიდა 11 200 ტონა მადნის მოპოვებაზე. ეს "ჭიათურმანგანუმისთვის" რეკორდული მაჩვენებლია. 11 200 ტონიდან ჩვენ 10 000 ტონას მოვიხმართ. მიუხედავად ამისა, რეაბილიტაციის მმართველი დებს ხელშეკრულებას კიდევ ერთ ფირმასთან 10 000 ტონა მადნის გატანაზე. ცხადია, რომ ეს საწარმოსთვის განგებ ზარალის მიყენებაა. როდესაც ჭიათურმანგანუმი აღნიშნული ოდენობის მადანს ვერ მიაწვდის, რა თქმა უნდა, ამ ფირმას პრეტენზიები გაუჩნდება და ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს. აღნიშნული ხელშეკრულება საწარმოს მინიმუმ 4-5 მილიონი დოლარის ზარალს მიაყენებს,"** - აცხადებს "ფეროს" გენერალური დირექტორი ნიკა ჩიქოვანი. მისივე განმარტებით, შარაშანიძე, რომელმაც "მორავია-ჯორჯიას" მხრიდან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, აღნიშნული ფირმის პერსონალში საერთოდ არ ფიგურირებს. ჩიქოვანისვე ინფორმაციით, შარაშენიძესა და ოტო იანეშეკს ერთობლივი ფირმა "იანშარიც" ჰქონიათ. "**შარაშანიძე მუმლაძის ნათესავი არის თუ არა, არ ვიცი. ეს ფირმა ისე უცებ გაჩნდა, რომ მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მასთან ხელშეკრულებას რეაბილიტაციის მმართველმა ღამის 11 საათზე მოაწერა ხელი. აღნიშნულ ფაქტს ამართლებენ იმით, რომ "მორავია ჯორჯია" მარგანეცს ჩვენზე ძვირად ყიდულობსო, რითაც თვეში 70 000 დოლარით მეტ თანხას მიიღებენ. თუმცა ამ გარიგებით მილიონობით წაგებას რომ ნახავენ, არავინ ფიქრობს. სანქციები არ გვაინტერსებს, მაგრამ თუ ეს ხელშეკრულება ამოქმედდა, რა თქმა უნდა, ტექნიკას წამოვიღებ და წინსწრებით დენის ფულსაც არ გადავიხდი,"** - განმარტავს "ფეროს" დირექტორი.



წლების განმავლობაში შეფერხებებით მომუშავე "ჭიათურმანგანუმმა" კრიზისს თავი ძლივს დააღწია. ამჟამად იგი თვეში 11 ათას ტონა მადანს აწარმოებს.

თავის მხრივ პრეზიდენტის რწმუნებული დათო მუმლაძე აღნიშნულ პროცესებში ჩარევას სახელმწიფო ინტერესებით ხსნის. ხოლო რაც შეეხება ხმებს საკუთარი ნათესავებისა და მეგობრების ბიზნესინტერესების შესახებ, რწმუნებული აცხადებს, რომ ღნიშნული ხმები მას შემდეგ დაუყარეს, რაც "ჭიათურმანგანუმში" სახელმწიფოსათვის სასარგებლო პოზიციები დაიკავა. "**წლების განმავლობაში "ფეროშენადნობის" პროდუქციის ფასი ბაზარზე ორჯერ და სამჯერ გაიზარდა. "ფერო" კი ჭიათურის პროდუქციას კვლავაც სასაცილო ფასში ყიდულობს. კოოპერატივები უფრო ძვირად ყიდიან მადანს, ვიდრე "ჭიათურმანგანუმი", რის გამოც "ფეროს" ჭიათურა დაკაბალებულ მდგომარეობაში ჰყავს. ჩემი ინტერესი, როგორც სახელმწიფო რწუნებულისა, არის ის, რომ ჭიათურა იყოს კონკურენტულ გარემოში. მას შემდეგ გავხდი ცუდი, როდესაც ჭიათურის მადნის ფასის გაზრდა მოვითხოვე. "ჭიათრმანგანუმი" სახელმწიფო საკუთრებაა და მისი წაგებაზე მუშაობა არაფრით არ შეიძლება. ჭიათურა არის სტარატეგიული წარმოება და როგორც სახელმწიფო რწმუნებული, ვერ მივცემ უფლებას კონკრეტულ პირებსა თუ კონტრაქტორებს, მის ხარჯზე გამდიდრდნენ. ამჟამად მაქვს ინფორმაცია რამდენიმე ათეული ქვეყნის სურვილების შესახებ, რომლებიც გაცილებით მაღალ ფასში შეიძენენ მანგანუმს, ვიდრე "ფერო" ყიდულობს,"** - აცხადებს მუმლაძე. დღეისათვის ჭიათურის დავალიანება სხვადასხვა კრედიტორების მიმართ 60 მილიონ ლარს შეადგენს, რის გამოც იგი რეაბილიტაციის რეჟიმში მუშაობს. დათო მუმლაძეს მიაჩნია, რომ აღნიშნული დავალიანება სპეციალურად შეიქმნა, საწარმოს ხელში ჩასაგდებად. აღნიშნულის მსურველთა რიგში რწმუნებული პირველად ისევ "ფეროს" ასახელებს. "**სურთ, რომ წყარო, საიდანაც საზრდოობენ, მათი საკუთრება იყოს და ეს აბსოლუტურად ბუნებრივია,"** - ამბობს მუმლაძე და ფირმა "მორავია-ჯორჯიასთან" მის კავშირებს კატეგორიულად უარყოფს. იგი "თითიდან გამოწოვილს" უწოდებს აღნიშნული ფირმის მხრიდან "ჭიათურმანგანუმის" გაკოტრებისა და ხელში ჩაგდების ბრალდებასაც. "**რატომ უნდა ჩადონ ფული გასაკოტრებლად, ისედაც წინაგაკოტრების პირობებში მომუშავე "ჭიათურმანგანუმში"? ეს ხომ აბსურდია. ამ ფირმას 700 000 ლარი აქვს ჩამორიცხული და ამ ფასად ჭიათურას ხელში ვინ ჩააგდებინებს? ამ შემთხვევაში საკითხი დგას შემდეგნაირად: ჭიათურა უნდა მოექცეს კონკურენტულ გარემოში და ფეროს გარდა სხვა პარტნიორებიც გაუჩნდეს,"** - განმარტავს რწუნებული.

რაც შეეხება ამ საქმეში არსებული საკუთარი ნათესავებისა და ახლობლების წვლილს, მუმლაძე აცხადებს, რომ ჭიათურის კონკურენტულ გარემოში მოსაქცევად, მათ შეტანილ წვლილს მიესალმება. თუმცა, ამავე დროს, ასეთის არსებობასაც უარყოფს. კონკრეტული გვარების დასახელების შემდეგ რწუნებული აცხადებს, რომ შარაშანიძე მისი "ყვავი ჩხიკვის მამიდაა"; "ჭიათურმანგანუმის" რეაბილიტაციის მმართველთან და მამუკა აბესაძესთან მეგობრობას კი არ უარყოფს. "**ბატონი გოგი ნიკოლაძე ჩემი ნათესავი არ არის, მაგრამ მის ოჯახს ვიცნობ. რაც შეეხება აბესაძეს, ყველა, ვინც ჭიათურისთვის მომგებიან ხელშეკრულებაზე აიძულებს ვინმეს ხელის მოწერას, რა თქმა უნდა, დათო მუმლაძის მეგობარი იქნება. მინდა გითხრათ, რომ ეს სრულიად აბსურდული თემაა, თითქოსდა რეაბილიტაციის მმართველი ვინმემ აიძულა... მე უარვყოფ ჩემი მეგობრებისგან ამ საკითხში ჩარევას. თავის დროზე რეკომენდაცია მივეცი "ჭიათურმანგანუმის" რეაბილიტაციის მმართველს გოგი ნიკოლაძეს, რომელმაც უზრუნველყო "ჭიათურმანგანუმისთვის" მომგებიანი ხელშეკრულების დადება. მე ამ ადამიანს ვიცნობ და მისი ნაცნობობით ვამაყობ. გოგი ნიკოლაძის გადადგმული ნაბიჯით ჭიათურაში ყველამ გაიგო, რომ, თურმე, მარგანეცის გაყიდვა მაღალ ფასშიც შეიძლება. ჩემთვის მთავარი ეს მიღწევააა, დანარჩენი კი მასზე მიბმული ჭორია,"** -აცხადებს რწუნებული. ჭორების ავტორად კი იმ პირებს ასახელებს, ვისაც ჭათურის მძიმე მდგომარეობაში ყოფნის საფუძველზე შავი ფულის კეთება უნდა. მისივე განმარტებით, რევოლუციამდე ჭიათურიდან ყველა ადგილობრივ ჩინოვნიკს თავისი წილი მისდიოდა. მაგალითად, რაიონის გამგებელს თურმე ყოველ გატანილ ტონაზე ერთი ლარი რჩებოდა. "**ამჟამად ვინც გინდათ, გამოკითხეთ, ჭიათურიდან ერთი თეთრიც არ იხდება. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჭიათურა არ გაჩერდეს,"** – აბობს რწმუნებული. მიუხედავად მუმლაძის განმარტებებისა, "მორავია-ჯორჯიასთან" გაფორმებული ხელშეკრულება საეჭვოდ მიაჩნია ჭიათურის მაჟორიტარ დეპუტატსაც. მან აღნიშნულ საკითხში გარკვევა ქუთაისში მყოფ ნინო ბურჯანაძეს სთხოვა, რომელმაც აღნიშნული ხელშეკრულების ავკარგიანობის გასარკვევად სპეციალური კომისიის შექმნის სურვილი გამოთქვა.

# ასკანის თიხის ნაცვლად, ეძიეთ ოქროს ქვიშა კონჭკათში

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთი

თითქმის ორი თვეა, რაც ქ. ოზურგეთში შპს "ასკანაში" გრძელდება მუშა-მოსამსახურეთა ერთი ნაწილისა და პროფკავშირული კომიტეტის წევრთა საპროტესტო აქციები. მიუხედავად საპროტესტო აქციის ხანგრძლივობისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დაპირისპირება გაცილებით ხანდაზმულია და თითქმის იქიდან იღებს სათავეს, რაც შპს "ასკანა"-ს ტენდერზე ბერძნულმა კომპანია "silver & baryte ores mining co.sa"-მ საწარმოს საწესდებო კაპიტალის 97 პროცენტი შეიძინა. ეს მოხდა 1998 წელს.

როგორც ჩანს, იმჟამად საინვესტიციო საქმის ხვრელები თუ ნიუანსები უცხოურ პარტნიორს უფრო კარგად ჰქონდა ათვისებული (ჩვენ უფრო აპელაციების მცოდნედ ვითვლებით), ან კიდევ ბიზნესის დაგეგმვაზე ჰქონდათ ბერძნებს ბუნდოვანი წარმოდგენა, ან სულაც ქართული ტრადიციული "დაგითმობ და დამითმეს" ტაქტიკური სვლები განხორციელდა და ახლა ვიმკით მის შედეგებს. ყოველ შემთხვევაში, როცა ბერძნებთან დადებული ხელშეკრულება ახლოდან იქნა გაჩხრეკილი, აღმოჩნდა, რომ მასში ბევრი რამ მასპინძელთა საზარალოდ იყო ჩადებული.

თავდაპირველად შეიქმნა ილუზია, რომ ამ ხელშეკრულების ყველა პირობა თითქოს სრულდებოდა ზედმიწევნით კორექტულად, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, როცა 1998-99 წელს შპს "ასკანაში" განხორციელდა დაახლოებით 80000 ლარის ტექნიკური ინვესტიცია, რის შედეგად 1998 წელს წარმოებულ იქნა 500 ტონა (ნახევარფაბრიკატის სახით) და 800 ტონა (დაფქვილი სახით) პროდუქცია. ამის შემდეგ კი საქმე წინ აღარ წასულა და ბერძნული კომპანიის მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულება - 3 წლის მანძილზე წარმოების 60000 ტონამდე ზრდის შესახებ, ზღაპრად გაგონილს დაემსგავსა, ჯვარი სწერია 500 ათასდოლარიან ტექნიკურ ინვესტიციას, სამუშაო ადგილების რიცხვის გაზრდას (პირიქით-შემცირდა). სწორედ აქედან იღებს სათავეს საწარმოს ადმინისტრაციისა და მუშა-მოსამსახურეთა ერთი ჯგუფის მწვავე დაპირისპირება, რომელიც პერმანენტულ კონფლიქტებში გადაიზარდა. მუშა-მოსამსახურეთა ინტერესებს აქტიურად იცავს აქ შექმნილი პროფკავშირის კომიტეტი.

კონფლიქტში სიცხადე ვერც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საგანგებო კომისიამ შეიტანა, თუმცა ეს კომისია მხოლოდ კარიერის დამუშავების კანონიერებითა და სალიცენზიო მოთხოვნების შესრულების შემოწმებით შემოიფარგლა. აქციის მონაწილეთა აზრით, კომისიამ არც მწვადი დაწვა და არც შამფური, მაგრამ მას კონფლიქტის ამოწურვის შანსიც არ ჰქონდა, რადგან ეს დაპირისპირება მხოლოდ სამთო თემატიკასთან არ არის დაკავშირებული. ამჟამად დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დგას შპს "ასკანას" ტექნიკური დირექტორის ნიკოლაუს ლეგომენიდისის დაკავებული თანამდებობიდან გადაყენების საკითხი. მას უნდობლობას უცხადებენ და არაერთ ბრალდებასაც უყენებენ. კერძოდ: 1) მუშაობა არ მიდის საბაზრო სეგმენტის მოპოვებისა და გაფართოებისათვის, არადა, აქ გამოშვებული პროდუქციის პოტენციური მყიდველი მრავლადაა; 2) გადაუმუშავებელი ან ნახევარფაბრიკატის სახით გატანილ თიხაზე ბერძნული მხარე დიდ მოგებას ნახულობს, ქართული კი მშრალზე რჩება, 3) აქციის მონაწილეთა აზრით, ქარხნის მესვეურებს არ სურთ საწარმოს სრული დატვირთვით ამუშავება, ეს ხდება შეგნებულად და შეფარულ ეკონომიკურ საბოტაჟს წარმოადგენს. შპს-ს ხელმძღვანელობა არ კისრულობს არანაირ სოციალურ ვალდებულებებს და ეს არც ზემოხსენებულ ხელშეკრულებაში არის დაფიქსირებული, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს ამ დოკუმენტის არასრულყოფილებაზე.

ნიკოლაუს ლეგომენიდისს კი საკუთარი კონტრარგუმენტი გააჩნია. მისი აზრით, ბაზარი მწირია, თანაც არის მზარდი მოთხოვნა მხოლოდ ხარისხიან პროდუქციაზე, რომლის წარმოება აქ არსებული ტექნოლოგიური ბაზით არარეალურია, ძალზე ძვირი ჯდება პროდუქციის გატანაც ( აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის უმოქმედობის გამო). ადმინისტრაციამ შეძლო ხელფასების 2000 წელთან შედარებით თითქმის 50 პროცენტით გაზრდა, შესაძლებლობის ფარგლებში ეწევა ქველმოქმედებასაც - ეხმარება სპორტსმენებს, საბავშვო ბაღს.

ადგილობრივი ხელისუფლება გარკვეულ ცდებს ახორციელებდა და ახორციელებს ამ კონფლიქტის დასარეგულირებლად, წინადადებას აძლევს ბერძნული ფირმის წარმომადგენელს, დასაბუთებული პასუხები გასცეს ოპონენტებს. გამგეობას თავისი საწუხარი აქვს. ეს არის დამატებითი შემოსავლების მოძიება ბიუჯეტისათვის.

არსებული სურათი არასახარბიელოა: რაიონის ეკონომიკას გამოეცალა ერთ-ერთი საყრდენი; შემცირდა მომუშავეთა რიცხვი; ვინც მუშაობს, მიწყივ სამუშაო ადგილის დაკარგვის შიში აქვს, რადგან ერთ მშვენიერ დღეს ნიკოლაუს ლეგომენიდასმა შეიძლება განაცხადოს - ძმებო გურულებო, რა ვქნათ, ბაზარი არ არის, აფხაზეთი დაკარგულია, ტექნოლოგია მოგვიძველდა და ა. შ. დროა დაიშალოთ, სახლებს მივაშუროთ ან კიდევ გურიაში მომრავლებულ ოქროსმაძიებლებს შევუერთდეთ სოფელ კონჭკათში, სადაც სულიერ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რონი გოგისვანიძე (რუსთველად წოდებული) ოქროს მთებს დაეძებსო. არც ნიკოლაუს ლეგომენიდისის თანამემამულე იაზონის მიერ გატაცებული ოქროს საწმისი ჩანს. არადა, გოგისვანიძე დაჟინებით ამტკიცებს, რომ "არგო" სწორედ საწმისისთვის მოადგა გურიას და არა ნაქალაქევს, როგორც აქამდე იყო მიჩნეული.

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

## "სუხიშვილები" იუბილესთვის ემზადებიან



ქართული ნაციონალური ბალეტის ერთი ქვეყნიდან მეორეში, გასტროლიდან გასტროლზე სიარული აღარავის უკვირს.

B3

## მადონა - ახალი წიგნის და ახალი ტურნეს შესახებ



მადონა ტურნეს თავდაყირა იწყებს.

B4

## FIFA-მ ყრილობა გადაგვიწია



ჟორდანია გუშინდელი ყრილობის მთავარი მომხსენებელი იყო.

B4

# ურთიერთობის ალქიმიკოსი

## პაულო კოელიო - Georgia On My Mind

A1 გვერდიდან

**- პაულო, რას ნიშნავს საქართველოში "მოსვლა" თქვენთვის? ის, უბრალოდ, ერთ-ერთი იმ "ათვისებულ მიწათაგანია", რომლებშიც თქვენ იბეჭდებით, თუ იყო რაღაც "ნიშანი", რომელმაც ჩვენამდე მოგიყვანათ?**

- საქართველო ის ქვეყანაა, რომლითაც პირველად, მართლაც, თვითონ დავინტერესდი და შემდეგ გამომცემელსაც შევთავაზე. ამის მიზეზი თქვენი მდიდარი და ძველი კულტურაა. თავიდანვე მივხვდი, რომ საქართველოში ჩამოსვლა, ჩემთვის, როგორც რიგითი ადამიანისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, არ მინდოდა, ეს უცხოსავით გამეკეთებინა; და როცა თქვენს ენაზე ჩემი წიგნები გამოიცა, ჩავთვალე, რომ საქართველოსთან დამაკავშირებელი ხილული ძაფი გავავლე. თითქოს, ჩემი წიგნების სახით, თქვენთან ჩემი სული გამოვაგზავნე. ასე რომ, მართლაც დიდი ბედნიერებაა, რომ უკვე ქართულადაც ვიბეჭდები. ახლა, როცა ჩამოვალ, მეცოდინება, რომ უბრალო ტურისტი კი არ ვარ, არამედ ადამიანი, რომელიც თქვენთან სულიერადაა დაკავშირებული.

**- აქ უკვე დაირხა ხმები ამ ვიზიტის შესახებ. როდის გეგმავთ ჩამოსვლას?**

- კონკრეტული გეგმა ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ გადავხედავ ჩემს განრიგს წლის მეორე ნახევრისთვის და ვნახავ, თუ გამოვა რამე.

**- მაინც რა გიზიდავთ საქართველოსკენ? როგორც ვიცით, ჩვენს შესახებ ბევრი რამ იცით.**

- ასე ვამბობ ხოლმე – ის ვიცი, რასაც ვკითხულობ. მაგრამ, როცა ქვეყნის სულზე მიდგება საქმე, მას ვერ შეისწავლი, თუ იქაურებს არ შეხვდი. ასე რომ, თუ საკითხს ამ კუთხით მივუდგები, საქართველოზე, თითქმის, არაფერი ვიცი და მხოლოდ მას შემდეგ მეცოდინება, როცა შეგხვდებით. ასე რომ, ერთი რამის თქმა შემიძლია – ძალიან მინდა, ქართველი მკითხველი გავიცნო.

**- მკითხველი – ეს თემა თქვენთვის უმაღლეს ხარისხშია აყვანილი. სხვა მწერლებთან შედარებით, თქვენ, ალბათ, ყველაზე იოლად მოდიხართ საზოგადოებასთან კონტაქტზე და მუდამ გახსნილი ხართ მკითხველთან ურთიერთობისთვის. მათ, მგონი, მოკავშირეებსაც ეძახით.**

- იმიტომ, რომ მართლაც მოკავშირეები არიან.

**- რა იწვევს ასეთი მჭიდრო ურთიერთობის სურვილს - იქნებ მადლიერების გრძნობა? ბრაზილიელებმა ხომ თქვენი პირველი წიგნები სარეკლამო კამპანიის დაწყებამდე დაიტაცეს და, ფაქტობრივად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, თვითონ გიპოვეს?**

- თავიდან მართლაც ასე იყო. ენთუზიაზმი და ინტერესი საზოგადოებამ გამოიჩინა. ერთმა წაიკითხა და მერე დედას შესთავაზა, მეგობარს, ძმას. ამას არასდროს დავივიწყებ და ამ წუთამდე მკითხველს ჩემს მოკავშირედ მივიჩნევ. ის არის ადამიანი, რომელიც ჩემს გვერდით დგას და ძალიან მშველის მარტოობის წუთებში. ასეთ დროს მკითხველის არსებობა მარწმუნებს, რომ სინამდვილეში მარტო არ ვარ, რომ სხვებს ჩემი ესმით. წიგნის წერა ხომ საკუთარი ფიქრების, სულიერების სხვებთან გაზიარების საუკეთესო საშუალებაა. და როცა რწმუნდები, რომ ხალხს შენი ესმის, გაცილებით უკეთ გრძნობ თავს. გარდა ამისა, წიგნი აღძრავს რეაქციას, ემოციას და მკითხველს ამოქმედების სურვილს უჩენს. ამ როლს ჩემს თაობაში მუსიკა ასრულებდა, ახლა – წიგნი და მე საოცრად ბედნიერი ვარ ამის გააზრებისას. სხვანაირად როგორ ვიგრძნო თავი, როცა ვიცი, რომ მე და ჩემი მკითხველი ერთნაირი ფასეულობებით ვხელმძღვანელობთ, რომ ერთნაირი კითხვები გვაწუხებს. მერე რა, რომ ხანდახან ერთნაირი პასუხები არ გვაქვს, მთავარია, რომ ერთად ვაზროვნებთ.

**- შეიძლება ფირმის საიდუმლოების გამხელას გთხოვდეთ, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, როგორ აუდიხართ ათასობით წერილს, რომელსაც ყოველდღიურად იღებთ. არადა, მეგობარიც მყავს, რომელიც თქვენგან მიღებულ რამდენიმე ი-მეილს სათუთად ინახავს.**

- ათასობით წერილი ნამდვილად არ მომდის, მაგრამ დღეში ხუთას წერილამდე ხშირად არის. მათი კითხვა ჩემთვის ძალიან ინტიმური პროცესია. საღამოობით ვამოწმებ ხოლმე საჯარო საფოსტო ყუთს და წერილებს ვკითხულობ. მათ ხან სათაურის, ხან – ქვეყნის მიხედვით ვირჩევ და, რა თქმა უნდა, რეი ჩარლზივით, Georgia is always on my mind. ასე რომ, საპასუხო წერილების დაწერას არავის ვანდობ. თავად ვკითხულობ, თავად ვწერ და ამით პირად ურთიერთობას ვამყარებ მკითხველთან – როცა მის ქალაქს ვეწვევი, მეცოდინება, რომ აქ ცხოვრობს ადამიანი, რომელთანაც პირადი კონტაქტი მქონია.

**- თქვენი "ალქიმიკოსი" ნამდვილი იგავია, მარტივი ენით დაწერილი და სიმბოლოებით დატვირთული. თავად როგორ ახასიათებთ საკუთარ შემოქმედებას და სტილს?**

- ჩემთვის ყველაფერი სანტიაგო დელ კომპოსტელაში მოგზაურობით დაიწყო. ამ ეპიზოდმა განსაზღვრა მთელი ჩემი ცხოვრება. მანამდე ყველაფერს ვართულებდი, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ჯადოსნური სულ სხვაგან უნდა ეძიო, რომ ჯადოქრობა მაშინ ხდება, როცა ცხოვრებას იღებ ისეთს, როგორიც არის და არ ცდილობ ყველაფრის ახსნას – ყველაფრის ახსნა ხომ შეუძლებელიცაა. ვიფიქრე, რომ სწორედ ეს ემოცია უნდა ჩამედო წიგნებშიც და დღემდე ამას ვცდილობ. საერთოდ, წიგნებს, პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის ვწერ.

**- შემდეგ კი მილიონობით ადამიანში აღძრავთ ემოციებს.**

- დიახ, ყველა წარმომავლობის ადამიანში – ქართველი, იაპონელი, ბრაზილიელი. დაინტერესებული მკითხველის ხილვა კი იმედს მაძლევს, რომ კულტურას მართლაც შეუძლია გაავლოს ხიდი მსოფლიოში მაშინ, როცა ყველა სხვა საშუალება მარცხდება.

ასე რომ, ვწერო საკუთარი თავისთვის, ნიშნავს, გავამარტივო, გავაიოლო საკუთარი სულისკენ მიმავალი გზა და თან ისე, რომ არ გავხდე ხელოვნური, ცარიელი. სილამაზე მარადიულად არსებობს, იმიტომ, რომ არსებობს ცხოვრება. ცა არის მშვენიერი იმიტომ, რომ ლურჯია. და თუ დააკვირდები ბუნებას, მიხვდები, რომ მთელი სილამაზე დეტალებშია. დეტალებში უნდა შეგეძლოს უნივერსალური სამყაროს აღმოჩენა, ზუსტად ისე, როგორც უილიამ ბლეიკი ამბობს – to see a world In a grain of sand ("განჭვრიტო სამყარო ქვიშის ერთ მარცვალში"). ბუნებას აქვს სიღრმე, რომელიც ხელოვნური სულაც არ არის. სანტიაგო დელ კომპოსტელაში მოგზაურობის შემდეგ მეც გადავწყვიტე ამ სიღრმის ძიება, ოღონდ ჩემთვის გასაგებ ენაზე. სხვანაირად არც შეიძლებოდა – თუ ვწერ იმისთვის, რომ შევიცნო საკუთარი თავი, ხომ იმ ენაზე უნდა ვწერო, რომელიც თვითონ მესმის?

**- ბევრი რამ მსმენია ამ მოგზაურობის შესახებ, მაგრამ სრული სურათის დახატვა მაინც მიჭირს.**

- ეს ვრცელი ისტორიაა. იმ ხანად სიმბოლოების ენას ვსწავლობდი. ამას კი წიგნებში კირკიტით ვერ გაართმევ თავს. ეს ყველაფერი რეალურ ცხოვრებაში უნდა გამოსცადო, საკუთარ თავზე. შეიძლება 10 ათასი წიგნი დაწერო სიყვარულზე, მაგრამ თუ არ შეგიყვარდა, როგორ გაიგებ, რა არის სიყვარული? არადა, 1986 წელი იყო და მე სხვანაირად ვფიქრობდი. ვცდილობდი, შემესწავლა სიმბოლოები და ამ პროცესში ვართულებდი ყველაფერს და ვამტკიცებდი, რომ უნდა შეეცადო და ახსნა ცხოვრება. შემდეგ ვიღაცამ მოგზაურობის იდეა მომაწოდა. 56 დღეს ვიარე სანტიაგო დელ კომპოსტელას გზაზე და ამ დროს მუდმივ კავშირში ვიმყოფებოდი ცხოვრების სისადავესთან. ასე რომ, გზა სანტიაგოსკენ – ეს იყო ფიზიკური გეგმა, რომელიც სულიერი, ემოციური ძიების წარმართვაში დამეხმარა. მოგზაურობის შემდეგ წიგნი დავწერე და ეს იყო ჩემი პირველი წიგნი. ამ გზის ბოლოს მე გავიაზრე, რომ, ყველაფრის გართულების ნაცვლად, ჯობს, იარო და შეიმეცნო ის, რაც შენთვის მნიშვნელოვანია, თან ბევრი ბარგი არ უნდა წაიღო, სულიერ მოგზაურობაში რომ არ შეგიშალოს ხელი. რასაც მე და თქვენ გარშემო ვხედავთ, სულ სიმბოლოებია. ახლა მე მათ უკვე ვკითხულობ. ჩემთვის ისინი უხილავი სამყაროს ხილული მანიფესტაციაა.

**- ასეთია თეთრი ბუმბულიც? თურმე, წერას არ იწყებთ, სანამ თეთრ ბუმბულს არ დაინახავთ. საიდან მოდის ეს ტრადიცია?**

- სანტიაგო დელ კომპოსტელაში მოგზაურობის შემდეგ მადრიდში ჩავედი და ვფიქრობდი, დამეწყო თუ არა წერა. მაშინ ვთქვი, რომ თუ დავინახავდი თეთრ ბუმბულს, ეს იქნებოდა ნიშანი იმისა, რომ არჩევანი შემოქმედების სასარგებლოდ უნდა გამეკეთებინა. ასეც მოხდა.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, რომ თქვენს სტილზე დიდი გავლენა იქონიეს - ხორხე ლუის ბორხესმა, ჟორჟი ამადუმ, ჰენრი მილერმა და უილიამ ბლეიკმა. ბილ კლინტონი და მადონა რიჩარდ ბახს გადარებენ. მოკლედ, საკმაოდ ეკლექტური კრებული გამოდის.**

- ჰენრი მილერი მისი თავისუფალი ბუნების, ბუნებრიობის გამო მიყვარს. ერთი თვის წინ პარიზში ვიყავი და მილერის წიგნი ვიყიდე იმის შესამოწმებლად, კიდევ მიტაცებს თუ არა ის. აღმოჩნდა, რომ არაფერი შეცვლილა. ის ისეთი ბუნებრივია, ისეთი ღიაა და იმდენი ენერგიით სავსე. სამი წლის წინ მილერის რამდენიმე ხელნაწერიც შევიძინე. რაც შეეხება ბორხესს, ის ჩემი ოლიმპის მთის იუპიტერია, გენიოსია, მწვერვალია. სწორედ მან შექმნა სიმბოლოებით გაჯერებული ენა. ამადუ იყო კაცი, რომელმაც საკუთარი ქვეყანა შემაცნობინა. უილიამ ბლეიკი კი – ადამიანი, რომელსაც, ვგრძნობ, რომ საოცარი კავშირი აქვს ამ უხილავ ენერგიასთან. ამ ავტორებს ყოველთვის ვკითხულობ, სულ თავიდან და თავიდან.

**- ბევრს საუბრობენ თქვენი წარმატების ფენომენზე. ცდილობენ, იარლიყები, განსაზღვრებები მოგარგონ. თავად როგორ აღიქვამთ საკუთარ თავს, ვინ არის პაულო კოელიო – მენტორი, მქადაგებელი, თუ მწერალი, რომელიც მუდმივად მზად არის, ადამიანებს საკუთარი სულიერება გაუზიაროს?**

- არა, არა, რა თქმა უნდა, მწერალი ვარ და ამავე დროს ადამიანი, რომელიც ძიების, სწავლის მუდმივ პროცესშია. ჩემი თითოეული ახალი წიგნი ჩემთვისვეა აღმოჩენა. მკითხველი ამ პროცესში იმდენად მონაწილეობს, რამდენადაც ვიცი, რომ სულიერი მოგზაურობის დროს მარტო არ ვარ. სხვა მხრივ, საკუთარი თავისთვის ვწერ. თავად წარმოიდგინეთ – არის 65 მილიონი გაყიდული ეგზემპლარი. თუ თითოეულ ეგზემპლარზე, საშუალოდ, სამ მკითხველს ავიღებთ, გამოდის, რომ 200 მილიონი მკითხველი მყავს. მე რომ წერისას, თუნდაც, რომელიმე მათგანის სიამოვნებაზე დავიწყო ფიქრი, ხომ დავიკარგები?! წიგნზე მუშაობის დროს საჭიროა საკუთარ თავზე, საკუთარ ფასეულობებზე კონცენტრირება. მე ასე ვაკეთებ.

**- შარშან "გარდიანში" გამოქვეყნებულ წერილში "სულის მოსავალი" თავად დასვით კითხვა – "რატომ არის პაულო კოელიო წარმატებული?". იყო თუ არა ეს წერილი პასუხი იმ კრიტიკოსების მიმართ, რომლებიც ნეგატიურად გახასიათებენ ("დაუჯერებლად პატეთიკური", "აბსურდი – ის, რაც პელე იყო ფეხბურთისთვის", "ცარიელი, ზედაპირული" – სხვადასხვა დროს სხვადასხვა კრიტიკოსი კოელიოს ამ ფრაზებით უტევდა.)?**

- კრიტიკოსებს არასდროს ვპასუხობ. ისინი თავის საქმეს აკეთებენ. მე კი თუ მათზე დავიწყე ფიქრი, დროს დავკარგავ. კრიტიკოსები აკრიტიკებენ, მკითხველები კითხულობენ, მწერლები კი წერენ.

**- თუმცა, ერთი ფრაზა განსაკუთრებულად დამამახსოვრდა. ერთ-ერთი მიმომხილველი თქვენს წიგნებზე ამბობდა, რომ ეს არის "წვრილმანი ნიუ ეიჯის ფაფა". უსმენთ კი საერთოდ ნიუ ეიჯს? თუ არადა, მუსიკის რომელ ჟანრს უკავშირებთ საკუთარ შემოქმედებას ასოციაციურად?**

- არც კი ვიცი, რას გულისხმობენ ცნება ნიუ ეიჯში. ეს უფრო მედიის მოგონილი ტერმინი მგონია ახალი ტენდენციების ასახსნელად. ვიცი, რომ რაღაც კავშირია მედიტაციასთან, მაგრამ საკუთარ თავს ამ მუსიკას ვერაფრით ვუკავშირებ, ამიტომ ვერც ვუსმენ. მე უფრო [სინათლის] მეომარი ვარ - მირჩევნია, მშვილდისარი მოვიმარჯვო, სასეირნოდ წავიდე, მთის მწვერვალები დავლაშქრო, ვიდრე დავჯდე, ვიფიქრო და ვუსმინო.

**- ამბობდით, რომ სადაც უნდა იყოთ, წიგნის დასაწერად ყოველთვის კოპაკაბანას სახლში ბრუნდებით.**

- ეს ადრე იყო. ახლა წიგნებს აქაც ვწერ, სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში. ჩემი სახლი მთებშია, პირინეის მთებთან ახლოს ესპანეთის საზღვართან. აქ დაიწერა "11 წუთიც".

**- მაგრამ, ალბათ, კვლავაც ძველებურად ფიქრობთ, რომ შინ, კოპაკაბანაში ჩასვლა საკუთარ ფესვებთან დაბრუნების სიმბოლოა, რაც რაღაც ღირებულის შექმნის პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია.**

- რა თქმა უნდა, ასეა. ფესვებთან კონტაქტი არასდროს არ უნდა დაკარგო. მე რომ წიგნს ბრაზილიაში არ ვწერ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სამყაროს ნამდვილი ბრაზილიელივით აღარ აღვიქვამ. მეტიც, ვფიქრობ, რომ სწორედ ბრაზილიელობამ მასწავლა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ჩემს ცხოვრებაში. ის, რომ ხილულსა და უხილავს შორის ძალზე მყიფე ზღვარია და კიდევ ბევრი სხვა რამ. ასე რომ, გამოდის, ის რაც ვარ დღეს, ჩემი ფესვების დამსახურებაა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ გლობალიზაცია ხელს უშლის ადამიანებს ამ აუცილებელი კავშირის შენარჩუნებაში. არა უშავს, თუ კოკა-კოლას უკეთებენ გლობალიზაციას – მერე რა, რომ მე არ მიყვარს, სხვას უყვარს – მაგრამ, როდესაც კულტურულ ფასეულობებს მიადგებიან ხოლმე, ეს უკვე საშიში ტენდენცია ხდება.

**- მაგრამ, გამომდინარე იქედან, რომ თქვენ ბესტსელერების ავტორი ხართ, მიიჩნევთ თუ არა საკუთარ თავს ამ გლობალური მოძრაობის ნაწილად ან პროდუქტად?**

- არა მგონია, საქმე ასე იყოს. თუ ჰენრი მილერს აქაც კითხულობენ, იაპონიაშიც და ბრაზილიაშიც, ის გლობალიზებული ავტორი მაინც არ არის. როდესაც ვლაპარაკობ გლობალიზაციაზე და ვამბობ, რომ ის უარყოფითი პროცესია, ვგულისხმობ ეკონომიკურ სისტემებს, რომლებიც საფრთხეს ქმნიან; ვგულისხმობ იმას, რომ აღარაფერს პატივს აღარ ვცემთ. ყველას მარკეტინგი და ბაზარი აკერია პირზე. მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ხელოვნება ყველანაირი წყობის პირობებში იქნება ხიდი, რომლის შენარჩუნებაზეც ყველამ უნდა ვიზრუნოთ, თორემ, დავიკარგებით. მუსიკოსებს, მწერლებს, მხატვრებს ყოველთვის უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ საკუთარი თავი ყოველგვარი საზღვრის მიღმა გამოხატონ.

**- ახლა უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ თქვენთვის უმთავრესი ადამიანებთან კავშირის დამყარება და ურთიერთობაა.**

- ნამდვილად ასეა. ამის საშუალებას კი წერა მაძლევს.

*უკვე ვჩქარობთ, დრო იწურება. მე ცქმუტვით ვუსმენ; თვითონ მაინც მშვიდად მელაპარაკება. მალევე კოელიოს სახლში ზარიც გაისმა. მწერალს კიდევ ერთი ჟურნალისტი ეწვია. ამჯერად – ტელეფონის ნაცვლად, კარიდან. "უნდა მაპატიოთ, L'Express-იდან მოვიდა ჟურნალისტი, ა, თქვენ ინგლისურადაც ლაპარაკობთ (ფრანგს ფრანგულად მიმართავს)? რაც შეეხება საქართველოს, გეტყვით, რომ ძალიან მინდა ქართველი მკითხველის გაცნობა". მე კი ვპასუხობ, რომ, რა თქმა უნდა, დიდ მადლობას ვუხდი საუბრისთვის, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ინტერვიუსთვის გამოყოფილი დრო გაცილებით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე მისი ფილოსოფიური 11 წუთი. კოელიო გულიანად ხარხარებს – როგორც შევატყე, ასე სჩვევია. შემდეგ ერთმანეთს ვემშვიდობებით და ურთიერთობის ოსტატთან 30-წუთიანი სატელეფონო ურთიერთობა ამით მთავრდება.*

*თუმცა, ბოლოს, ალბათ, ვერ მოვითმენ და ჩემი და კოელიოს საიდუმლოს პირველ ნაწილს მაინც გაგიმხელთ – მას მორიგი თეთრი ბუმბული უკვე ნაპოვნი აქვს. დანარჩენს, როცა დრო მოვა, თვითონ იტყვის.*



*"კოელიოს დავოსში შევხვდი. ერთი ჩვეულებრივი გადაღებისას, ქუჩაში მოსეირნეს... ბათინკებსა და სპორტულ ქურთუკში. თავისი გმირებივით უბრალოს და ღიას... ერთი ფინჯანი ჩაი რომ დაგველია ერთად და ლიტერატურაზე გვესაუბრა, ალბათ, მეტი მეცოდინებოდა მსოფლიოს ყველაზე დიდი ალქიმიკოსის შესახებ... დამრჩა შთაბეჭდილება, როგორიც შეიძლება ერთი ჟურნალისტური შეხვედრიდან დაგრჩეს, მისი შამპანურივით რომანებისადმი გაძლიერებული ინტერესი და ეს ფოტო – პაულო კოელიო დავოსში..." მიშა თვარაძე, "რუსთავი 2".*





*პაულო კოელიოს ფრანგული იდილია - წიგნზე მუშაობის პროცესი.*




## თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ჟორჟ ბიზე
"კარმენი"
დირიჟორი: თამაზ ჯაფარიძე
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
პატრიკ ზიუსკინდის მიხედვით
"კაფე როსინი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
გაბრიელ გარსია მარკესი
"სიყვარულის სულთათანა"
სოფიკო ჭიაურელი თემურ ჩხეიძის სპექტაკლში
დას: 18:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"კიდევაც დაიზრდებიან"
ავტორი და რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმების რეტროსპექტივა
"გახლეჩილი ცა"
დას: 18:00 სთ.

**"რუსთაველი"**
კინორეჟისორ ჭყონიას ახლადდასრულებული საავტორო ფილმის "ფსევდომორფოზა"
საქველმოქმედო ჩვენება
დას: 19:30 სთ.

"ამნეზია"
დას: 12:00; 17:00; 22:00 სთ.

"დღე ხვალის შემდეგ"
დას: 14:30; სთ.

**"ამირანი"**
"მოკალი ბილი 2"
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

**შარდენი**
დათო მონავარდისაშვილისა და თინა კლდიაშვილის ნამუშევრების გამოფენა
გახსნა: 18:00 სთ.

**TMS**
ვახტანგ კაკულიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
არქიტექტორ გერა ხეჩინაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
ნოდარ მალაზონიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

## კლუბები

**"აჭარა მიზუიქ ჰოლი"**
"შედოუქეთი" წარმოადგენს:
დი-ჯეი Chris Fortier
კლუბის გახსნა: 22:00 სთ
ფასი: 30 ლარი

**"ნოა-ნოა"**
Gauguin art show
ექსკლუზიური პროგრამა
დას: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

**პარასკევს, 18 ივნისს, 17 საათზე** თბილისის წიგნის ბაზრობაზე გაიმართება პრეზენტაცია ჟურნალისა New Century (4'2004).

# როგორ კითხულობდნენ "ვეფხისტყაოსანს"

## 17 ივნისი რუსთაველის დღეა

თამარ სუხიშვილი

ფილარმონიის ფოიეს დილიდან მივაშურე, თუმცა ცოტა მაინც შემაგვიანდა და "ვეფხისტყაოსნის" პროლოგს ველარ მივუსწარი. წიგნის ფესტივალზე სწორედ იმ დროს მივედი, როცა უკვე "ნახეს უცხო მოყმე ვინმე..." და სკოლაში ნასწავლი საზეპიროებიც გონებაში გადავიმეორე.

თბილისის წიგნის ფესტივალის გუშინდელი პროგრამა საგანგებოდ არ გადაუტვირთავთ არანაირი პრეზენტაციებითა და საღამოებით, ამ დღეს ფესტივალის მონაწილეთა და სტუმართა ყურადღების ცენტრში ერთადერთი და ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა მოექცა - რუსთაველის დღე. 2004 წლის 17 ივნისს ქართველმა მკითხველმა პირველად იზეიმა რუსთაველის დღე "ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვით, ისევე როგორც ესპანეთში ზეიმობენ ხოლმე სერვანტესის დღეს და საჯაროდ კითხულობენ "დონ კიხოტს".



*"კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურე არ წახდების."*

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ფილარმონიის ფოიე გუშინ ასეთნაირად გამოიყურებოდა. გამომცემლობებმა მშვენივრად აითვისეს ფილარმონიის სივრცე, "ვეფხისტყაოსნის" კითხვის მსურველები კი ფოიეს შუაგულში გუშინდელი დღისთვის საგანგებოდ გამართული პატარა შემაღლებული სცენის ირგვლივ გამწკრივდნენ და თავიანთ რიგს მოუთმენლად ელოდებოდნენ. "ვეფხისტყაოსნის" წაკითხვის სურვილი უამრავმა ადამიანმა გამოთქვა, დიდმა თუ პატარამ. რაც ყველაზე გასახარია, აქციაში მხოლოდ დედაქალაქის მცხოვრებლებს კი არ მიუღიათ მონაწილეობა, "ვეფხისტყაონის" წასაკითხად ხალხმა რაიონებიდანაც არ დაიზარა ჩამოსვლა და ფესტივალის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე სიაშიც ჩაეწერა. პოემის მკითხველთა შორის გამოირჩეოდა ცნობილი პოეტი შოთა ხოდაშნელი, კაცი, რომელმაც ზეპირად იცის "ვეფხისტყაოსანი".

ძალიან გამიხარდა, როდესაც დავინახე, თუ როგორი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ ამ მშვენიერ და, რაც მთავარია, შემეცნებით წამოწყებას ახალგაზრდები, თორემ მწერლები და ლიტერატორები რომ აიტაცებდნენ, ეს ისედაც ნათელი იყო. თანდათანობით სცენაზე ბავშვებმაც გაბედეს ასვლა, თავიდან ღელავდნენ, მაგრამ მერე შეთამამდნენ და სცენაც და მიკროფონიც ადვილად აითვისეს.

პოემის კითხვა წიგნის ფესტივალზე მაშინაც არ შეუწყვეტიათ, როცა მთელ ქალაქში ელექტროენერგია გაითიშა და, რაღა თქმა უნდა, ფილარმონიაშიც მიკროფონი გამოირთო. ამ დროს აქციის ორგანიზატორმა, მწერალმა დათო ტურაშვილმა იმარჯვა და საკუთარი ხმის სიმძლავრის იმედით კითხვა უმიკროფონოდ განაგრძო. საბედნიეროდ, ელექტროენერგიის გათიშვა მცირეხნიანი აღმოჩნდა.

კიდევ რა გითხრათ? - არც კი ვიცი. კითხულობდნენ და კითხულობდნენ. ზოგი - კარგად, უბრალოდ, გულიანად; ზოგი - საშუალოდ; ზოგიც - ცუდად, ხელების შლითა და ცუდი ქართულის მასწავლებლის ყალბი პათოსით. მაგრამ მერე რა? რაც კარგია, კარგია. კარგია, რომ ამიერიდან ჩვენც გვაქვს ჩვენი პოემის კითხვის დღე, და ისიც კარგია, რომ ჩვენს "თინეიჯერებს" შორის "ლექსუსას" ფანების გარდა რუსთაველის ფანებიც გამოჩნდნენ.

"ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვა საღამო ხანისთვის დასრულდა. შეიძლება ბევრი დაიღალა, მაგრამ ბუნებაში არაფერი არ იკარგება. როგორც რუსთაველი ბრძანებს: "კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურე არ წახდების."

დღეისათვის წიგნის ფესტივალზე შემდეგი ღონისძიებებია დაგეგმილი.

**13:00-14:00** გამომცემლობა **"საარი"**
ხუან რამონ ხიმენესი, "პლატერო და მე"
გაბრიელა მისტრალი, პოემები პროზად და მოთხრობები
ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, "იესო ძე კაცისა"

**14:00-15:00** გამომცემლობა **"ელფი"**
ვეროსაბჭოს განათლების ექსპერტები, "როგორ ვისწავლოთ"

**15:00-16:00** გამომცემლობა **"დიოგენე"**
ბესო ხვედელიძე, "გაფრინდინელა"

**16:00-17:00 "ლინქის"** გამოცემების პრეზენტაცია
ქართული და ნიდერლანდური თარგმანები

**17:00-18:00** ჟურნალ **New Century**-ს მე-4 ნომრის პრეზენტაცია

**18:00-19:00** გამომცემლობა **"დიოგენე"**
ზურაბ ბატიაშვილი, "კაბადოკია"

# "სუხიშვილები" იუბილესთვის ემზადებიან

ნანა ბასილაშვილი

*ქართული ნაციონალური ბალეტის ერთი ქვეყნიდან მეორეში, გასტროლიდან გასტროლზე სიარული აღარავის უკვირს. დროდადრო მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ანსამბლის მიერ გამართული პრესკონფერენციები, ძირითადად, გასტროლიდან დაბრუნებასა და მორიგ გამგზავრებას ეხება. ამჯერადაც ჟურნალისტებთან ლეგენდარული ანსამბლის ხელმძღვანელებმა, ამ სასიამოვნო და ჩვენთვის ყველასათვის საამაყო თემაზე ისაუბრეს.*



*ნინო და თენგიზ სუხიშვილები ივლისში მეთორმეტედ წაიყვანენ ანსამბლს.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ერთი თვეც არ არის, რაც "სუხიშვილები" ავსტრალიიდან დაბრუნდნენ. ამ ქვეყანაში ქართული ნაციონალური ბალეტის წევრებმა კონცერტები უკვე მეექვსედ გამართეს. ავსტრალიის ერთ-ერთ საპროდიუსერო კომპანიასთან "სუხიშვილები" 1962 წლიდან მეგობრობენ და თანამშრომლობენ.

"გასტროლები ძალიან კარგად იყო ორგანიზებული. ჩვენ ვიყავით თითქმის ყველა დიდ ქალაქში - სიდნეი, მერბურნი, ადელაიდა, დარვინი, პერტი, კანბერა, ბრისბენი და კიდევ მრავალ სხვა ქალაქში. იმის მიუხედავად, რომ ავსტრალიას მეექვსედ ვესტუმრეთ, წელს პირველად ვიყავით კუნძულ ტასმანიის ორ ქალაქში, ქალაქ ჰობარტში და ლივინგსტონში. კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა. პირველი განყოფილება იყო კლასიკა - ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მიერ დადგმული ცეკვები, მეორე განყოფილებაში კი ილიკო სუხიშვილი უმცროსის ქორეოგრაფია წარმოვადგინეთ", - აღნიშნა ანსაბლის დირექტორმა თენგიზ სუხიშვილმა.

"სუხიშვილების" ახალმა პროგრამამ ავსტრალიელ მაყურებელში დიდი მოწონება დაიმსახურა. ანსამბლის ხელმძღვანელის თქმით, წარმატებამ ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. იქაური პრესა განსაკუთრებულად ქართული ცეკვის ანსამბლის ახალ მიგნებებს გამოეხმაურა. "ჩემის აზრით, ახალი სიტყვა ნამდვილად დროული იყო. ერთი და იგივე პროგრამით ჩასვლა, ცოტა უხერხულიცაა, მით უმეტეს, რომ პირდაპირ გვთხოვდნენ რაიმე ახალს. სიახლე, როგორც უცხოელი, ისე ქართველი მაყურებლისთვისაც ნამდვილად საჭირო იყო. ეს ტრადიციების შენარჩუნებად, მის განვითარებად და პოპულარიზაციად მიგვაჩნია", - ამბობს ანსამბლის დირექტორის მოადგილე ნინო სუხიშვილი. ავსტრალიისთვის სრულიად ახალი ცეკვა დაიდგა, ცეკვა "ხანჯლური" რომელიც ჯერ ქართველ მაყურებელს არ უნახავს, დადგმას ძველი სახელწოდება დარჩა, მაგრამ იგი სრულიად ახალი ცეკვაა.

თუკი ავსტრალიის სხვადასხვა ქალაქებში "სუხიშვილებმა" ექვსჯერ იმოგზაურეს, ივლისში იტალიაში ისინი მეთორმეტედ გაემგზავრებიან.

თუმცა, მანამდე, ქართული ნაციონალური ბალეტი ნიუ იორკს ეწვევა და მეტროპოლიტენ ოპერის ლინკოლნ ცენტრში ჯორჯ ბალანჩინის 100 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტებს გამართავს. სამდღიანი პროგრამა ასე განაწილდა. 25, 26 ივნისს ანსამბლის 50 კაციანი დასი, ამერიკელი მაყურებლის წინაშე, ჯორჯ ბალანჩინის მიერ დაარსებულ ნიუ იორკ სიტი ბალეტთან და მსოფლიო კულტურის სხვა ცნობილ წარმომადგენლებთან ერთად, 30 წუთიანი პროგრამით წარდგება. ჯორჯ ბალანჩინის ერთწლიან საიუბილეო ღონისძიებებს 27 ივნისს, ორგანყოფილებიანი პროგრამით ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ნაციონალური ბალეტი დახურავს. კონცერტის დასრულების შემდეგ, თენგიზ სუხიშვილი მეტად საპატიო მისიას შეასრულებს. საქართველოს სახელით ჯორჯ ბალანჩინის ფონდსა და ნიუ იორკ სიტი ბალეტის ხელმძღვანელობას შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიას გადასცემს. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, რადგანაც გარდაცვლილი ხელოვანი ამ პრემიით პირველად ჯილდოვდება.

ამერიკიდან "სუხიშვილები" იტალიაში მეთორმეტე გასტროლზე გაემგზავრებიან. აგვისტოში კვლავ სამშობლოში დაბრუნდებიან. სექტემბრიდან კი მცირედი დასვენების შემდეგ ყველაფერი თავიდან დაიწყება - კვიპროსი, მოსკოვი, ჩინეთი - მსოფლიო პროფესიონალური ანსამბლების ფესტივალზე, სამხრეთ ამერიკა, უნგრეთი, მომავალ წელს გერმანია, ისევ იტალია და ა.შ.

გაისად "სუხიშვილების" ლეგენდარული ანსამბლი 60 წლის ხდება. იუბილესთან დაკავშირებით ანსამბლი საგანგებოდ ემზადება. ანსამბლის ხელმძღვანელობა აპირებს მომავალი წელი "სუხიშვილების" საიუბილეო წელიწადად გამოაცხადოს.




# ცხინვალის კარები ყველასათვის დაკეტილი არ არის

ნინო ხონელი

13 ივნისს, მას შემდეგ რაც თბილისიდან წასული რამდენიმე დელეგაცია ცხინვალში არ შეუშვეს, მომდევნო დღეს იქ მოძრაობის თეატრი, საერთო აქციის სახელით - "კავკასიური ცარცის წრე", ცხინვალში და თამარაშენში შედის და იქ სპექტაკლს წარმოუდგენს ადგილობრივ მოსახლეობას. ცარცის ხაზის გავლება აქციის მონაწილეებმა ჯერ ბათუმიდან დაიწყეს (თბილისიდან ბათუმამდე), ახლა კი სწორედ ცხინვალიდან შეუდგნენ და გორის გზატკეცილზე შეწყვიტეს, იქ, სადაც ბათუმის გზაზე, ზოლი უკვე გავლებული იყო. როგორ მოხდა ის, რომ მოძრაობის თეატრის მსახიობებმა და სხვა ქართველმა ხელოვანებმა საზღვარი გადაკვეთეს.



ასე ბრუნდებოდნენ აქციის ორგანიზატორები ცხინვალიდან თბილისში



"24 საათი" ცხინვალის გაზეთების ჯიხურშიც იყიდება

აქციის ორგანიზატორი და მონაწილე **გიორგი ვასაძე**: "მხარდაჭერა და შეიძლება ითქვას დახმარება, თავად ადგილობრივმა მოსახლეობამ და იქაური მთავრობის წარმომადგენლებმა გაგვიწიეს. ამის მიზეზი, მგონი, ის გახლდათ, რომ შევძელით მათი დარწმუნება იმაში, რომ ჩვენ მივდივართ ხალხთან და არავითარ პოლიტიკურ განცხადებებს ადგილი არ ექნება. შევედით სრულიად უპრობლემოდ, აქედან ავტობუსით წასულები, საზღვართან მათ მანქანებში გადავჯექით და ისე გავაგრძელეთ გზა. ცხინვალში, მივედით ივანე მაჩაბელის სახლ-მუზეუმში, რომელიც, სხვათა შორის, რესტავრირებული და შეკეთებული დაგვხვდა. იქ ჩვენთვის, ანუ ამ შემთხვევაში თეატრისათვის, სასურველი ტერიტორია აღმოჩნდა, დიდი გაშლილი ეზო, სადაც სხვადასხვა სპექტაკლებიდან ნაწყვეტები შევასრულეთ. გარდა წარმოდგენისა, აქციის თანაორგანიზატორის და სპონსორისაგან - ჯეოსელისაგან საჩუქრები დავარიგეთ. თავდაპირველად, მაინც ასე წარმოგვედგინა, რომ დაძაბული მდგომარეობა დაგვხვდებოდა და დადგმებიდან მხოლოდ 10-15 წუთიან რეპერტუარს შევასრულებდით, მაგრამ სრულიად საპირისპირო მოხდა, არავითარ დაძაბულობას ადგილი არ ჰქონია, მაყურებელი იმდენად დაინტერესებული და გახარებული იყო, რომ სპექტაკლის ხანგრძლივობა გავაზარდეთ.

ჩვენ თან გვახლდა სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2-ის" და ტელეკომპანია "მზის" კორესპონდენტებიც, უკმაყოფილება თუ აგრესია, არც მათ მიმართ იგრძნობოდა. პირიქით, მოსახლეობამ ისინი გაიყვანა და საინტერესო კადრები გადააღებინა. ერთი სიტყვით, მხარდაჭერა და, რაც მთავარია, სიყვარული, ჩვენ იმ დღეს ნამდვილად ვიგრძენით.

აქედან გამომდინარე ვერაფრით ვიტყვით, რომ ცხინვალში არა თუ ოსი ხალხი, არამედ იქ მაცხოვრებელი ქართველებიც აგრესიულად არიან განწყობილნი საზღვარს აქეთ მაცხოვრებელი მოსახლეობის მიმართ. შესაძლებელია მათი უკმაყოფილება გარკვეულწილად ხელისუფლების წარმომადგენლებისკენ არის მიმართული, ვინაიდან, უნდათ მათ თუ არა, ვგულისხმობ მთავრობის წევრებს, მათი ნაბიჯი მაინც პოლიტიკურ სვლად მოიაზრება, ჩვენ კი დავარწმუნეთ, რომ არაფერი მსგავსი არ გვსურდა. და ესეც არის. პოლიტიკა პოლიტიკოსებმა უნდა აკეთონ, ჩვენ კი უბრალო მოქალაქეები თუ ხელოვანები მხოლოდ ურთიერთობისთვის და ერთმანეთის სიყვარულისთვის ვართ მზად. სიყვარული ყველა ადამიანში დევს და ჩვენი მიზანი, ამ სიყვარულის გაღვიძებაა. ალბათ, ეს გულწრფელი დამოკიდებულება იგრძნეს მათ და ამიტომაც მიგვიღეს. აქედან გამომდინარე ვფიქრობ: პირველ რიგში ხალხმა უნდა გამოხატოს ისევ თანაარსებობის ინიციატივა და შემდეგ ვიფიქროთ სხვა მომავალზე. ჩვენი მიზანი არ არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეს ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ უბრალოდ და მარტივად გვინდა ისევ გვქონდეს ურთიერთობა და ისევ გვიყვარდეს ერთმანეთი.

ახლა ჩვენ აფხაზეთში წასასვლელად ვემზადებით. უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს გაეროსთან და აფხაზეთში ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან. არც ცხინვალის შემთხვევაში ველოდით, რომ ტაშის გრიალით შეგვხვდებოდნენ, თუმცა დაახლოებით ასე მოხდა, მაგრამ შესაძლებელია სოხუმშიც იგივე არ განმეორდეს. ჩვენ ამისთვისაც მზად ვართ. თუკი გვეტყვიან, რომ დავტოვოთ იქაურობა, წამოვალთ. მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვარ, ჩვენ გავაგებინებთ აფხაზებს, რომ ომი, რომელიც მოხდა, არ იყო ხალხის ომი, ეს იყო ორი პოლიტიკური ძალის შეტაკება, სადაც ჩვენ, ყველამ ერთად ვიზარალეთ და ახლა ყველამ ერთად უნდა გამოვასწოროთ მათი შეცდომები".

იქნებ მომავალში ეს პატარა გამოცდილება საქართველოს ხელისუფლებამაც გაითვალისწინოს და ჯერ ადამიანებს მისცეს საშუალება, დანგრეული ურთიერთობა აღადგინონ. იქნებ ამის ძალა ყველაზე მეტად და ყველაზე მშვიდობიანად ხალხს შესწევს. წარმოვუდგინოთ ერთმანეთს საკუთარი ხელოვნება, დავიწყოთ საუბარი და იქნებ სიყვარულიც აღდგეს.

ნინია კაკაბაძის სვეტი

# ერთი-ორი საკითხი...



დღევანდელი სვეტი მხოლოდ ერთი საკითხის შესახებ არ იქნება. ძალაუნებურად იმ თემებს უნდა შევეხო, რომელიც უკანასკნელი კვირის მანძილზე ყველაზე აქტუალურად გამოიყურებოდა და ჯერ კიდევ გამოიყურება.

**პირველი**. ილჰამ ალიევის და მისი მეუღლის ვიზიტი საქართველოში.

რაც ახალი მთავრობის ხელში ჩავვარდით, უნდა აღვნიშნო, რომ დიდი ხანია ასე ერთმანეთზე მიწყობილი შავ-შავი მანქანები, გადაკეტილი ქუჩები და სხვა მსგავსი რამ აღარ შემინიშნავს. ჩემი საცხოვრებელი ბინა კანცელარიის შენობის გვერდით მდებარეობს, და თუკი შევარდნაძის დროს ქუჩაში დილა-საღამოს სახლიდან გასულს თუ შესვლას მონდომებულს, ნახევარი საათი მაინც მაჩერებდნენ და იმ წმინდა ადგილას გავლას მიშლიდნენ, სადაც ჩვენი უმაღლესი პირი დადიოდა, ნოემბრის შემდეგ ამგვარ დისკრედიტაციას ადგილი აღარ ჰქონია. და რაც ყველაზე საინტერესოა, არათუ მაჩერებენ, საერთოდ ვერც კი ვიგებ, როდის მოდის და მიდის ჩვენი ხელისუფალი. არც ილჰამ ალიევის სტუმრობის დროს გავუჩერებივარ ვინმეს.აი, ბევრი შავი მანქანა კი რამდენჯერმე შემხვდა. გადაკეტილ ქუჩებზე ისე დაქროდნენ, სულ კომუნისტების პერიოდი დამიდგა თვალწინ. ღმერთმა ქნას, რომ ეს მხოლოდ მისი სტუმრობის დროს ხდებოდეს საქართველოშიც და, რაც მთავარია, აზერბაიჯანშიც - არც იქაურმა მოსახლეობამ დააშავა რამე.

ბატონი ილჰამი კარგად ვასეირნეთ ორი დღის განმავლობაში, მაგრამ ქართული საზოგადოების და, რაც მთავარია, მასმედიის ყურადღების ცენტრში, მაინც აზერბაიჯანის ე.წ. პირველი ლედი გახლდათ. მისი გარეგნობა, მისი ჩაცმულობა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი მეჰრიბანი მართლაც სასიამოვნო გარეგნობის ბრძანდება, მგონი, ქართველი ჟურნალისტები ყველაზე მეტად მისმა ექსტრავაგანტულმა ჩაცმულობამ მოხიბლა. იმ დღეებში სხვადასხვა ქართულ ტელეარხზე, მისი ჩაცმულობის ისეთი დეტალები გავარკვიე, ამდენი სახელი და გვარი მოდების ჟურნალში არ შემხვედრია. "სათვალეები არმანისგან" - აცხადებდა ერთი, "ჟილ სანდერის ხელჩანთა" - ამბობდა მეორე და სხვადასხვა. მოკლედ, ქართველმა ჟურნალისტებმა "ერუდიცია" ნამდვილად გამოამჟღავნეს და ქალბატონ მეჰრიბანს (არ ვიცი, მიაწვდინეს ხმა თუ არა), დაუმტკიცეს, რომ არც ჩვენ ვართ გოიმებიო. აზერბაიჯანის პირველ ლედის თუ არა, ქართულ საზოგადოებას, რომელიც ასევე აღტაცებული იყო მისი ტანისამოსის წარმომავლობით, მათ ხომ მაინც უთხრეს: მიუხედავად იმისა, რომ დღედაღამ დაუღალავად ვშრომობთ, "იმენოი" და "ტუფტა" ტანისამოსის გარჩევა მაინც ვიცითო. მოკლედ, ქალბატონმა მეჰრიბანმა საკუთარი "იმენოი ინტელექტის" გამომჟღავნების საშუალება ქართველებს კიდევ ერთხელ მისცა. იმას კი აღარ მოგიყვებით, რაც აზერბაიჯანელი ქალბატონის მშვენიერი ჰაბიტუსის შესახებ შევიტყვე. მოკლედ, ასეა თუ ისე, ნამდვილად მომხიბვლელი ქალბატონია აზერბაიჯანის პირველი ლედი და ისიც მახარებს, რომ ამჯერად, არც ჩვენი პირველი ლედია დასაწუნი. მხოლოდ იარლიკო-მანიით შეპყრობილი ქართული საზოგადოება როდის დაიწყებს გალამაზებას, საკითხავი სწორედ ეს არის.

**მეორე.** ახლა ვფიქრობ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არა მხოლოდ "იმენოი" ადამიანების, არამედ საყოველთაო ყურადღების ცენტრშია, ევროპის ჩემპიონატია ფეხბურთში. დღეისათვის გულის გასამხნევებელი, მგონი, ის ერთი ქართველია, რომელიც პორტუგალიის სტადიონის ერთ-ერთი ტრიბუნიდან ქართულ დროშას გვიქნევს. კი ვიცით, იქ რომ საქართველო არაფერ შუაშია, მაგრამ მაინც გვიხარია. რატომ ვართ ჩემპიონები მხოლოდ ძიუდოში თუ ჭიდაობაში, და რატომ არა - მონაწილეები მაინც ფეხბურთში. მოკლედ, ასეა თუ ისე, გული მწყდება. მითუ მეტეს მაშინ, როდესაც ჩვენ ყოფილ ქვეჯგუფში მოთამაშე არც თუ ისე ძლიერ გუნდებს ვუყურებ, როგორ ღირსეულად იბრძვიან. სამწუხაროდ, ფეხბურთი ნამდვილად სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ მდგომარეობას ასახავს და ის შავი სავარძლები, რომელშიც ჩვენი ფეხბურთელები ამაყად სხედან, დღევანდელი სინამდვილის ამსახველია. ამაზე გულდასაწყვეტი ის არის, რომ ქართველი ფეხბურთელები, საქართველოს ნაკრების შეხვედრებისას ისე თამაშობენ, როგორც ეზოში, ეზოს ბავშვებთან. სამაგიეროდ ჩხუბი ვიცით კარგი, ერთ-ერთი უკანასკნელი შეხვედრა რომ ვნახე, ძიუდოს თუ ჭიდაობას უფრო გავდა, ვიდრე ფეხბურთს. ამიტომ ეტყობა, ქართული ფეხბურთი ის ერთ-ერთი შემთხვევაა, რომელიც ლეგენდად ერთი გაუგებრობის გამო იქცა (როგორც კინო, თეატრი და სხვა). ჩვენ მხოლოდ აღმავლობის პატარა პერიოდები გვაქვს, რომლის შემდეგ საკუთარ გენიალობაში ისე ვრწუნდებით, რომ სრულიად საკმარისი ხდება მომავალი არსებობისათვის. ახლა კი სინამდვილეში დროა, შავ სავარძლებში ჩავსხდეთ და უფრო თავმდაბლად ვუყუროთ მსოფლიო კინო თუ ფეხბურთის შედევრებს. მაგრამ, საქართველოში დღეს იმედი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ჩაისახა, ჯერ კიდევ არის, ამიტომ როგორც საყოველთაოდ ბედნიერი მომავლის მჯერა, ასევე ახალი საფეხბურთო ხელმძღვანელობის ხელში, მომავალში უკეთესი ქართული ფეხბურთისაც მჯერა. მაპატიეთ ჩემი ოპტიმიზმი, თუკი ვცდები.

**მესამე.** დაბოლოს, კიდევ ერთი ღონისძიება. ამჯერად წიგნის მოყვარულთათვის. უკვე მე-7 წელია, თბილისში წიგნის ბაზრობა ტარდება. ბაზრობაზე წარმოდგენილი წიგნები ყოველთვის სიახლის მაუწყებელი იყო, როგორც შინაარსობრივად, ასევე მატერიალური თვალსაზრისით. იმ პერიოდში, როდესაც ბაზრობამ არსებობა დაიწყო, საქართველოში წიგნები ასე მასიურად არ შემოდიოდა და ამიტომ ყველა წიგნის მოყვარულისათვის ეს ბაზრობა ზეიმის ტოლფასი იყო. რა ხდება წელს? წიგნის მაღაზიები ჩვენდა სასიხარულოდ მომრავლდა, მათმა მეპატრონეებმა ამ ბაზრობაზე გამდიდრების მიზანი დაისახეს. ამიტომ მათ მიერ წარმოდგენილ წიგნებს არც ერთი კაპიკი არ დააკლეს (მხედველობაში მაქვს არაქართველი ავტორები და მათი ნაწარმოებები, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ქართული თანამედროვე მწერლობა აქტიურია, უცხოელი ავტორები ნაკლებად საინტერესონი ნამდვილად არ არიან), მაღაზიების მესვეურები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლნენ. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის ფოიეში, საკუთარი "წიგნიერი კაფეებიც" შემოიტანეს რამდენიმე დღით და გამაგრილებელ სასმელებზე და სხვადასხვა ცომეულზე, ისედაც გაორმაგებული ფასები კიდევ ერთხელ გაზარდეს. ამიტომ 30 თეთრის ღირებულების ფანტას თუ კოკა-კოლას, წიგნის ბაზრობაზე სამმაგ ფასში, სულ რაღაც ერთ ლარად მოგართმევენ. აქედან გამომდინარე იქაურობა ცოტა "მარიოტის" კაფეს დაემსგავსა, სადაც მწერალთა აჩრდილები დაიარებიან (ფოტოების სახით) და საჭმლის დაყნოსვაც კი ფასიანია. მაგრამ, მარიოტთან მე პრეტენზია არ მექნება, ვინაიდან არც მას აქვს, მაგრამ წიგნის ბაზრობას რაც შეეხება, თუკი მისი მიზანი ხალხის წიგნთან მიზიდვაა, სხვაგვარად ჯობს მიდგომა. ხალხი გასული წლების ინერციით, დღესაც ბაზრობისთვის ფულს აგროვებს და იქ წიგნის საყიდლად მიდის. ისე ნუ გავაკეთებთ, რომ იქაურობა საკომისიო მაღაზიას დავამსგავსოთ და ერთადერთ მიზნად გამდიდრება დავისახოთ. ქართული საზოგადოების ინტერესი წიგნისადმი ჯერ ისე მაღლა არ დგას, რომ მოვეშვათ და უკვე მხოლოდ კომერციაზე ვიფიქროთ. ადამიანს, რომელიც წიგნის საყიდლად ემზადება, ამ ინიციატივას საწყისშივე ნუ ჩავუკლავთ.

# მადონა - ახალი წიგნის და ახალი ტურნეს შესახებ



REUTERS



მადონა ტურნეს თავდაყირა იწყებს

წარმატებული კარიერა და ახალი ამპლუა - ალბათ, ასე შეიძლება დავახასიათოთ მომღერალ-მწერალი მადონა, რომლის - მეოჯახე ქალბატონის ამ ახალ იმიჯს, არც ისე დიდი ხნის წინ ახალი საქმიანობა - წიგნების წერაც მიემატა. მადონამ, რომელმაც წარმატებით გამოცა უფროსი ასაკის მკითხველისთვის განკუთვნილი "წარსულ ცხოვრებაში" და "სექსი", არც პატარა მკითხველი დაივიწყა და შარშან მათთვის ორი ზღაპარი - "ინგლისური ვარდები" და "მისტერ პიბოდის ვაშლები" შექმნა, რომლის ქართული თარგმანის მოძიება თავისუფლად შეიძლება ჩვენი წიგნების მაღაზიებშიც. სულ მალე კი მომღერლის მესამე წიგნი "იაკობი და შვიდი ყაჩაღი" გამოვა, რომლის პრეზენტაციაც ევროპასა და ამერიკაში 21 ივნისისთვისაა დაგეგმილი.

შეგახსენებთ, რომ მომღერალს გადაწყვეტილი აქვს (რაც არაერთხელ განუცხადებია) გამოუშვას სერია ხუთ წიგნად. თუ "ინგლისურ ვარდებში" მადონა პატარა მკითხველს იმაზე მოუთხრობს, თუ რა საშინელია შური და ეჭვიანობა, რომელთაც ადამიანებისთვის ტანჯვის და ცუდის მეტი არაფერი მოაქვთ, ამჯერად აქ იქნება მოთხრობილი, ურთიერთობა ღმერთსა და ადამიანს შორის. "იაკობი და შვიდი ყაჩაღი" - ეს არის ისტორია ჩვენზე, რომ ჩვენ ყველანი მიუხედავად ჩვენი ცხოვრების წესისა და შეხედულებებისა, ვფლობთ ნიჭს, რომ შევიცნოთ და შევაღოთ სამოთხის კარიბჭე. რომ თუ ადამიანი იმოქმედებს საკუთარი ეგოისტური ბუნების წინააღმდეგ, მას შეუძლია სასწაულების მოხდენა, როგორც საკუთარ ცხოვრებაში, ისე გარშემომყოფთათვისაც..." - აცხადებს მადონა.

რაც შეეხება პოპ-დედოფლის წიგნს, რომლის შეძენის საშუალება ამერიკელებს 21 ივნისიდან შეეძლებათ, რუსეთის ბაზრებზე მხოლოდ 16 აგვისტოს გამოჩნდება - სინანულით აღნიშნავს ერთ-ერთი რუსული გაზეთი. თუმცა, აქვე სიამაყით ამატებენ, რომ ახალი წიგნის ილუსტრატორი რუსი მხატვარი გენადი სპირინია, რომლმაც მეთვრამეტე საუკუნის, დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი პატარა ქალაქის სურათი უნდა გადმოსცეს, სადაც მადონას ზღაპარი ვითარდება. რაც შეეხება სპირინს, ამ რუს მხატვარს 33 საბავშვო წიგნი აქვს გაფორმებული.

დაგეგმილია, რომ "იაკობი და შვიდი ყაჩაღი" 38 ენაზე ითარგმნოს, მათ შორის გამოიცეს სპეციალური გამოცემა შეზღუდული მხედველობის ბავშვებისთვისაც. მადონას ახალი ქმნილება 110 ქვეყნის წიგნის მაღაზიებში, ზაფხულის განმავლობაში გამოჩნდება.

სანამ ახალ ამპლუაში აგრძელებს აქტიურ მოღვაწეობას მწერალი - მადონა, მას არც სცენა ავიწყდება. რამდენიმე კვირის წინ, კერძოდ კი 24 მაისს ლოს ანჯელესში მსოფლიო ტურნე დაიწყო, სახელწოდებით: Re-Invention World Tour 2004, რომელიც სექტემბრის დასაწყისში პარიზში დასრულდება. კონცერტები, რომელიც მადონასთან ყოველთვის სკანდალებით და შოკური დადგმებით გამოირჩეოდა, არც ამ შემთხვევაში აღმოჩნდა გამონაკლისი. ომის საწინააღმდეგო ეკლექტიკური წარმოდგენა, სადაც ერთმანეთში ირეოდა ერაყში დაღუპული მეომრების სურათები, თვითონ მომღერალი ელექტრო სკამზე... რასაც ტანგოს მოცეკვავეებთან ერთად აშკარა ლესბოსური სცენები ემატებოდა... - "ჩვენ ისეთი გაოგნებულები ვართ, სად წავიდა ნამდვილი მადონა? ეს ხომ საშინელებაა", ზოგი კი აღტაცებას ვერ მალავდა პოპ-დედოფლის ახალ ტურნესთან დაკავშირებით -"არა, ეს ნამდვილი ბომბია. დიდი ხანია, ასეთი მაგარი სანახაობა არ მინახავს." აქვეყნებდა BBC news-ი. რაც შეეხება მომღერლის ჩაცმულობას, ამაზე დიზაინერმა კრისტიან ლაკრუამ იზრუნა, რომლის ოქროს ფოთლებით მორთული აბრეშუმის, ღია ვარდისფერი კორსეტი ამშვენებდა ომის წინააღმდეგ "მებრძოლ" მომღერალს.



EURO-2004

# პატარა რუნიმ შვეიცარია დახვრიტა







საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ პირველ მატჩში წარმოდგენილი შემადგენლობისაგან განსხვავებით, შვეიცარიის წინააღმდეგ შეხვედრაში ინგლისელთა რიგებში მხოლოდ ერთი საკადრო ცვლილება მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა კინგმა ფრანგების წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა, გუშინდელ მატჩში დაცვის ცენტრში მისი ადგილი ტრავმამოშუშებულმა ჯონ ტერიმ დაიკავა. ერთი, თუმცა იძულებითი, ცვლილება იყო შვეიცარიელთა რიგებშიც. ხორვატიის წინააღმდეგ მატჩში მოედნიდან გაძევებული ფოგელის ნაცვლად მოედანზე სელესტინი გამოჩნდა.

მატჩის დებიუტში ნათლად გამოჩნდა, რომ ინგლისელებს საფრანგეთის წინააღმდეგ შეხვედრაში განცდილი შოკი ჯერ არ ჰქონდათ დავიწყებული. გუშინდელი მატჩის ფავორიტი მეტისმეტად პასიურად თამაშობდა თავდასხმაში, მოწინააღმდეგეს კი სახიფათო კონტრ-შეტევების განხორციელების საშუალებას აძლევდა. შვეიცარიელები ძირითადად სტანდარტული სიტუაციების შედეგად ქმნიდნენ ხიფათს ინგლისელთა კართან. თუმცა, ჰაკან იაკინის საჯარიმო დარტყმების მოგერიებას ინგლისელები მაინც ახერხებდნენ.

მიუხედავად შვეიცარიელთა უპირატესობისა, ანგარიშის გახსნა მაინც ინგლისელებმა შეძლეს. დევიდ ბექჰემმა შვეიცარიელთა საჯარიმოში მყოფ ოუენს ჩააწოდა, ამ უკანასკნელმა ახალგაზრდა უეინ რუნი მოძებნა, ინგლისური ფეხბურთის ამ ამომავალმა ვარსკვლავმა კი ზუსტად დაარტყა - 1:0.

გატანილი გოლის შემდეგ ინგლისელები საგრძნობლად გააქტიურდნენ, თუმცა შვეიცარიელები საკმაოდ კარგად იცავდნენ თავს. პირველი ტაიმი ისე მიილია, რომ ასპროცენტიანი საგოლე შანსი არც ერთ გუნდს არ ჰქონია. მეორე ნახევარში შვეიცარიელებმა შეტევა გააძლიერეს, შეცვლაზე გამოსულ თავდამსხმელ გიგას გოლის გატანის კარგი შანსიც ჰქონდა, მაგრამ მის მიერ დარტყმული თავური მიზანს ასცდა. ისევე, როგორც საფრანგეთის წინააღმდეგ მატჩში, ინგლისელები ანგარიშის ენარჩუნებას ცდილობდნენ და საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო მეტს ზრუნავდნენ, ვიდრე ანგარიშის გაზრდაზე. შემდეგ იყო შვეიცარიელი ჰაასის მოედნიდან გაძევება, რომელმაც ზედიზედ ორჯერ მიიღო ყვითელი ბარათი. მიუხედავად რიცხვობრივი უპირატესობისა, ინგლისის ნაკრები მხოლოდ კონტრშეტევებით შემოიფარგლებოდა. თუმცა, ასეთმა ტაქტიკამ თავისი შედეგი მაინც გამოიღო. ანგარიშის გაზრდა ისევ და ისევ უეინ რუნიმ მოახერხა, რომლის მიერ დარტყმული ბურთი ჯერ კარის ძელს მოხვდა, შემდეგ შვეიცარიელთა მეკარე შტილის თავს და ასე შევარდა კარში - 2:0.

მეორე გაშვებულმა გოლმა შვეიცარიის ნაკრები საბოლოოდ გატეხა. სტივენ ჟერარდის მიერ 82-ე წუთზე გატანილი მესამე გოლი მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობის ამბავი იყო.

ინგლისის ნაკრებმა პირველი სამი ქულა მიითვალა, თუმცა ჯგუფიდან გასვლის საკითხი ჯერჯერობით კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. შვეიცარიელებს კი მხოლოდ ერთი ქულა აქვთ თავიანთ აქტივში და მეოთხედფინალში გასასვლელად დიდ ძალისხმევასთან ერთად იღბალიც დასჭირდებათ.

# საფრანგეთი ხორვატიას გადაურჩა






ფეხბურთი

# FIFA-მ ყრილობა გადაგვიწია

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მე-7 ყრილობამ უჩვეულოდ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, რაც სულაც არ იყო მოულოდნელი. ყრილობას აკლდა მთავარი ინტრიგა - არჩევნები, რისი ჩატარებაც, წესდების მიხედვით, ქართულ საფეხბურთო სამყაროს ორი წლის შემდეგ უნდა უზრუნველეყო. თუმცა, ასე აღარ მოხდება და გუშინდელი ყრილობის ერთ-ერთ მთავარ გადაწყვეტილებად პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთვის უფლებამოსილების ერთი წლით გახანგრძლივება შეიძლება მივიჩნიოთ.

თუმცა, ყრილობის გადავადება ვინმესთვის უფლებამოსილების გახანგრძლივების სურვილით ან სხვა რაიმე მოტივით არ იყო ნაკარნახევი. ფიფას და უეფას საკუთარი საანგარიშო-საარჩევნო ყრილობების გამართვა, წესდებით, ასევე, 2006 წელს უწევდა. ამ წელს კი, მოგეხსენებათ, მსოფლიო ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს. ფიფას და უეფას აღმასრულებელმა კომიტეტებმა ჩათვალეს, რომ ჩემპიონატის ფონზე ყრილობის გამართვა არ არის გამართლებული. ამიტომ ამ ორგანიზაციებმა ყრილობის ჩატარების თარიღი ერთი წლით გადაწიეს და ეროვნულ ფედერაციებს სთხოვეს, ისინიც ასევე მოქცეულიყვნენ. ყრილობის დელეგატებმა ასეთი განმარტება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთვის საკმარის არგუმენტად მიიჩნიეს და მე-8 საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის ერთი წლით გადავადებას მხარი დაუჭირეს.

ყრილობა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო 36-მა დელეგატმა, მერაბ ჟორდანიამ საანგარიშო მოხსენებით გახსნა. მან ყურადღება გაამახვილა იმ მოვლენებზე, რაც თან ახლდა ქართულ ფეხბურთს 2003 წელს. ქართული საფეხბურთო მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით გადადგმული სერიოზული ნაბიჯები, მსაჯთა აკადემიის გახსნა, ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე მაღალი კვალიფიკაციის ფრანგი სპეციალისტის ალენ ჟირესის მოწვევა, პროფესიული საფეხბურთო ლიგის ჩამოყალიბება, სპონსორების მოზიდვა, ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლება - ამ ძირითად საკითხებზე ააგო საანგარიშო გამოსვლა ჟორდანიამ.



*ჟორდანია გუშინდელი ყრილობის მთავარი მომხსენებელი იყო.*

ყრილობამ კიდევ რამდენიმე საკითხის შესახებ იმსჯელა და გადაწყვეტილებაც მიიღო. კერძოდ, სფფ-ს წესდებაში შევიდა რამდენიმე სარედაქციო ხასიათის ცვლილება, პროფესიული საფეხბურთო ლიგა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ასოცირებულ წევრად მიიღეს.

ყრილობამ უფლებამოსილება შეუწყვიტა სფფ-ს აღმასკომის წევრს ტარიელ ღვაბერიძეს. აირჩიეს ოთხი ახალი წევრიც. კერძოდ, დღეიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები გახდნენ რევაზ არველაძე, ანდრო აბაშიძე, სერგო კვარაცხელია და დიმიტრი რამიშვილი.

მთლიანად გადახალისდება სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტი, რადგან მისმა ხელმძღვანელმა, საქართველოს სპორტის აკადემიის რექტორმა ომარ გოგიაშვილმა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტის დატოვება გადაწყვიტა.

ყრილობის მდივნის რომან შოთაძის განმარტებით, როდესაც ასეთი კომიტეტის თავმჯდომარე ტოვებს პოსტს, ავტომატურად დგება მისი წევრების გადახალისების საკითხიც. იმის გამო, რომ ომარ გოგიაშვილმა ზუსტად ყრილობის დაწყების წინ მიიღო გადადგომის გადაწყვეტილება, ვერ მოესწრო სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრობის კანდიდატების შერჩევა. ამიტომ, ყრილობამ მხოლოდ ის გააკეთა, რომ ამ კომიტეტის წევრთა რაოდენობის ხუთამდე შემცირებას უყარა კენჭი. ამ გადაწყვეტილებით, სფფ-ს პრეზიდენტის განმარტებით, სადისციპლინო კომიტეტის ქმედუნარიანობა გაცილებით გაუმჯობესდება. რაც შეეხება ახალ თავმჯდომარესა და კომიტეტის წევრებს, უახლოეს მომავალში საგანგებოდ ამ საკითხის გადასაწყვეტად შეიკრიბება სფფ-ს აღმასკომი.

საინტერესო იყო ფინანსური ანგარიშის მოსმენა და დამტკიცება. სფფ-ს ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელის გერა ხეცურიანის განცხადებით, 2003 წელს სფფ-ს შემოსავლებმა შეადგინა 2,9 მილიონი ლარი. 1,225 მილიონი ლარი ფედერაციამ ეროვნული ნაკრების თამაშებიდან ბილეთების რეალიზაციით, სატელევიზიო ტრანსლაციისა და სარეკლამო უფლებების გაყიდვით მიიღო, 1,675 მილიონი ლარი კი - საერთაშორისო გრანტებით. ხარჯებმა გაცილებით მეტი - 3,389 მილიონი ლარი შეადგინა. შემოსავალსა და ხარჯებს შორის სხვაობა 2003 წელს 719 ათასი ლარი აღმოჩნდა.

თუმცა, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, სფფ-ს არავის ვალი არა აქვს და უარყოფითი ბალანსი მხოლოდ კალენდარული შეუთავსებლობის ბრალია.

"უეფასა და ფიფას კალენდრის მიხედვით, საფეხბურთო სეზონი ყოველი წლის 1 ივნისს იწყება და მეორე წლის 1 ივნისამდე გრძელდება. სფფ სისტემატურად მონაწილეობს უეფასა და ფიფას დახმარების ფინანსურ პროექტებში. ამიტომ მათი კალენდარი ჩვენთვისაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით, ანუ დღეის მდგომარეობით, ჩვენ არავის ვალი არ გვაქვს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო კი, წესისამებრ, ათვლას 1 იანვრიდან იწყებს. ჩემს მიერ ყრილობაზე ხსენებული უარყოფითი სალდოც ამ მიზეზით არის განპირობებული. ფეხბურთის ფედერაცია პირნათელია როგორც სახელმწიფოსთან, ისე ყველა ორგანიზაციასთან და არავითარი ვალი არა აქვს", - განაცხადა გერა ხეცურიანმა.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ესპანელებთან მიღწეული ფრე ბერძნებს ძვირად დაუჯდათ. ტრავმა მიიღო საბერძნეთის ნაკრების ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ სტელოს იანაკოპულოსმა. მატჩის შემდეგ ნახევარმცველი საავადმყოფოში მოათავსეს. რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ იანაკოპულოსი არ ითამაშებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ვერდიქტი გამოუტანა იტალიის ნაკრების ლიდერს ფრანჩესკო ტოტის, რომელმაც დანიის ნაკრებთან მატჩში ნახევარმცველ კრისტიან პოულსენს შეაფურთხა. ტოტი მომდევნო სამ თამაშს გამოტოვებს. დანიელები კი ოთხმატჩიან დისკვალიფიკაციას მოითხოვდნენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ტაილანდის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გამოვიდეს 30-პროცენტიანი შეთანხმებიდან, რომელიც ინგლისის "ლივერპულის" აქციების შეძენას გულისხმობდა. როგორც ვაჭრობის მინისტრის წარმომადგენელმა პონგსეკ პექტეპონგპეისერნმა განაცხადა, ხელისუფლების ადგილს ამ შეთანხმებაში ქვეყნის ყველაზე მსხვილი ხმის ჩამწერი კომპანია GMM Grammy დაიკავებს. მისი თქმით, ამიერიდან კომპანიის წარმომადგენლები ჩაიბარებენ საქმეს და "ლივერპულთან" დამოუკიდებელ მოლაპარაკებას გამართავენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის ოფიციალურმა საიტმა მომხმარებელთა მიზიდვის თვალსაზრისით რეკორდი დაამყარა. 31 მაისის შემდეგ საიტი თორმეტმა მილიონმა ადამიანმა მოინახულა. ამ მაჩვენებელმა უკვე გადააჭარბა წინა ჩემპიონატის რეკორდს, რომელიც ბელგიასა და ჰოლანდიაში დაფიქსირდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სევილიის "ბეტისის" ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა თავისი ლიდერის, მარჯვენა ნახევარმცველის ხოაკინის გაყიდვაზე. 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი კლუბის პრეზიდენტს მანუელ რუიზა დე ლოპერს მცირე თანხად მოეჩვენა იმისთვის, რომ ფეხბურთელი მყისვე გაეყიდა. ვარაუდობენ, რომ ხოაკინის პერსონით კონკრეტულად "რეალი", "მანჩესტერ იუნაიტედი", "ჩელსი" და ოთხი იტალიური კლუბი დაინტერესდა. რამდენს ითხოვს დე ლოპერი ფეხბურთელის სანაცვლოდ, ჯერჯერობით უცნობია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველმა დეკომ განაცხადა, რომ ლონდონის "ჩელსიში" მისი გადასვლა გადაწყვეტილი საქმეა. ფეხბურთელის თქმით, კლუბთან ყველა დეტალი უკვე მოგვარებულია. "მე ისღა დამრჩენია, სამედიცინო შემოწმება გავიარო და კონტრაქტს მოვაწერო ხელი", - განაცხადა დეკომ, რომელსაც შეუძლია, "ჩელსიში" შეუერთდეს ჟოზე მოურინიოსა და მცველ პაულუ ფერეირას, რომლებმაც უკვე გაიარეს გზა პორტუდან ლონდონამდე.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისელ გულშემატკივარს ჰარი მანს პორტუგალიის ქალაქ ალბუფერიაში მოწყობილი ჩხუბისთვის ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სასჯელს მანი ინგლისში მოიხდის. მის გზას ინგლისის ნაკრების კიდევ 10 გულშემატკივარი გაუყენეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანეთ-საბერძნეთის მატჩში საუკეთესო ფეხბურთელად ესპანელთა ფორვარდი რაული აღიარეს. სწორედ მან გააკეთა საგოლე პასი მორიენტესისთვის და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა. მანიშე კი დასახელებულია პორტუგალია-რუსეთის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ. მან მხოლოდ გოლი კი არ გაიტანა, სკოლარის გუნდში ერთ-ერთი მთავარი ფიგურაც იყო.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** მსოფლიოს მესამე ჩოგანმა, არგენტინელმა გილიერმო კორიამ უიმბლდონის ტურნირის დაწყების წინ თავისი ახალი მწვრთნელის ვინაობა დაასახელა. "სიამოვნებით წარმოგიდგენთ ჩემს ახალ მწვრთნელს. ეს ჩემი თანამემამულე გაბრიელ მაკუსია, - განაცხადა კორიამ, - იმედი მაქვს, ჩვენს ნაყოფიერ თანამშრომლობას უახლოეს ორშაბათს დავიწყებთ, როცა სტარტს აიღებს უიმბლდონის ტურნირი. ახალ მწვრთნელზე იმის თქმა შემიძლია, რომ მან ჩოგბურთის შესახებ პრაქტიკულად ყველაფერი იცის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უაღრესად დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევა. მისი შედეგები კი თავისთავად მეტყველებს ყველაფერზე. თავის დროზე ის ავარჯიშებდა ისეთ ჩოგბურთელებს, როგორებიც არიან ხუან-იგნასიო ჩელა, დავიდ ნალბანდიანი და ნიკოლას მასუ ".

■ ■ ■

**ჰოკეი.** ლატვიელმა მეკარემ არტურ ირბემ დატოვა "კაროლინა", სადაც ექვსი სეზონი გაატარა და "კოლამბუსში" გადაბარგდა. 37 წლის მეკარისთვის კომპენსაცია იქნება "მომავალი უპირატესობა", ანუ მომავალ დრაფტზე ერთ-ერთი არჩევანის უფლება. ირბე მეორეა ევროპელ მეკარეებს შორის, რომელმაც კარიერის განმავლობაში NHL-ში 218 მატჩი მოიგო. ლატვიელი ამ მაჩვენებლით მხოლოდ ჩეხ დომინიკ ჰაშეკს ჩამოუვარდება (296 მატჩი).

*კრივი*

# კონსტანტინ ცზიუ: "მოკრივე ბრძოლაში უნდა დამარცხდეს"

კრივის მსოფლიო ასოციაციამ (WBA) განაცხადა, რომ კონსტანტინ ცზიუს ართმევს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, რადგან მან უარი თქვა, ჩემპიონის ქამარი ვივიან ჰარისთან ბრძოლაში დაეცვა. ამაზე ცზიუმ უბრალოდ თქვა, რომ ჯერ არ იცის, გააპროტესტებს თუ არა ამ გადაწყვეტილებას.

საუბარი იმის თაობაზე, რომ კრივის მსოფლიო ასოციაცია აპირებს, რუსული წარმოშობის ავსტრალიელს პირველ ქვესაშუალო წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვას, დიდხანს მიმდინარეობდა. საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც კონსტანტინ ცზიუმ უარი განაცხადა, ეჩხუბა ვივიან ჰარისთან, რომელიც მსოფლიოს მეორეხარისხოვანი ჩემპიონის წოდებას ატარებს. მასთან ბრძოლის წინ ცზიუს სურდა, ჯერ IBF-ის დროებით ჩემპიონთან, შარმბა მიჩელთან გაესწორებინა ანგარიში. WBA-ის ორგანიზაციის წესდების მიხედვით, მოკრივე, რომელიც ორი ან მეტი ორგანიზაციის სახელით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს, "სუპერჩემპიონად" ცხადდება. "ჩვეულებრივი" ჩემპიონის ტიტული კი ვაკანტურად ცხადდება და რეიტინგ-ლისტის მიხედვით ორ საუკეთესო მოკრივეს შორის თამაშდება. ანუ თავიდან "სუპერჩემპიონ" ცზიუს ტიტულის იძულებითი დაცვის წესით ჰარისთან უნდა ეჩხუბა.

მაგრამ, ცზიუმ უარი განაცხადა ჰარისთან შეხვედრაზე და მთელი კონცენტრაცია მიჩელთან 6 ნოემბერს დაგეგმილ მატჩზე გადაიტანა. ეს ჩხუბი მოსკოვში იყო დაგეგმილი. "აი, გავუსწორებ მიჩელს ანგარიშს და შემდეგ ჰარისთან ჩხუბზეც შეიძლება საუბარი", - ამბობდა ცზიუ. თუმცა, WBA-მ მკაცრი პოზიცია დაიკავა... ახლა ნოემბერში დაგეგმილი ბრძოლის ბედი კიდევ უფრო ბუნდოვანია.

**- კონსტანტინ, აპირებთ თუ არა პროტესტის გამოხატვას?**

- ჯერ არ გადამიწყვეტია. თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. საუბარი იმის თაობაზე, რომ შეიძლება ჩემთვის ტიტული ჩამოერთმიათ, დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ WBA-ის ჩინოვნიკები ამაზე წავიდოდნენ. მე ვფიქრობდი და ახლაც ასე მგონია, რომ მოკრივე მხოლოდ ბრძოლაში უნდა კარგავდეს ტიტულს.

**- და მაინც, როდის ჩამოყალიბდებით პროტესტის თაობაზე?**

- დღეს ნამდვილად არა. ვფიქრობ, რამდენიმე დღის შემდეგ. საჭიროა, ყველა ნიუანსში კარგად გავერკვე.

**- თქვენი მომდევნო ბრძოლა მიჩელის წინააღმდეგ გაიმართება?**

- ჯერჯერობით არც ეს ვიცი. მასთან ბრძოლას ვგეგმავდი, მაგრამ ახლა არ ვიცი... ყველაფერს ავწონ-დავწონით.

**- თუ მაინც მიჩელს შეხვდებით, რამდენად დიდია მატჩის მოსკოვში გამართვის შანსი?**

- ძნელი სათქმელია. ჯერ მეტოქის ვინაობა უნდა გავარკვიო.

**- როგორ მიმდინარეობს მომავალი ბრძოლისთვის თქვენი მზადების პროცესი?**

- ჯერჯერობით არ ვემზადები. მსუბუქად ავად ვარ.

**- რამდენად სერიოზულად?**

- გავცივდი.

აშკარაა, რომ ჯერჯერობით თვითონ მოკრივეს არ შეუძლია ბევრი რამის ახსნა-განმარტება. ვისთან უნდა იჩხუბოს ცზიუმ, ამას ხომ მისი მენეჯერი მეტიუ უოტი წყვეტს. თუმცა, ფაქტია, რომ ცზიუ არც ისე მარტივ სიტუაციაში აღმოჩნდა. ის უკვე ვეტერანია და ოფიციალურ ბრძოლაში რინგზე დიდხანს აღარ გამოჩენილა. ბოლოს ეს 2003 წლის იანვარში იყო, როცა ცზიუმ ლეიხა დაამარცხა. დროის ასე მცირე მონაკვეთში ორი ბრძოლის გამართვა კონსტანტინ ცზიუსთვის სულ უფრო მძიმე ხდება.



*კოსტია ცზუს ჩემპიონის ტიტულს ართმევენ*

*ფორმულა 1*

# ინდიზე "ფერარის" უპირატესობას წინასწარმეტყველებენ

დღეიდან ფორმულა 1-ის საჯინიბოთა საზრუნავი მსოფლიო ჩემპიონატის მეცხრე - ინდიანაპოლისის ეტაპია. მეცხრე ეტაპი ანუ აშშ-ის დიდი პრიზი კვირის რბოლისთვის დღეს და ხვალ კვალიფიკაციებს გაითამაშებს. ვის აქვს აშშ-ის დიდი პრიზის მოგების ყველაზე დიდი შანსი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. კვირის რბოლამდე ყველა მარჩიელობს და შესაძლო სცენარსაც კი თხზავენ. საინტერესოა ბრიტანული საბუკმეიკერო კანტორის უილიამ ჰილის მიერ მისაღებ ფსონთა კურსიც. თუმცა, ვიდრე ამ კურსს შევიტყობდეთ, ჯერ გავიგოთ, როგორ აფასებს ინდიანაპოლისის ტრასაზე საჯინიბოთა შანსებს ფორმულა 1-ში ჭიპმოჭრილი ექსპერტი ჟაკ შულცი. გერმანელი ექსპერტი მერვე და მეცხრე ეტაპს შორის (კანადისა და აშშ-ის დიდი პრიზები) ერთადერთ სხვაობას იმაში ხედავს, რომ, შესაძლოა, "ფერარიმ" ბევრად უკეთ დაატრიალოს საჭეო.

**ფერარი**

"ინდიანაპოლისის ტრასა თავისი მახასიათებლებით ბევრად უკეთ შეეფერება "ფერარის", ვიდრე მონრეალის ტრასა. სწორი მონაკვეთები იქ არცთუ ისე მნიშვნელოვანია, ვიდრე ზოგს ჰგონია. მე რბოლის უმთავრეს ფავორიტად "ფერარი" მიმაჩნია. თუმცა, მონრეალისგან განსხვავებით, ინდიზე "ფერარი" ბევრად უკეთ წარმოაჩენს თავს. მიხაელ შუმახერი კი კვლავაც რუბენს ბარიკელოზე ადრე დაასრულებს რბოლას".

**BAR-ჰონდა**

"მეორე ადგილისთვის ბრძოლაში BAR და "რენო" ჩაებმებიან. ვინაიდან ფრანგებმა აშკარად მოუმატეს, ამის გამო ისინი BAR-ს სიცოცხლეს გაუმწარებენ. ერთი სიტყვით, BAR და მისი მესაჭე ჯეისონ ბატონი "ფერარის" უახლოესი მდევრები იქნებიან".

**რენო**

"მესამე ადგილი "რენოს" დარჩება. იარნო ტრულმა და ფერნანდო ალონსომ მონრეალის შემდეგ, წესით და რიგით, ადგილები უნდა გადაითამაშონ (ალონსო კანადის დიდ პრიზზე მე-13 იყო, ხოლო ბატონი - მესამე.-რედ.). თუმცა, ისიც სათქმელია, რომ სარბოლო პაკეტი ფრანგების საჯინიბოს მხოლოდ მესამე ადგილამდე აღზევების საშუალებას აძლევს".

**BMW-უილიამსი**

"BMW-უილიამსი" საგრძნობლად მომძლავრდა და მეოთხე ადგილიც უკავია. ორმა რბოლამ განვლო მას შემდეგ, რაც სემ მაიკლმა ხელში აიღო გუნდის სადავეები. როგორც იქნა, რალფმაც გააუმჯობესა შედეგი. დისკვალიფიკაციის მიუხედავად (კანადის დიდ პრიზზე "უილიამსის" ბოლიდებზე რეგლამენტისთვის შეუსაბამო მუხრუჭები აღმოაჩინეს, რისთვისაც გუნდის შედეგები გააუქმეს. იგივე ბედი ეწია "ტოიოტასაც".-რედ.) გუნდი აშკარა პროგრესს განიცდის".

**მაკლარენ-მერსედესი**

"მაკლარენელები მეხუთე ადგილზე დაბრუნდნენ. ხუთი პიტ-სტოპითა და სამი შეცვლილი საჭით ოთხი ქულის დაუფლება - მაგარია. დევიდ კულჰარდი ჯანკარლო ფიზიკელაზე ("ზაუბერი") ადრე დაასრულებდა რბოლას, რომ არა კრისტიან კლინი ("იაგუარი"), რომლმაც მეორე მოსახვევიდან გაადაგდო კულჰარდი. ეტყობა, "ვერცხლისფერი ისრები" მომძლავრდნენ".

**ზაუბერი**

"ფიზიკელამ "ზაუბერის" ალამი მეექვსე ადგილზე ასწია. მან უმაღლეს დონეზე ისპარეზა! მას შემდეგ, რაც მანქანებს საჭის გამაძლიერებელი გაუჩნდა, ხოლო გუნდებს - ახალი აეროდინამიკური მილი, ფიზიკელას უკეთ გამოდის. სამწუხარო კი ფელიპე მასას ძლიერი ავარია იყო, რომელმაც ზაუბერელები დაამწუხრა".

**ტოიოტა**

"თეთრ-წითლებს კვლავაც არ ჰყოფნით სიჩქარე. კრისტიანო და მატამ მონრეალში რბოლა ჩააგდო, ხოლო ის ერთადერთი ქულა, რომელიც მან მოიპოვა, მოგვიანებით ჩამოართვეს (როგორც აღვნიშნეთ, ტოიოტელებს, ისევე როგორც უილიამსელებს, შეუსაბამო მუხრუჭები ჰქონდათ, რისთვისაც დისკვალიფიკაცია მიიღეს. დისკვალიფიკაციამდე კი და მატას მერვე შედეგი ჰქონდა.-რედ.). ვერანაირ მიზეზს ვერ ვხედავ იმისთვის, რომ ინდიანაპოლისში "ტოიოტაში" რამე უკეთესობისკენ შეიცვალოს".

**იაგუარი**

"იაგუარი" მხოლოდ მერვე ადგილზეა, რადგან გუნდის შესყიდვის თაობაზე გავრცელებულმა ხმებმა საჯინიბოს თანამშრომელთა ყურადღება გაფანტა. მონრეალში მარკ ვებერი მოკრძალებულად გამოვიდა, კლინმა კი დაგვანახა ის, თუ რა შეუძლია (კლინი მეცხრე ადგილზე გავიდა.-რედ.). ისეთი გამყინვარება, როგორიც "მწვანეებს" აქვთ, ფორმულა 1-ში მარცხის ტოლფასია".

**ჯორდანი**

"ტიმო გლოკმა კარგად იასპარეზა. ედი ჯორდანი (გუნდის მეპატრონე) კი სამი ქულით უნდა იყოს კმაყოფილი (შეგახსენებთ, რომ გლოკმა მეშვიდე, ხოლო ნიკ ჰაიდფელდმა მერვე ადგილი დაიკავა.-რედ.). აშკარა იყო, რომ მონრეალში "ყვითლებს" ძალზე გაუჭირდათ. მათ სულზე მოუსწრო მეტოქეთა დისკვალიფიკაციამ ("უილიამსისა" და "ტოიოტას" შედეგების გაუქმებამ, ბუნებრივია, ადგილების გადანაცვლება გამოიწვია.-რედ.). ინდიანაპოლისში კი მათ ძალზე გაუჭირდებათ".

**მინარდი**

"ისევე როგორც დანარჩენ ტრასებზე, "მინარდის" წარმატების ერთადერთი შანსი ის იქნება, თუ სხვა საჯინიბოთა ბოლიდები ტრასიდან გადავარდებიან ან დისკვალიფიკაციას მიიღებენ. სწორედ ზემოთქმულის გათვალისწინებით იყო, რომ ზოლტ ბაუმგარტნერი კანადის დიდ პრიზზე მეათე ადგილამდე დაწინაურდა. გუნდის მიზანი უცვლელია - როგორმე დაასრულოს რბოლა".



*ჟაკ შულცი "ფერარის" უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევს*

**უილიამ ჰილის ფსონები აშშ-ის დიდი პრიზისთვის**

მ. შუმახერი 1.40
დ. ბატონი 8.00
რ. ბარიკელო 10.00
ხ. მონტოია, ი. ტრული, ფ. ალონსო 15.00
ტ. სატო 17.00
რ. შუმახერი 21.00
კ. რაიკონენი 41.00
დ. კულჰარდი 67.00
ო. პანისი, კ. და მატა 151.0
მ. უებერი, ჯ. ფიზიკელა 201.0
ფ. მასა, კ. კლინი 251.0
ნ. ფაიდფელდი, ჯ. პანტანო 751
ზ. ბაუმგარტნერი, ჯ. ბრუნი 1001

## კონკურსი ევრო 2004

ლიდერთა მდგომარეობა 5 მატჩის შემდეგ და მათი პროგნოზები

| ადგ | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქულა | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | 06 | 07 | 08 |
| 1-2. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 55 | 2:0 | 1:2 | 0:1 |
| 1-2. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | 55 | 1:0 | 1:2 | 1:1 |
| 3-14. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 49 | 2:0 | 2:1 | 0:1 |
| 3-14. | ახვლედიანი ვასილ ვასილის ძე | 49 | 2:1 | 1:2 | 1:1 |
| 3-14. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | 49 | 1:0 | 2:1 | 1:1 |
| 3-14. | გეთიაშვილი გიორგი გოჩას ძე | 49 | 1:0 | 3:2 | 2:1 |
| 3-14. | გიორგობიანი მერაბ რევაზის ძე | 49 | 1:1 | 1:1 | 1:1 |
| 3-14. | ზაზაშვილი ზურაბ ბეჟანის ძე | 49 | 2:0 | 2:1 | 1:1 |
| 3-14. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | 49 | 2:0 | 0:1 | 1:1 |
| 3-14. | კახელიშვილი მამუკა ნოდარის ძე | 49 | 3:1 | 2:1 | 2:2 |
| 3-14. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 49 | 2:0 | 2:1 | 0:1 |
| 3-14. | მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | 49 | 1:0 | 2:1 | 2:1 |
| 3-14. | ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე | 49 | 1:0 | 2:1 | 0:1 |
| 3-14. | ჯიბლაძე ნიკოლოზ ლერის ძე | 49 | 1:1 | 2:1 | 1:1 |
| 15-22. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 44 | 2:0 | 1:2 | 1:1 |
| 15-22. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | 44 | 2:0 | 1:2 | 1:1 |
| 15-22. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | 44 | 2:0 | 2:1 | 1:0 |
| 15-22. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | 44 | 1:0 | 2:1 | 0:0 |
| 15-22. | მამაცაშვილი თეო გურამის ას | 44 | 2:0 | 2:2 | 1:1 |
| 15-22. | მაწარაშვილი ელგუჯა ზაალის ძე | 44 | 3:0 | 3:0 | 1:2 |
| 15-22. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 44 | 1:0 | 1:2 | 1:1 |
| 15-22. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 44 | 2:1 | 2:2 | 1:2 |
| 23-55. | ადიკაშვილი დანიელ დავითის ძე | 43 | 3:1 | 3:2 | 2:1 |
| 23-55. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 43 | 1:0 | 1:1 | 1:2 |
| 23-55. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 43 | 2:0 | 2:1 | 2:1 |
| 23-55. | ბაქრაძე ბესარიონ გიორგის ძე | 43 | 2:0 | 2:1 | 2:1 |
| 23-55. | გელაშვილი ზურა ვაჟას ძე | 43 | 2:1 | 3:2 | 1:3 |
| 23-55. | გელაძე გელა ტარიელის ძე | 43 | 2:2 | 2:2 | 1:1 |
| 23-55. | გოდერძიშვილი ლაშა ძე | 43 | 2:1 | 1:1 | 2:2 |
| 23-55. | გრიშაშვილი მამუკა იურის ძე | 43 | 1:0 | 2:2 | 0:0 |
| 23-55. | დიდიძე გიორგი ზურაბის ძე | 43 | 1:1 | 1:2 | 1:1 |
| 23-55. | დოლიძე დავით პაატას ძე | 43 | 1:1 | 1:3 | 1:2 |
| 23-55. | დოხნაძე გიორგი ტუგოს ძე | 43 | 1:0 | 0:0 | 0:0 |
| 23-55. | თავბერიძე ზურა კახის ძე | 43 | 1:1 | 1:0 | 1:1 |
| 23-55. | კალანდარიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე | 43 | 2:1 | 2:1 | 1:1 |
| 23-55. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | 43 | 1:0 | 1:1 | 1:1 |
| 23-55. | კუბლაშვილი თენგო მიხეილის ძე | 43 | 1:0 | 1:1 | 1:1 |
| 23-55. | ლაგვილავა ედემ ტერენტის ძე | 43 | 2:0 | 2:1 | 2:1 |
| 23-55. | მატარაძე ლევან მამუკას ძე | 43 | 2:1 | 2:1 | 1:0 |
| 23-55. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 43 | 1:0 | 1:2 | 0:1 |
| 23-55. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 43 | 2:1 | 0:1 | 2:2 |
| 23-55. | ნაცვლიშვილი შოთა ოთარის ძე | 43 | 2:2 | 2:1 | 0:0 |
| 23-55. | ნიქაბაძე ალექსანდრე თამაზის ძე | 43 | 1:1 | 2:1 | 2:1 |
| 23-55. | ქებულაძე თამაზ ვარლამის ძე | 43 | 2:1 | 2:1 | 2:2 |
| 23-55. | ყირიმლიშვილი ჯაბა ელგუჯას ძე | 43 | 2:2 | 1:1 | 1:2 |
| 23-55. | ცინცაძე დავით გიორგის ძე | 43 | 2:1 | 1:2 | 0:0 |
| 23-55. | ხვედელიანი ირაკლი მიხეილის ძე | 43 | 2:1 | 2:2 | 1:0 |
| 23-55. | ჯაბაური დავით ლევანის ძე | 43 | 3:0 | 0:0 | 2:2 |
| 23-55. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | 43 | 2:0 | 1:1 | 1:1 |
| 23-55. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | 43 | 2:1 | 1:1 | 1:1 |
| 23-55. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | 43 | 2:0 | 1:1 | 0:0 |
| 23-55. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | 43 | 2:1 | 1:2 | 2:1 |
| 23-55. | ჯამბურია ლევან გივის ძე | 43 | 2:0 | 2:1 | 2:1 |
| 23-55. | ჯაყელი ანრი გიორგის ძე | 43 | 3:0 | 3:1 | 1:2 |
| 23-55. | ჯინჭარაძე ნიკა გიორგის ძე | 43 | 1:1 | 2:1 | 0:0 |
| 56-58. | გელაშვილი გიორგი ჯემალის ძე | 42 | 3:0 | 2:1 | 1:1 |
| 56-58. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | 42 | 1:0 | 1:2 | 1:1 |
| 56-58. | ჩიტაიშვილი გიორგი თომას ძე | 42 | 1:0 | 3:2 | 2:2 |
| 59-95. | ასლამაზიშვილი შალვა თამაზის ძე | 38 | 1:0 | 2:1 | 0:0 |
| 59-95. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 38 | 1:0 | 1:2 | 0:1 |
| 59-95. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 38 | 2:0 | 1:1 | 1:1 |
| 59-95. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 38 | 1:0 | 2:1 | 0:1 |
| 59-95. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 38 | 2:0 | 1:1 | 1:1 |
| 59-95. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 38 | 1:0 | 1:2 | 1:0 |
| 59-95. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 38 | 2:0 | 2:2 | 0:0 |
| 59-95. | ბაქრაძე ბესარიონ გიორგის ძე | 38 | 2:1 | 1:2 | 1:1 |
| 59-95. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | 38 | 2:0 | 1:1 | 1:1 |
| 59-95. | გეთიაშვილი რობი გოჩას ძე | 38 | 2:2 | 2:1 | 1:1 |
| 59-95. | გელენავა გიორგი ზაურის ძე | 38 | 3:0 | 1:0 | 0:1 |
| 59-95. | დარბინიანი ვოსკან ძე | 38 | 1:1 | 2:0 | 0:1 |
| 59-95. | დოხნაძე გიორგი ტუგოს ძე | 38 | 2:0 | 2:1 | 1:1 |
| 59-95. | კაკუბავა გიორგი კარლოს ძე | 38 | 2:1 | 1:0 | 2:1 |
| 59-95. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | 38 | 2:0 | 2:1 | 1:1 |
| 59-95. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | 38 | 1:0 | 1:1 | 1:0 |
| 59-95. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | 38 | 2:0 | 1:2 | 1:1 |
| 59-95. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | 38 | 1:0 | 1:2 | 1:1 |
| 59-95. | კალანდაძე ბადრი გივის ძე | 38 | 3:1 | 2:1 | 0:1 |
| 59-95. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | 38 | 1:0 | 1:1 | 0:0 |
| 59-95. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | 38 | 1:0 | 2:1 | 0:0 |
| 59-95. | ლაგვილავა ედემ ტერენტის ძე | 38 | 2:1 | 1:2 | 1:1 |
| 59-95. | ლომსაძე ლევან დავითის ძე | 38 | 2:0 | 2:1 | 2:1 |
| 59-95. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 38 | 1:0 | 1:1 | 0:1 |
| 59-95. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 38 | 2:0 | 1:1 | 0:1 |
| 59-95. | მახვილაძე რევაზ ომარის ძე | 38 | 2:0 | 1:1 | 1:1 |
| 59-95. | მეცხოვრიშვილი დავით ჯემალის ძე | 38 | 2:1 | 2:1 | 1:1 |
| 59-95. | ონიანი დავით როლანდის ძე | 38 | 2:0 | 1:2 | 0:1 |
| 59-95. | რობაქიძე ოთარ მურმანის ძე | 38 | 2:1 | 0:2 | 0:3 |
| 59-95. | სუთიაშვილი არჩილ ზურაბის ძე | 38 | 1:0 | 2:0 | 1:1 |
| 59-95. | ქავთარაძე გივი ილიას ძე | 38 | 2:0 | 0:0 | 0:1 |
| 59-95. | ღალანიძე ზვიად სერგოს ძე | 38 | 2:0 | 1:0 | 1:2 |
| 59-95. | ყურაშიძე ვახტანგ მიხეილის ძე | 38 | 2:0 | 1:0 | 1:1 |
| 59-95. | ჩინჩალაძე ლევან ალექსანდრეს ძე | 38 | 1:1 | 2:2 | 1:2 |
| 59-95. | წიკლაური თამაზ ალექსანდრეს ძე | 38 | 1:1 | 1:1 | 0:0 |
| 59-95. | ჯამბურია ლევან გივის ძე | 38 | 2:1 | 1:2 | 1:1 |
| 59-95. | ჯიჯეიშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე | 38 | 2:1 | 2:1 | 1:2 |
| 96-156. | აბაშიძე ლევან ზაზას ძე | 37 | 3:1 | 1:0 | 1:1 |
| 96-156. | ადუაშვილი თორნიკე ამირანის ძე | 37 | 3:0 | 1:2 | 1:2 |
| 96-156. | ალბუთაშვილი გიორგი ელგუჯას ძე | 37 | 1:0 | 2:2 | 0:1 |
| 96-156. | ანთაური გიორგი ხვთისოს ძე | 37 | 2:0 | 2:1 | 0:0 |
| 96-156. | ანთაური გიორგი ხვთისოს ძე | 37 | 1:0 | 2:2 | 1:0 |
| 96-156. | ბერიძე თორნიკე მუხრანის ძე | 37 | 2:1 | 2:1 | 2:2 |
| 96-156. | გაბედავა დავით მიხეილის ძე | 37 | 2:2 | 2:1 | 1:1 |
| 96-156. | გეგეჭკორი შალვა ალექსანდრეს ძე | 37 | 2:1 | 0:1 | 1:0 |
| 96-156. | გურული გოდერძი კუკურის ძე | 37 | 2:0 | 0:0 | 1:1 |
| 96-156. | დავითულიანი გიორგი როლანდის ძე | 37 | 1:1 | 1:1 | 2:2 |
| 96-156. | დალაქიშვილი ქეთევან ოთარის ძე | 37 | 2:0 | 2:1 | 2:1 |
| 96-156. | დანელია არველოდ ილიას ძე | 37 | 0:0 | 2:1 | 1:2 |
| 96-156. | დეკანოიძე გიორგი პაატას ძე | 37 | 1:0 | 2:1 | 2:1 |
| 96-156. | დოლიძე გიორგი თედორეს ძე | 37 | 2:1 | 1:2 | 1:3 |
| 96-156. | ზილფიმიანი ლევან დავითის ძე | 37 | 2:1 | 3:2 | 2:2 |
| 96-156. | იმნაიშვილი არჩილ ვაჟას ძე | 37 | 1:1 | 2:1 | 1:1 |
| 96-156. | ირემაძე გოგა გიზოს ძე | 37 | 1:0 | 1:0 | 0:1 |
| 96-156. | კავკასიძე თამარ ვაჟას ასული | 37 | 1:0 | 1:1 | 2:2 |
| 96-156. | კაპანაძე გიორგი ვახტანგის ძე | 37 | 3:0 | 1:1 | 0:1 |
| 96-156. | კაციტაძე ჯემალ ბენიას ძე | 37 | 2:1 | 3:2 | 1:1 |
| 96-156. | კეკელაშვილი ჯიმი თეიმურაზის ძე | 37 | 3:0 | 1:0 | 1:1 |
| 96-156. | კილაძე სპირიდონ პავლეს ძე | 37 | 3:1 | 0:0 | 2:2 |
| 96-156. | კორძაძე ლაშა იოსების ძე | 37 | 2:0 | 2:2 | 0:0 |
| 96-156. | კუხიანიძე ლექსო მალხაზის ძე | 37 | 2:1 | 1:0 | 1:1 |
| 96-156. | მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | 37 | 1:0 | 2:0 | 0:0 |
| 96-156. | მილაძე მანუჩარ ამირანის ძე | 37 | 2:0 | 1:1 | 2:1 |
| 96-156. | მინაშვილი აკაკი ვლადიმერის ძე | 37 | 2:0 | 1:1 | 1:1 |
| 96-156. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 37 | 2:0 | 1:0 | 1:1 |
| 96-156. | მუმლაძე მარეხ შოთას ასული | 37 | 1:1 | 1:2 | 0:1 |
| 96-156. | ნებიერიძე გიორგი გიორგის ძე | 37 | 1:0 | 3:1 | 2:2 |
| 96-156. | ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე | 37 | 1:1 | 2:0 | 1:2 |
| 96-156. | ნოზაძე გრიგოლ თამაზის ძე | 37 | 2:2 | 1:2 | 3:2 |
| 96-156. | პაპიძე კახა ჯემალის ძე | 37 | 2:0 | 1:2 | 2:2 |
| 96-156. | როგავა რეზო თამაზის ძე | 37 | 1:0 | 1:1 | 1:1 |
| 96-156. | სანაკოევი რუსლან ალექსანდრეს ძე | 37 | 1:0 | 2:2 | 1:2 |
| 96-156. | სიმონიშვილი ვასილ თეიმურაზის ძე | 37 | 2:0 | 1:0 | 0:0 |
| 96-156. | ფაცია გიორგი მურმანის ძე | 37 | 0:2 | 0:2 | 0:2 |
| 96-156. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | 37 | 2:2 | 1:1 | 1:1 |
| 96-156. | ქარელიძე კახაბერ ვაჟას ძე | 37 | 2:0 | 2:2 | 2:1 |
| 96-156. | ქურციკიძე დავით თამაზის ძე | 37 | 2:1 | 1:2 | 2:1 |
| 96-156. | ღუღუნიშვილი ევგენი ტარასის ძე | 37 | 2:0 | 2:2 | 1:1 |
| 96-156. | შავაძე ალექსანდრე გიგოს ძე | 37 | 1:1 | 1:1 | 1:1 |
| 96-156. | შამუგია მამუკა კოკის ძე | 37 | 3:1 | 2:1 | 1:1 |
| 96-156. | ჩაკვეტაძე ნინო ემზარის ასული | 37 | 2:0 | 2:1 | 1:1 |
| 96-156. | ჩარგაზია კახა გიორგის ძე | 37 | 1:1 | 1:1 | 1:1 |
| 96-156. | ჩარგაზია კოტე გიორგის ძე | 37 | 2:1 | 1:1 | 1:1 |
| 96-156. | ჩაჩანიძე არჩილ ტიტეს ძე | 37 | 1:1 | 2:2 | 1:1 |
| 96-156. | ჩუბინიძე გიორგი ამირანის ძე | 37 | 1:0 | 2:1 | 1:1 |
| 96-156. | ცინცაძე ნელი გენოს ასული | 37 | 2:0 | 2:1 | 0:0 |
| 96-156. | ცუცქირიძე თეიმურაზ გიორგის ძე | 37 | 2:0 | 0:0 | 0:1 |
| 96-156. | ცქვიტაია სანდრო ალექსანდრეს ძე | 37 | 0:1 | 3:2 | 1:1 |
| 96-156. | წულუკიძე როსტომ ზურაბის ძე | 37 | 1:0 | 1:1 | 0:0 |
| 96-156. | ჭოჭუა შალვა გურამის ძე | 37 | 2:0 | 3:1 | 1:0 |
| 96-156. | ჭუმბურიძე თეა ვლადიმერის ასული | 37 | 2:1 | 1:1 | 1:0 |
| 96-156. | ხუროშვილი გიორგი გელას ძე | 37 | 1:0 | 2:1 | 2:1 |
| 96-156. | ხუროშვილი გიორგი გელას ძე | 37 | 0:0 | 1:1 | 0:0 |
| 96-156. | ჯაბუა გრიგოლ მიხეილის ძე | 37 | 2:0 | 2:2 | 1:2 |
| 96-156. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | 37 | 2:0 | 1:2 | 2:1 |
| 96-156. | ჯინჭარაძე ლამზირა ალექსანდრეს ას | 37 | 2:0 | 1:0 | 2:2 |
| 96-156. | ჯიჯეიშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე | 37 | 2:1 | 3:2 | 1:2 |
| 96-156. | ჯორჯიაშვილი ზაალ დავითის ძე | 37 | 1:0 | 1:2 | 2:2 |

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

[illegible]

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საშუალებით, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ ჰყავთ)

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

დამხმარე კატეგორია: [illegible]

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? [illegible]

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? [illegible]

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? [illegible]

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი

ბინის მისამართი

სამსახურის ტელეფონის ნომერი

ბინის ტელეფონის ნომერი

მობილური ტელეფონის ნომერი

ტესტის კითხვის შედგენის წესები:

[illegible]

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## ორშაბათი 21.06

**რუსთავი - 2**

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.15** მხ. ფილმი "დოქტორ დულიტლი" (გ) **15.20** სერიალი "სასწრაფო" **16.25** სერიალი "მაშველები" **17.25** პერეკროსტოკი **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "უკვდავი" **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **23.45** ევროპის ჩემპიონატი. "შვეიცარია"-"საფრანგეთი" **02.00** მხ. ფილმი "სასიკვდილო იარაღი 2". მთ. რ-ში: რიჩარდ დონერი. (გ).

**TV5**

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.05(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები **07.30** აკუსტიკა. **08.05** გეის ბავშვობა. **09.30** ტელედილა. **11.30** მედიტერანეო. ჰეზბოლა, დამასები და შიიტები, კრეტა. **13.15** არტ რეპორტაჟი. არქეოლოგია ყინულებში. **17.30** მივუყვები მამაჩემის ნაკვალევს. მხ.ფილმი. რეჟისორი რემი ვატერჰუსი. 1999. **01.30** ორიდან ერთი ვიკენდი. მხ.ფილმი. რეჟისორი ნიკოლ გარსია. 1989.

**პირველი არხი**

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.15** მოამბე **12.15** დოკ. ფილმი "ხმელთაშუა ზღვაში ზვიგენები დათარეშობენ" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" (დუბლინი) **15.20** ფორმულა-1 (ვიდეოჩანაწერი) **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** ფორმულა-1 (ვიდეოჩანაწერი) (გაგრძ.) **17.30** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** "ევრო-2004" (მიმოხილვა) **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** "ღამის მატარებელი" **23.35** ფეხბურთი. შვეიცარია-საფრანგეთი **01.35** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **01.55** მხ. ფილმი "ძაღლი ეგლის თამაშისას" (15)

**ЛБТ**

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** პროფათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "სისხლიანი სპორტი" მთ. რ-ში დენიელ ბერხარდი, დონი გიბი. **03.00** პაუზის გარეშე

**202**

**10.00** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "კ-9" (ჯეიმს ბელუში) (გ) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "სწრაფი და მკვდარი" (შ. სტოუნი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "მარტოხელა" (ბ. უილისი) (18)

**მზე**

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.10, 20.50** მინისერიალი "კამელოტის ქალები" **12.00, 15.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "ადამიანი ობობა" (გ) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.10** სერიალი "ჯეკი და ლობიოს ხე" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** "მზერა დღის ბოლოს" **00.00** მხ. ფილმი "მესამე ზედმეტია" (მეთ დეიმონი) (18)

**მეორე არხი**

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (გ) **21.00** პალიტრა **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი "ინდოჩინეთი" (15)

**კავკასია**

**17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

**იმედი**

**07.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 11.20, 13.15, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.00** დროება **11.30** სპ. პროგრამა "ასი" **12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.20** ტვ-მარკეტი **14.05** ფილმი "უდაბნოს სამჭედლოები" **15.15** მხ. ფილმი "გოია ბორდოში" **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.00** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** "არჩევანი თქვენ" **23.00** "ვაკაფი-ნიუსი" **23.30** მხ. ფილმი "მეორეც უნდა მოკვდეს" (ე. ელენიაკი) (15)

**იბერია**

**18.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" მე-5ს. **18.55** მულტფილმი **20.10** დოკ. ფილმი **21.00** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "შეგირდები" (15)

**აჭარის ტელევიზია**

**08.30, 01.25** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** სათავგადასავლო ფილმი "პოლიციელი ბიჭუნა" **10.30** მუსიკა **10.40** მხ.ფილმი "იასონი და არგონავტები" **12.25** მუსიკა **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** ბოევიკი "ცუდი კომპანია" **14.40** მუსიკა **14.50** კომედია "ახალდაქორწინებულნი" **16.45** მულტფილმი "ურჩხული და მზეთუნახავი" **17.55** მუსიკა **18.20** "მზე აქ შემიჩერებია" **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** დოკუმენტური ფილმი **20.00, 01.50** მუსიკა **20.15** "სტარტი" **21.00** დრამა "ორნი ქალაქში" **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.00** მხ.ფილმი "ჩრდილთა წიგნი" **02.10** კომედია "სიყვარული ნესების დაცვით" **04.20** დეტექტივი "ნევადა"

**ОРТ**

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00** Новости **10.20** Владимир Кузнецов в детективе **"В ПОЛОСЕ ПРИБОЯ"** **12.00** Док. детектив. "Покушение". Дело 2004 г. **12.40** Следствие ведет Колобков. **13.10** Арнольд Шварценеггер в комедии **"ДЖУНИОР"**. **15.10** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **16.20** Ирина Скобцева в фильме **"ЯНТАРНЫЕ КРЫЛЬЯ"**. **1** с. **17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.00** "Шутка за шуткой". **19.50** Сериал **"КЛОН"**. **20.50** "Стирка на миллион". **21.00** Жди меня. **22.00** Время. **22.30** Телесериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"**. **23.30** Криминальная Россия. "Репортаж с того света". **1** с. **00.00** Док. фильм "Потерпевшие победу". **00.50** Искатели. "Драгоценная карта СССР". **01.20** "Русский экстрим". **01.50** **Футбол**. Чемпионат Европы. **Сборная Швейцарии - сборная Франции**. **04.05** Пол МакКартни в фильме **"ПЕРЕДАЙТЕ ПРИВЕТ БРОД-СТРИТ"**. **05.40** Мистический триллер **"В ПЛЕНУ У ПРИЗРАКОВ"**.

**НТВ**

**07.00** Утро на НТВ. **09.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА"**. **11.00** Сегодня утром. **11.25** "Женский взгляд". Раиса Рязанова. **11.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **12.30** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.25** "Сегодня" **13.30** Александр Цекало в комедии **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ"** **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Королева львиц". **19.35** Протокол. **20.40** Вадим Карев в сериале **"МАНГУСТ: ЖЕЛТАЯ КАРТОЧКА"**. **21.45** Сериал **"ЖЕЛАННАЯ"**. **23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела. **23.45** "Штрафные души". Фильм Евгения Кириченко. **01.05** Джеймс Гандольфини в сериале **"КЛАН СОПРАНО"**.

## სამშაბათი 22.06

**რუსთავი - 2**

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "უკვდავი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.15** მხ. ფილმი "სიყვარული ბრმაა" (გ) **15.20** სერიალი "სასწრაფო" **16.25** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **23.45** ევროპის ჩემპიონატი. "დანია"-"შვეცია" **02.00** მხ. ფილმი "ვულკანი". მთ. რ-ში: ტომი ლი ჯონსი (18).

**TV5**

**07.00, 09.05,** 11.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.00** მას მე ცეცხლს ვუწოდებდი. დოკ.ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ქრონიკები მთიდან. **13.05** ზიგ-ზაგ კაფე. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **20.05** სამხრეთის ანარეკლი. **21.25** თავს ყველას ვერ მოაწონებ. **01.30** დედოფალ ელიზაბეტის საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის დასკვნითი კონცერტი ბელგიიდან.

**პირველი არხი**

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.15** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.20** სერიალი "რვაფეხა-4" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **16.20** დოკ. ფილმი "ცისფერი მატარებელი" **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** "ამბობენ" (განმ.) **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** "ევრო-2004" (მიმოხილვა) **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** სერიალი "ფსიქოქტორი" **22.30** "მუსიკალური არჩევნები" **23.35** ფეხბურთი. იტალია-ბულგარეთი **01.35** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **01.55** მხ. ფილმი "წინააღმდეგობა" (15)

**ЛБТ**

